საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №232 (2605) სამშაბათი, 16 სექტემბერი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიზიტი

საქართველო და საბერძნეთი მზად არიან განავითარონ ურთიერთობა ყველა სფეროში

გუშინ, 15 სექტემბერს, საბერძნეთის დედაქალაქში სახელმწიფო ვიზიტად ჩამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მეუღლითურთ. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც იგი მეთაურობს, შედიან საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, აგრეთვე მინისტრები: ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობისა — კონსტანტინე ზალდასტანიშვილი, ტრანსპორტისა — მერაბ ადეიშვილი, სათბობისა და ენერგეტიკისა — დავით ზუბიტაშვილი, კავშირგაბმულობისა და ფოსტისა — ფრიდონ ინჯია, კულტურისა — ვალერი ასათიანი, ქალაქ თბილისის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, საქმიანი წრეებისა და საქართველოში მცხოვრები ბერძენთა თემის წარმომადგენლები, სხვა ოფიციალური პირნი.

სამდღიანი ვიზიტის დროს საქართველოს პრეზიდენტი შეხვდება და ესაუბრება საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს კონსტანტინოს სტეფანოპულოსს, პარლამენტის თავმჯდომარეს აპოსტოლის კატლამანისს, პრემიერ-მინისტრს კონსტანტინოს სიმიტისს, მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიათა და მოძრაობათა ხელმძღვანელებს, ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. გათვალისწინებულია საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების, ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების შესახებ სხვა დოკუმენტების ხელმოწერა.

საბერძნეთის დედაქალაქის საერთაშორისო აეროპორტში ედუარდ შევარდნაძისა და საქართველოს დელეგაციის წევრებს დახვდნენ საბერძნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იანოს კრანიდიოტისი, საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტასოს კრიეკუკისი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთში ალექსანდრე ჩიკვაიძე, სხვა ოფიციალური პირნი.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიღება საბერძნეთის პრეზიდენტის სასახლეში.

საქინფორმის ფოტოქრონიკის ტელეფოტო.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირნი მივიდნენ საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლეში, სადაც გაიმართა მეხვედრის ოფიციალური ცერემონია. აქ ედუარდ შევარდნაძემ და საბერძნეთის პრეზიდენტმა კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა ჩაუარეს საპატიო ყარაულის მწკრივს, შესრულდა საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

შეხვედრის საზეიმო ცერემონიის შემდეგ გაიმართა ორი სახელმწიფოს მეთაურების საუბარი, რომელსაც შემდეგ შეუერთდნენ ოფიციალურ დელეგაციათა წევრები.

ედუარდ შევარდნაძემ და კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები, რომლის კეთილნაყოფიერი პერსპექტივები მხარეებისათვის ცხადია. როგორც საუბრის დროს აღინიშნა, ორი ქვეყნისა და ხალხის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები საიმედო საფუძველია სულ სხვადასხვა სფეროებში საქმიანი პარტნიორობის განვითარებისა და გაღრმავებისათვის. ასეთი კონტაქტების გაფართოებასა და გაძლიერებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანმა, რომელიც მტკიცედ აკავშირებს ორი უმნიშვნელოვანესი რეგიონის – კავკასიისა და ბალკანეთის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პროცესებს. მხარეებმა აღნიშნეს, რომ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისათვის საჭირო პირობებია მშვიდობა და სტაბილურობა. ამ რეგიონებში ახალი პოზიტიური ცვლილებების დამკვიდრებით დიდად დაინტერესებულმა ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ არ უნდა დაიშურონ ერთობლივი ძალისხმევა, რათა მოწესრიგდეს არსებული კონფლიქტური სიტუაციები და არ დაუშვან დაძაბულობის ახალი კერების წარმოქმნის წანამძღვრები. მხარეებს მიაჩნიათ, რომ ქმედით მექანიზმად, რომელსაც შეუძლია ჩანასახშივე ჩაახშოს შესაძლო კონფლიქტები, არის თანამშრომლობის ეფექტიანი გამოყენება საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, რომელთა საქმიანობა ეფუძნება ევროპის უშიშროების იდეის რეალიზაციას. ბატონმა სტეფანოპულოსმა განაცხადა, რომ საბერძნეთი მზად არის ოპტიმალურად შეუწყოს ხელი საქართველოს უფრო მჭიდრო ინტეგრაციას უშიშროების ევროპულ სტრუქტურებთან, რაც, თავის მხრივ, კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების დაჩქარებულ განვითარებაზე. დაისახა, აგრეთვე, კულტურული და სამხედრო თანამშრომლობის გააქტიურების ღონისძიებანი. კერძოდ, მიღწეულია მორიგება საბერძნეთში საქართველოს თავდაცვის მინისტრის საპასუხო ვიზიტის შესახებ. კიდევ ერთი შეთანხმება ითვალისწინებს, რომ საბერძნეთის რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ერთ-ერთი ხომალდი მიმდინარე წლის ნოემბერში საქართველოს ეწვევა.

საუბრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე საბერძნეთის ხელმძღვანელი გულითადად მიესალმა ედუარდ შევარდნაძის ვიზიტს თავის ქვეყანაში. ჩვენ ძალიან ბედნიერი და უზომოდ მოხარული ვართ, რომ თქვენ აქ ბრძანდებით, თქვა მან, როცა საპატიო სტუმარს მიესალმა. როგორც კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა აღნიშნა, ედუარდ შევარდნაძის პიროვნება კარგად არის ცნობილი მთელ მსოფლიოში, რადგან ყველამ იცის, თუ რაოდენ დიდია მისი როლი თანამედროვე მსოფლიოს გარდაქმნაში და რამდენად მნიშვნელოვანია მისი წვლილი კავკასიაში სტაბილურობისა და უშიშროების დამკვიდრებაში. საქართველოს პრეზიდენტის მოღვაწეობის მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს და სწორედ ამით არის განპირობებული ხვალინდელი მოვლენა, როცა ედუარდ შევარდნაძეს ონასისის საერთაშორისო ფონდის გადაწყვეტილებით გადაეცემა პრემია საერთაშორისო ურთიერთგაგებისა და სოციალური მიღწევებისათვის. „ბედნიერი ვიქნები, პირადად გადავცე მას ეს ჯილდო“, – თქვა საბერძნეთის პრეზიდენტმა.

შეეხო რა გამართულ საუბარს, ბატონმა სტეფანოპულოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უკავია კავკასიის რეგიონში, მაგრამ ჩვენ მნიშვნელობას მარტო ამას კი არა, იმ მნიშვნელოვან გარემოებასაც ვანიჭებთ, რომ საქართველოში ცხოვრობს 80 ათასზე მეტი ბერძნული ეროვნების მოქალაქე. მან მადლობა მოახსენა საქართველოს ხელმძღვანელობას იმისათვის, რომ მათ უზრუნველყოფილი აქვთ თანაბარი უფლებები, ხოლო ბერძნულ ენას ასწავლიან სკოლებში როგორც მეორე უცხო ენას. პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ საბერძნეთისა და საქართველოს ურთიერთობა კვლავ უფრო აქტიურად და ნაყოფიერად განვითარდება. გულითადი მადლობა მოახსენა რა საბერძნეთში მიწვევისა და აქ გაწეული გულთბილი მასპინძლობისათვის, ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ბერძენი და ქართველი ხალხების ურთიერთობას მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მან აღნიშნა, რომ სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებისა და ბოლოდროინდელი გაჭირვების გამო, კონტაქტები ორ სახელმწიფოს მორის გარკვეულწილად შენელდა. მაგრამ მოხარული ვარ, თქვა მან, რომ ახლა გაჩნდა ურთიერთსურვილი საერთო ძალისხმევით აღვადგინოთ ისტორიული სამართლიანობა და ორი ქვეყნისა და ხალხის ურთიერთობა ახალ დონეზე ავიყვანოთ. „მიგვაჩნია, რომ საქართველოში მცხოვრები ბერძნები ჩვენი სისხლი და ხორცია“, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა მოწმობს სურვილს დაიწყოს დიდი და გრძელვადიანი თანამშრომლობა.

საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი დიდად აღელვა ცნობამ იმ პრემიით დაჯილდოების შესახებ, რომელიც ონასისის სახელს ატარებს. ეს პრემია, თქვა მან, ეკუთვნის მთელ საქართველოს, თითოეულს, ვინც იბრძოდა და კვლავაც ძნელ ბრძოლას აწარმოებს საქართველოსა და კავკასიის სტაბილურობისათვის.

ედუარდ შევარდნაძემ დაადასტურა თავისი მიპატიჟება — საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ოფიციალურ ვიზიტად ეწვიოს საქართველოს „კავკასიაში დიალოგის გაგრძელებისათვის“. ბატონმა სტეფანოპულოსმა განაცხადა, რომ ამ მიწვევას ეთანხმება დიდი სიხარულით და კმაყოფილებით.

შემდეგ გაიმართა კიდევ ერთი შეხვედრა, რომლის დროს საქართველოს პრეზიდენტის თანამოსაუბრე იყო საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი კონსტანტინოს სიმიტისი. ამ შეხვედრისა და გამართული მოლაპარაკების გვირგვინი იყო საბერძნეთის რესპუბლიკასა და საქართველოს მორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომლითაც მხარეებმა იკისრეს ვალდებულებანი განავითარონ ურთიერთობა ყველა სფეროში. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ამ ურთიერთობას საფუძვლად დაედება ურთიერთნდობისა და ხელსაყრელობის პრინციპები.

ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ და კონსტანტინოს სიმიტისმა გააკეთეს განცხადებანი პრესისათვის. საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ურთიერთობას ეკონომიკურ დარგში. როგორც მან თქვა, საქართველო, რომელმაც მშვიდობიანად გადალახა სერიოზული კრიზისი, დღეს სარგებლობს მსოფლიო გაერთიანების სულ უფრო მზარდი ყურადღებით. მან თქვა, რომ გამონაკლისი არც საბერძნეთი იქნება.

იხ. მე – 2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 12 სექტემბერი ქ. თბილისი

სენაკის ბავშვთა ფსიქონევროლოგიური პანსიონატის თანამშრომელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სენაკის ბავშვთა ფსიქონევროლოგიური პანსიონატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმეში დიდი დამსახურებისათვის პანსიონატის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით:

ღირსების ორდენით

გურამ გარუჩავა — დირექტორი

ღირსების მედლით:

თინა ახალაია — უფროსი აღმზრდელი მასწავლებელი

ე. შევარდნაძე

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით სენაკის ბავშვთა ფსიქონევროლოგიური პანსიონატის ინვალიდ ბავშვთა მოვლა-პატრონობის საქმეში დიდი დამსახურებისათვის პანსიონატის ძიძა სანიტარს **მარგო ჭოჭუას** გამოეცხადოს მადლობა.

ე. შევარდნაძე

ხელისუფლება

საჭიროა დამატებითი ღონისძიებანი

ბოლო ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტული ტვირთის გადაადგილების შეფერხებამ ქვეყნის სასაზღვრო-გამტარ პუნქტებში, მათ მიმდებარე ტერიტორიებსა და ნავსადგურებში ტვირთების კონცენტრაცია და სიტუაციის უკიდურესი დაძაბვა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, გაჩნდა ტვირთების დაცვისა და უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობა.

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა ბრძანებულება საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტული ტვირთების უსაფრთხოების, დაცვისა და მომსახურების შესახებ.

ბრძანებულებით, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტს დაევალა უზრუნველყოს შეფერხებული ტრანზიტული ტვირთის საბაჟო ზედამხედველობის წესით ტერმინალებსა და საბაჟო საწყობებში განთავსება და მომსახურება, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს ღონისძიებები დამატებითი სათავსების მოწყობისათვის. ტრანზიტული სპირტის განთავსების ადგილებში მათი შენახვის, დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა დაევალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ფოთის ნავსადგურში ტრანზიტული სპირტის მნიშვნელოვანი მოცულობის თავმოყრის გამო, ფოთის მერიამ, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტმა ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად სპირტით დატვირთული კონტეინერები სისტემატურად უნდა გადაიტანონ და განათავსონ ფოთის ჰიდრომექანიკური ქარხნის ბაზაზე არსებულ საბაჟო ტერმინალში და აქედან შემდეგ გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

ამავე ბრძანებულების თანახმად, ფინანსთა სამინისტრომ, საბაჟო დეპარტამენტმა ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად, საერთაშორისო ნორმებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეიმუშაონ ეთილის სპირტის შემოტანის, გადაადგილებისა და დასაწყობების დროებითი წესები, ხოლო ფინანსთა სამინისტრომ 1998 წლის ასიგნებათა ნაწილში უნდა გაითვალისწინოს სახელმწიფო საბაჟო საწყობების, ტერმინალებისა და სპეცსათავსოების მეურნეობის განვითარებისათვის სახსრების გამოყოფა.

გამოიცა აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება საქართველოსა და უკრაინას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ხელშეწყობისა და საქართველოში უკრაინული სასურსათო პროდუქციის სატრანზიტო ტვირთზიდვის ხელშეწყობის დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

განკარგულების თანახმად, ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვის გაზრდის, საქართველოს ტერიტორიაზე სასურსათო პროდუქციის — ხორბლის, ფქვილის, სპირტის, მეცხოველეობის პროდუქციის იმპორტისა და სატრანზიტო ტვირთზიდვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტის კუთვნილი საწყობი (კომბინატი „სამხრეთი“), რომელიც ქალაქ გორში მდებარეობს, დროებით გამოყენებულ უნდა იქნეს უკრაინიდან საქართველოში იმპორტირებული და საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი სასურსათო პროდუქციის სატერმინალო მომსახურებისათვის.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

გაიტაცეს მშვიდობიანი მცხოვრებლები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 13 სექტემბერს, გალის რაიონის სოფელ თაგილონის ტერიტორიაზე, მდინარე ენგურის გასწვრივ, აფხაზთა დაახლოებით 15-20-კაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა, რომელსაც თვითმხილველთა განმარტებით გალის აფხაზური მილიციის სამძებროს უფროსი ვალერი აგრბა და ტერორისტებთან მებრძოლი ჯგუფის უფროსი გივი ემბა მეთაურობდნენ, პოზიცია დაიკავა. ჯგუფის ათი წევრი გადმოვიდა ენგურის გამოღმა ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში, რომელიც სოფელ თაგილონს საცალფეხო ბეწვის ხიდით ესაზღვრება და შეიჭრა სოფლის სიღრმეში. ხიდიდან დაახლოებით 500 მეტრზე გაიტაცეს ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში მცხოვრებნი დავით ხუხილავა, კარლო და ბიჭიკო ხუხილავები, აგრეთვე, ზუგდიდის „საქენერგოს“ „გაზ-66“ მარკის სპეციალური საბურღი ავტომანქანა. დაატყვევეს, აგრეთვე, იმავე სოფლის მცხოვრებნი ლევტერი და ზაზა ხუბუები და მიტუშა ეჩვაია (სხვა მონაცემები დგინდება), სოფელ თაგილონიდან გაიტაცეს ვახტანგ საკანაია, ბონდო რუხაია და რამინ გვარამია და თხილით დატვირთული „გაზ-52“ მარკის ავტომანქანა, სოფელ სიდიდან კი – ავტობუსის მძღოლები თენგიზ ქარჩავა და მერაბ ოკუჯავა.

არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, გატაცებული პირები და ავტომანქანები გალის მილიციაში გადაიყვანეს.

ინციდენტის შესახებ, რომელიც მოხდა სამშვიდობო ძალების კონტროლირებად ტერიტორიაზე, ინფორმირებული არიან როგორც სამშვიდობო ძალების სარდალი დოლია ბაბენკოვი და მისი მოადგილეები, ისე გაეროს მეთვალყურენი.

საქართველოს ხელისუფლება მოითხოვს გატაცებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებასა და დაბრუნებას.

ინფორმაცია

გაიმართა ბიუროს სხდომა

15 სექტემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელზეც 16-19 სექტემბრის პლენარული სხდომის დღის წესრიგი განიხილეს. სხდომის დღის წესრიგში ოცდაათამდე საკითხია შეტანილი. პირველ საკითხად დაგეგმილია „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვა.

საქართველოს ეწვია ჩეჩნეთის პარლამენტის დელეგაცია

15 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ელდარ შენგელაიამ მიიღო ჩეჩნეთის რესპუბლიკა – იჩქერიის პარლამენტის ოფიციალური დელეგაცია, პარლამენტის ვიცე-სპიკერის სეილამ ბეშაევის ხელმძღვანელობით.

შეხვედრაზე ისაუბრეს ორი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებთან თანამშრომლობის პერსპექტივებზე. კმაყოფილებით აღინიშნა ორმხრივი ურთიერთობის დადებითი გამოცდილება. მისი გაღრმავება საერთო ინტერესს წარმოადგენს და მან ხელი უნდა შეუწყოს კავკასიაში მშვიდობიანი პროცესების განმტკიცებას.

დელეგაციის წევრებმა იმსჯელეს აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების პერსპექტივებზე და აღნიშნეს, რომ ჩეჩნეთი მზად არის ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ქართველ ხალხს ამ პრობლემის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების საქმეში. „ჩეჩნეთს შეუძლია და, ვფიქრობ, აუცილებლად მოახდენს დადებით ზეგავლენას ორი მოძმე ხალხის ურთიერთობის საბოლოო მოწესრიგებაზე“, – განაცხადა ბატონმა ელდარ შენგელაიამ.

კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ მამუკა არეშიძემ სტუმრებს მოუთხრო საქართველოში მცხოვრები ვაინახი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე და აღნიშნა, რომ ეს საკითხი საქართველოს ხელისუფლების განსაკუთრებული საზრუნავია, რაშიც სტუმრები თავადაც დარწმუნდებიან, როცა მოინახულებენ ახმეტის რაიონს და იქ მცხოვრებ თანამემამულეებს.

შეიქმნება ახალი ფრაქცია

პარლამენტში შეიქმნება ახალი ფრაქცია „მამული“. ფრაქციას რეგისტრაციის თანხმობა მისცა პარლამენტის ბიურომ 15 სექტემბერს გამართულ სხდომაზე. ფრაქცია „მამულში“ გაერთიანდებიან ფრაქცია „აღორძინების“ ყოფილი წევრები.

საერთაშორისო წვრთნაში ქართველი სამხედროებიც მიიღებენ მონაწილეობას

უზბეკეთის რესპუბლიკაში ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში, 18 სექტემბერს სტარტს აიღებს მრავალეროვნული საერთაშორისო წვრთნა „ცენტრაზბატ-97“, რომელშიც ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების 860 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის, საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის კურსანტთა ოცეულიც მიიღებს მონაწილეობას.

წვრთნაზე დამუშავდება ის პრაქტიკული საკითხები, რომლებიც ტიპურია სამშვიდობო-ჰუმანიტარული ოპერაციების განხორციელების დროს.

17 სექტემბერს დაგეგმილია მრავალეროვნული წვრთნის საზეიმო გახსნა ჩირჩიკის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე. მასში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ვარდიკო ნადიბაიძე.

ფოთის პორტში ღუზა ჩაუშვა თურქეთის ორმა ხომალდმა

გუშინ დილით ფოთის პორტში ღუზა ჩაუშვა თურქეთის რესპუბლიკის სანაპირო დაცვის ორმა ხომალდმა. როგორც თურქეთის ელჩმა საქართველოში თოფიქ ოქიაუზმა შეხვედრაზე განაცხადა, თურქეთის მხარე მზადაა დაგვეხმაროს მესაზღვრეთა მომზადებაში და საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს გადასცეს „გრიფის“ ტიპის ორი ხომალდი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პარლამენტის პრესსამსახურმა – საქინფორმმა, „მოამბე-ექს-პრესმა“, „იბერიამ“, „გეამ“.

უკანასკნელ საათს

მოსკოვი. აზერბაიჯანის „ადრეული“ ნავთობი ნებისმიერ შემთხვევაში გადაიტუმბება „ჩრდილოეთის“ მარშრუტით, ე. ი. რუსეთის ტერიტორიის გავლით, განაცხადა რუსეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა ბორის ნემცოვმა, შეეხო რა ნავთობსადენის „ჩრდილოეთის“ მარშრუტის უპირატესობებს „სამხრეთისასთან“, ე. ი. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ მარშრუტთან შედარებით, ნემცოვმა თქვა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენი საჭიროებს დამატებით სამუშაოებს, რომლებიც 150 მილიონი დოლარი დაჯდება. გარდა ამისა, საქართველოს ტოტს „ჩრდილოეთის“ მარშრუტისაგან განსხვავებით მცირე გამტარუნარიანობა აქვს.

ტაშკენტი. გუშინ აქ გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია „ცენტრალური აზია – ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონა“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ 60-ზე მეტი სახელმწიფოს და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

დელი. ასზე მეტი კაცი დაიღუპა რკინიგზის კატასტროფაში ინდოეთის მადჰია-პრადეშის ცენტრალურ შტატში ქალაქ ჩანხას მახლობლად. სამგზავრო მატარებლის ხუთი ვაგონი ლიანდაგს ასცდა და მაღალი ხიდიდან მდინარეში გადაცვივდა. კატასტროფის დროს ვაგონებში 300-მდე კაცი იყო.

საქართველოს რესპუბლიკა
№232. სამშაბათი. 16 სექტემბერი. 1997 წელი.

საქართველო და საბერძნეთი მზად არიან განავითარონ ურთიერთობა ყველა სფეროში

საქართველოსა და საბერძნეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე ხელმოწერის ცერემონიალის დროს.

საქინფორმის ფოტოქრონიკის ტელეფოტო.

ბიზნესმენები, საქმიანი წრეების ავტორიტეტიანი წარმომადგენლები მზად არიან, განიხილონ საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების დაბანდებასთან დაკავშირებული საკითხები და ამით არსებითი წვლილი შეიტანონ ორმხრივი კონტაქტების განვითარებაში. ბატონმა სიმიტისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს თანამშრომლობა უნდა განვითარდეს ორი ქვეყნის კანონებისა და აპრობირებული საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად. ცნობილია, თქვა მან, რომ დღეს საქართველოს აქვს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემები. ასეთი პრობლემების მოწესრიგება, როგორც მან თქვა, დიდხანს არ უნდა გაჭიანურდეს, ისინი უფრო ეფექტიანად და სწრაფად უნდა გადაწყდეს, რითაც დაინტერესებული ვართ კიდეც სრულფასოვანი თანამშრომლობისათვის.

ახლა ხელი მოვაწერეთ ორივე მხარისათვის ფრიად მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამით დაიწყო ახალი ეტაპი ორი ხალხისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში. ჩვენ, თქვა მან, განვაგრძობთ ათასწლეულების წინანდელ ისტორიულ ტრადიციებს. ჩვენს შორის დღეს გამართული დიდი დიალოგი შეეხო ბევრ საკითხს, მაგრამ მოლაპარაკების მთავარი თემა იყო ზრუნვა ჩვენი ხალხების კეთილდღეობისათვის, მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ჩვენს რეგიონებში. საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთ ფუძემდებელ პრინციპად ორივე მხარეს მიაჩნია ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა. საქართველოს და საბერძნეთს შორის დამყარდება მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა. ამის კარგი წანამძღვრებია მხარეთა მზადყოფნა, აითვისონ ახალი სატრანსპორტო კომუნიკაციები, რათა ამოქმედდეს ტვირთზიდვის ყველა სახეობა და შესაძლებლობა. როგორც მან თქვა, საქმე, კერძოდ, ეხება საავტომობილო გზების, საზღვაო ნავსადგურების მშენებლობასა და რემონტს. მრავლის აღმთქმელად და რეალურად წარმოგვიდგენია თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, საბანკო საქმის დარგსა და სხვა სფეროებში.

ედუარდ შევარდნაძემ მადლობა მოახსენა საბერძნეთის ხელმძღვანელობას დიდი დახმარებისათვის, რომელიც საქართველოს მძიმე დროს გაუწიეს. ეს იყო მარცვლეული, სათბობი, შეღავათიანი კრედიტები და სხვა. როგორც პრეზიდენტმა თქვა, საქართველო უკვე გამოვიდა კრიზისიდან. დღეს იგი სტაბილური ქვეყანაა, რაც ქმნის ნაყოფიერი თანამშრომლობის მტკიცე წანამძღვრებს.

დღის მეორე ნახევარში საქართველოს პრეზიდენტი ეწვია უცნობი ჯარისკაცის მემორიალს საბერძნეთის რესპუბლიკის პარლამენტის შენობის წინა მოედანზე და გვირგვინით შეამკო იგი. აჟღერდა საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მანამდე ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს დელეგაციის წევრები შეხვდნენ და ესაუბრნენ საბერძნეთის მთელი რიგი პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების ლიდერებს. შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი საბერძნეთის პარლამენტში მიიღო მისმა თავმჯდომარემ აპოსტოლის კაკლამანისმა. გამართული დიალოგის დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი თვალსაზრისი ორი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებს შორის კონტაქტების განმტკიცების გზებისა და შესაძლებლობების შესახებ.

საღამოს ედუარდ შევარდნაძე შეხვდა რეპატრიანტთა — საქართველოს ყოფილ მოქალაქეთა წარმომადგენლებს, რომლებიც თავიანთ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენ.

საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის კონსტანტინოს სტეფანოპულოსის სახელით საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და მისი მეუღლის პატივსაცემად გაიმართა ოფიციალური სადილი.

* * *

დღეს, 16 სექტემბერს, ათენის „მეგარო მუსიკის“ საკონცერტო დარბაზში გაიმართება ედუარდ შევარდნაძისათვის ონასისის სახელობის საერთაშორისო პრემიის გადაცემის ცერემონია, რომელიც მიენიჭა მას საერთაშორისო ურთიერთგაგებისა და სოციალური მიღწევებისათვის.

ნოდარ ბროლაძე,
ედუარდ ედიბერიძე.
საქინფორმის სპეც. კორ.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

საქართველოს ორგანული კანონი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (პარლამენტის უწყებანი, 1997 წლის 31 ივლისი, № 33) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. ამოღებულ იქნეს 85-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 85^1 მუხლი:

„მუხლი 85^1. საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულების ამოქმედებამდე საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად“.

3. 86-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 86. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა უფლებამოსილება. სასამართლოს აპარატი

1. რაიონის (ქალაქის) სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, გარდა იმ მოსამართლეებისა, რომლებიც დანიშნული (არჩეული) არიან ამ კანონის შესაბამისად, შეუწყდებათ უფლებამოსილება 1998 წლის 1 მაისს.

2. 1998 წლის 1 მაისამდე რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან (აირჩევიან) და თანამდებობიდან თავისუფლდებიან, აგრეთვე, მათი სამსახურებრივი უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა ვაკანტური დარჩა 1998 წლის 1 მაისის შემდეგ, მაშინ ახალი მოსამართლის უფლებამოსილების დაწყებამდე საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაუგრძელებს უფლებამოსილებას ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლეს. ახალი კონკურსი მოსამართლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად უნდა დაინიშნოს ბოლო კონკურსის ჩატარებიდან ან საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოსამართლის დანიშვნაზე უარის თქმიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა. თუ ამ კანონის შესაბამისად დანიშნული რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება არ იწყება 1998 წლის 1 მაისს, მისი უფლებამოსილების დაწყებამდე საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარდგინებით, შეუძლია უფლებამოსილება გაუგრძელოს ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლეს.

4. 1998 წლის 1 მაისის შემდეგ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უფლებამოსილების დაწყებამდე, საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო ამ ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის საბჭოს წარდგინებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაუგრძელებს უფლებამოსილებას შესაბამისად — საქართველოს უზენაესი სასამართლოს ან ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს.

5. 1998 წლის 1 მაისამდე საერთო სასამართლოების აპარატის საშტატო განრიგი და სტრუქტურა განისაზღვრება ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობით“.

4. 87-ე მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვა „გაუგრძელდებათ“ შეიცვალოს სიტყვით „უგრძელდებათ“; მე-3 პუნქტში სიტყვების „ 1997 წლის 15 ოქტომბრამდე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „აგრეთვე, ყველა საქმე, რომელთა განხილვაც არ დამთავრებულა 1997 წლის 25 ნოემბრამდე“; ამავე პუნქტს დაემატოს წინადადება: „1997 წლის 25 ნოემბრამდე დაუმთავრებელი საქმეების შემდგომი განხილვის წესი განისაზღვრება საპროცესო კანონმდებლობით“.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 88^1 მუხლი:

„მუხლი 88^1. საქართველოს საერთო სასამართლოების უფლებამოსილების ვადა. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. საქართველოს საერთო სასამართლოებს, რომლებიც მოქმედებდნენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღებამდე, გარდა საარბიტრაჟო და სამხედრო სასამართლოებისა, გაუგრძელდეთ უფლებამოსილების ვადა აღნიშნული კანონის მიღების დღიდან 1998 წლის 1 მაისამდე. მათი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ ამ სასამართლოთა წარმოებაში არსებული საქმეების შემდგომი განხილვის წესი განისაზღვრება საპროცესო კანონმდებლობით.

2. საქართველოს საერთო სასამართლოები 1998 წლის 1 მაისამდე საქმეებს განიხილავენ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესის შესახებ კანონის მიღებამდე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, დისციპლინურ სახდელთა სახეები, დისციპლინური სამართალწარმოებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი განისაზღვრება ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობით.

4. 1998 წლის 1 მაისამდე ძალაშია მოსამართლეთა კონფერენციის შესახებ ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობა“.

6. 90-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ამ კანონის ამოქმედებიდან, თუ მისი გარდამავალი ან დასკვნითი დებულებანი სხვა რამეს არ ითვალისწინებს, ძალადაკარგულად ჩაითვალოს“;

ბ) ამავე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები, ხოლო მე-2 პუნქტიდან „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები; ამასთან, „დ“ ქვეპუნქტი ჩაითვალოს „გ“ ქვეპუნქტად.

გ) 90-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„ 3. 1997 წლის 25 ნოემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

„საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოებში სასამართლო წარმოებისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოყენების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 28 ნოემბრის კანონი (პარლამენტის უწყებანი, 1996 წლის 25 დეკემბერი, № 31-32).

4. 1998 წლის 1 მაისიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისა და გაწვევის წესის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 20 მარტის კანონი (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., № 3, მუხ. 249);

ბ) „მსაჯულების მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 20 მარტის დადგენილება (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ., № 3, მუხ. 250).“

II. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს სასამართლოებში, აგრეთვე, თბილისის საქალაქო სასამართლოში საკასაციო გასაჩივრების ვადაში არ ჩაითვლება 1997 წლის 8 ივლისიდან ამ კანონის ამოქმედებამდე გასული დრო.

III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 3 სექტემბერი.

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, 1997 წლის 24 ივლისი, № 31-32) 273-ე მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ელექტროენერგეტიკული სექტორის, აგრეთვე, სასმელი წყლის მიწოდების, საკანალიზაციო წყლების გატარება-ჩაშვებისა და გაწმენდის მომსახურების, საწარმოებისათვის 2000 წლის 1 იანვრამდე პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მიწოდების მოცულობა განისაზღვროს ფაქტობრივად ანაზღაურებული ღირებულების მიხედვით“.

2. მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 ნაწილები:

„6. იმ ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც არჩეული არ არიან წარმომადგენლობითი და თვითმმართველობის ორგანოები, მათ არჩევამდე ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადების შემოღების უფლება გადაეცეთ „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 29 მაისის დადგენილების მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ორგანოებს.

7. 1998 წლის 1 იანვრამდე დსთ-ის ფარგლებში საქონლის ექსპორტისა და იმპორტის დროს დღგ-ისა და აქციზის მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის მიღებამდე მოქმედი რეჟიმი.

8. 102-ე მუხლით განსაზღვრული ხორბლის იმპორტის დაბეგვრის რეჟიმი ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან. 1998 წლის 1 იანვრამდე ხორბლის მიწოდებისა და იმპორტის მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის მიღებამდე მოქმედი რეჟიმი.

9. „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები მოქმედებს 1997 წლის 15 იანვრამდე რეგისტრირებულ საწარმოებზე“.

II. ეს კანონი ძალაში შედის საქართველოს საგადასახადო კოდექსის ამოქმედების დღიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1997 წლის 3 სექტემბერი.

პოზიცია

საზღვარზე სატრანზიტო სპირტის დაკავება ეწინააღმდეგება 17 სახელმწიფოს ინტერესებს

(თბილისი. „ინტერფაქსი“). მოსკოვის ცალმხრივი მოქმედება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე სატრანზიტო სპირტის შეტანის აკრძალვისათვის, ეწინააღმდეგება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მოქმედ შეთანხმებებს და საეჭვოს ხდის თანამეგობრობის სიცოცხლისუნარიანობას.

ეს განუცხადა კვირას „ინტერფაქსს“ საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანმა ვახტანგ აბაშიძემ, რომელმაც განმარტა რუსეთის ფედერაციის საზღვარზე სპირტის ტრანზიტის გამო შექმნილი სიტუაცია.

რუსეთ-საქართველოს საზღვარზე საქართველოს სამხედრო გზაზე ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის რაიონში და ოსეთის სამხედრო გზაზე ნიჟნი ზარამაგის საკონტროლო-გამშვები პუნქტის რაიონში, სხვადასხვა მონაცემით, თავი მოიყარა 400-დან 1700-მდე სპირტით სავსე სატვირთო მანქანამ. რუსეთის მხარე არ უშვებს ალკოჰოლიან ნედლეულს თავის ტერიტორიაზე, რადგან მოითხოვს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სპირტის შეტანის ლიცენზიების გაფორმებას.

ვ. აბაშიძემ აღნიშნა, რომ თანამეგობრობის მთელ ტერიტორიაზე 1992 წლიდან მოქმედებს ტვირთის ტრანზიტის სავსებით გარკვეული წესები. ამ შეთანხმებას საქართველო 1995 წელს შეუერთდა. შეთანხმების მუხლის თანახმად, მესამე სახელმწიფოებიდან თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოებში თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიის გავლით ტრანზიტით შეტანილი ტვირთი საბაჟომ უნდა გააფორმოს შესაბამისად იმ სახელმწიფოებში, საიდანაც იგზავნება და სადაც ჩადის ეს ტვირთი. შეთანხმებაში ისიც არის ნათქვამი, რომ სატრანზიტო ტვირთის გატარებას აწესრიგებს ტვირთზიდვის საერთაშორისო წესები.

როგორც ვ. აბაშიძე ამტკიცებს, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, ამ შეთანხმებას იცავდნენ, რუსეთის ცალმხრივი მოქმედება კი თავის ტერიტორიაზე სატრანზიტო სპირტის შეტანის აკრძალვისათვის, ეწინააღმდეგება ამ შეთანხმებას.

როგორც პრესმდივანმა თქვა, ეს არ არის თანამეგობრობაში დადებულ შეთანხმებათა დარღვევის პირველი შემთხვევა. მაგალითად, არ შესრულდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა ამასწინანდელი გადაწყვეტილება აფხაზეთში სამშვიდობო ძალების მოქმედების ზონის გაფართოების შესახებ;

ვ. აბაშიძე ამტკიცებს, რომ საზღვარზე სატრანზიტო სპირტის დაკავება ეწინააღმდეგება 17 სახელმწიფოს ინტერესებს, მაგრამ, ძირითადად, რუსეთის ფირმები ზარალდება.

პრესმდივნის ინფორმაციით, საქართველოს უშიშროების საბჭომ 13 სექტემბრის სხდომაზე გადაწყვიტა გამოეყვანა საქართველო-რუსეთის საზღვრიდან საქართველოს კუთვნილი ტრანსპორტი. ვ. აბაშიძემ განაცხადა, რომ ეს ტრანსპორტი გადმოიტვირთება სპეციალურ ტერმინალებში, ხოლო სპირტი შეინახება იქ საკითხის გარკვევამდე.

რაც შეეხება რუსეთის კუთვნილ და საქართველოს სამხედრო გზის რაიონში გაჩერებულ ტრანსპორტს, როგორც ვ. აბაშიძემ აღნიშნა, მისი უსაფრთხოების თვალყურისდევნება დაევალა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.


ო-ჰო-ჰო-ჰო, ამბროსიჩ, მეტი არა!
რუსებმა თავიანთი ნორმა იციან.
2

„კომსომოლსკაია პრავდის“ კარიკატურა (12 სექტემბერი, 1997 წ.).

პრივატიზაცია

რეფორმებისთვის მზად ვართ

მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყება USAID-ის საქალაქო მიწების პრივატიზაციის პროექტის განხორციელება, რომლის ერთ-ერთ პუნქტად შეტანილია იურიდიულ-საკანონმდებლო ბაზის მომზადება. პროექტის დაწყებამდე არასასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაციის შესახებ კანონის შემუშავებაში დახმარებას გაგვიწევს ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმის ცენტრი, მთავარი მრჩეველი — იურისტი რობერტ ლა მონტი,— ითქვა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობათა და კონტრაქტების მომზადების სამმართველოში უკვე ტრადიციად ქცეულ საკოორდინაციო შეხვედრაზე.

სპიკერმა — ბატონმა დავით ეგიაშვილმა აღნიშნა საერთაშორისო ორგანიზაციების და დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა და შეხვედრათა ციკლის თემატური თვალსაზრისით გაფართოების იმედი გამოთქვა.

დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბატონმა ზურაბ გეგეჭკორმა ისაუბრა საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ აზროვნებაში მიმდინარე რეფორმებზე, მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან — მიწის რეფორმაზე. აღნიშნა, რომ რეალიზებულ უნდა იქნეს და ჩამოყალიბდეს მიწის ბაზარი.

„ჩვენ მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ და დავეხმაროთ საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა დონორების კოორდინაციის საქმეში“, განაცხადა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროგრამების კოორდინატორმა საქართველოში ქალბატონმა კარილ კამისამ.

ევროკომისიის სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის ტექნიკურმა ასისტენტმა ქალბატონმა ლორენს ჟაკემ კი აღნიშნა, რომ ევროკომისია მიწის რეგისტრაციის საქმეში, ფულადი დახმარების სახით მონაწილეობს. მათ დააფინანსეს ტექნიკური დახმარების პაკეტი და მუშაობენ ბიუჯეტის გამაგრების საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით შეხვედრის სპიკერმა შენიშნა, რომ აგვისტოში ჩამოსვლას აპირებდა გაეროს ექსპერტი. ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის საკითხის გაჭიანურების გამო ვიზიტი არ შედგა.

დასასრულ ბატონმა ზურაბ გეგეჭკორმა განაცხადა, რომ საქართველო მზად არის რეფორმების განსახორციელებლად და იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი ექსპერტები დიდ დახმარებას გაუწევენ რეფორმების გზაზე მყოფ ქვეყანას.

მიწის მართვის
სახელმწიფო
დეპარტამენტის
პრესცენტრი.

ეკონომიკური ქრონიკა

ლიცენზირების წესი გამარტივდა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაამარტივა ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვების და მათი გამოყენებით დამზადებული ნაწარმის, ცალკეული სახეობის საქმიანობის წარმოებაზე იურიდიული და ფიზიკური პირების ლიცენზირების წესი — განაცხადა „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბრისას საქართველოს სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსმა მიხეილ ბეგიაშვილმა. მისივე თქმით, კომპანიებმა ლიცენზიების ასაღებად ფინანსთა სამინისტროს უნდა წარუდგინონ რესპუბლიკის სასამართლოსა და საგადასახადო სამსახურების მიერ გაცემული რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი. როგორც მ. ბეგიაშვილმა აღნიშნა, აქცენტი გამახვილდება სალიცენზიო სუბიექტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე.

სავალუტო ბირჟა

15 სექტემბრიდან თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ბანკებს ვალუტით ვაჭრობის უწყვეტ რეჟიმში ჩართვის საშუალება მიეცათ. მეტიც, მოდემით აღჭურვილი კომპიუტერების ჩართვით, ბანკები შეძლებენ ყველა არასაბირჟო გარიგების განხორციელებას საკუთარი ოფისიდან გამოუსვლელად. ცხადია, გარიგებები იმ შემთხვევაში დაფიქსირდება, თუ მყიდველის და გამყიდველი ბანკის მიერ გამოცხადებული კურსი დაემთხვევა.

ასევე ორშაბათს, 15 სექტემბერს, 16 სთ-ზე ბირჟაზე მოეწყო პირველი საცდელი ვაჭრობა სახელმწიფო ვალდებულებებით. როგორც ბირჟის ვიცე-პრეზიდენტმა ვახტანგ ხომიზურაშვილმა აღნიშნა, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ანგარიშსწორება T+1 რეჟიმში მოხდა. საცდელი ვაჭრობები ერთი კვირის განმავლობაში გაიმართება. მოგვიანებით ბირჟა აპირებს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის რეალურ რეჟიმში გადაყვანას. „თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟა, სულ ცოტა, სამი თვით საკომისიო მოსაკრეფზე უარს აცხადებს“. — ასეთი დაპირება მისცა ბანკირებს ბირჟის პრეზიდენტმა დავით კლდიაშვილმა.

სუფსის ტერმინალის მშენებლობას ელექტროენერგია შეფერხებებით მიეწოდება

სუფსის ნავთობის ტერმინალის მშენებლობის პროცესში უცხოური ფირმების წარმომადგენლებს სერიოზული სირთულეები შეექმნათ: უკვე ორი კვირაა, ტერმინალის ტერიტორიას „საქენერგოდან“ დიდი შეფერხებებით მიეწოდება ელექტროენერგია. არადა, მოწოდებული ელექტროენერგიის საფასური წინასწარ გადახდილია, — განაცხადა „მოამბე-ექსპრესის“ კორესპონდენტთან საუბარში კონცერნ „საქგეირაბმშენის“ ვიცე-პრეზიდენტმა გოგი ცინცაძემ.

სუფსაში გამართულ ტრადიციულ თათბირზე, სადაც მოისმინეს ინფორმაცია ტერმინალის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, გოგი ცინცაძის განმარტებით, თუ აღნიშნული პრობლემა სასწრაფოდ არ მოგვარდება, შესაძლოა ამან სერიოზულად შეაფერხოს ტერმინალის სამშენებლო სამუშაოები.

რეზერვი თბილისში იქმნება

მიუხედავად იმისა, რომ „თელასს“ ზამთრისათვის ჯერ მხოლოდ 30 ტრანსფორმატორის მარაგი აქვს, ეს სულაც არ აგდებს საგონებელში, ვინაიდან, როგორც „თელასის“ სამსახურის ხელმძღვანელმა აკაკი გაბრიჭიძემ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, თბილისში ამუშავდა ქარხანა, რომელიც 20 სექტემბერს უკვე პირველ ტრანსფორმატორს გამოუშვებს.

ქარხანას დაგეგმილი აქვს, გამოუშვას 1000-4000 ვატი სიმძლავრის ტრანსფორმატორები, რაც „თელასს“ ამ დანადგარებზე მოთხოვნას მოუხსნის. არადა, უფრო ხშირად სწორედ ამ სიმძლავრის ტრანსფორმატორები გამოდის მწყობრიდან. აკაკი გაბრიჭიძის თქმით, ქარხნის ამუშავება მათ დიდ სამსახურს გაუწევს, რადგანაც მოსალოდნელი ცივი ზამთრის პირობებში შესაძლოა ბევრი ტრანსფორმატორი გაიწვას, რეზერვი კი აქვე, თბილისში ექნებათ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, „მოამბე-ექს-პრესმა“, „ბეამ“.

პოლემიკა

აზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2 სექტემბრის ნომე- ი გამოქვეყნდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარია- ან არსებული ეკონომიკური რეფორმის საინფორმაციო ცე- ის განცხადება. იგი საქართველოს სოციალისტური პარ- ის რიგგარეშე კონგრესზე 26 ივლისს პარტიის თავმჯდო- ის მოხსენებაში გაშუქებულ ზოგიერთ პრობლემაზე პასუ- ს მცდელობას წარმოადგენს. ალბათ, საჭიროა უფრო ნათე- ოთ ზოგიერთ საკითხში ჩვენი პოზიცია ქვეყნის დღევან- ლი მდგომარეობისა და გატარებული რეფორმების მიმართ, აც ქვემოთ ვთავაზობთ მკითხველს.

ეფორმების პროგრამა, მისი ხორციელების სტრატეგია ტაქტიკა საერთაშორისო სა- ანსო ორგანიზაციების მიერ ნება, რომელთა შორის, ამ ეზე, მთავარ როლს საერ- შორისო სავალუტო ფონდი ამობს. რეფორმების ღო- ძიებების დასაფინანსებლად, თადად, იგი იხდის ფულს შესაბამისად და სრულიად რთლიანადაც თავის პირო- კარნახობს საქართველოს, მელსაც დიპლომატიურ ენა- რეკომენდაციები ეწოდება. ს შეუძლებელია ლარის კუ- ის სტაბილურობის შენარ- ება სსფ-ს ფინანსური ინე- ების გარეშე. ასე რომ, ლა- კურსის სიმტკიცის საფუ- ლი ჩვენი სამშობლოს სა- რებიდან ძალიან შორს იმ- ება და თუ რამ კარგი გა- თებია სსფ-ს, ეს სწორედ რის კურსის სტაბილიზაციაა. ლობრივ რეფორმატორებს საკითხში თავის მოსაწო- არაფერი აქვს. ამდენად, რ დავეთანხმებით სტატიის ორებს, რომ ლარი „სრუ- ოფილი ეროვნული ვალუ- ა“. ეს ეკონომიკაში გაუთ- ცნობიერებელი ადამიანე- ათვის განკუთვნილი პრო- ანდაა და საოცარია რატომ თ „რეფორმატორებს“ იმის ედი, რომ ჩვენ ამ სატყუა- ს გადავულაპავთ. ლარის კუ- ის სიმტკიცე არ ნიშნავს მტ- ეროვნულ ვალუტას, არ ნავს ფინანსურ სტაბილი- ას და ასევე არ ნიშნავს ნომიკურ სტაბილიზაციას, ან კურსი ხელოვნურადაა ტკიცებული. ამის მიღწე- გარდა სავალუტო ფონდის ედიტებისა, მოსახლეობის ბების კონფისკაცია დას- რდა და დღეს პენსიების, ხე- სების და სხვა სახის გა- რჯელოებისა თუ შემწეო- ის დიდი ხნით გაუცემლობა რდება ხოლმე. მრავალჯერ ამაყით ითქვა, რომ 1997 ის პირველ ნახევარში 0,5 ოცენტიანი ინფლაცია დაფი- რდა. თუ კიდევ ერთი-ორი ით დააგვიანებდა მთავრობა ფასებისა და პენსიების გა- ემს, ეს მაჩვენებელი ნულო- ნ დონემდე შეიძლება დასუ- ყო.

კონომიკის მინისტრის მე- ელებით, რეფორმების მე- ეტაპი 1992 წლის თებე- ლიდან დაიწყო. სწორედ ედან იღებს სათავეს შემა- ვენე ეკონომიკური პოლი- კა საქართველოში, რომე- ს ხალხს თავი შოკური თე- ბით გააცნო და დაამახსო- რა. რის სიმცდარეზეც მის მი- პროვოცირებული მოვლე- ბი და მოტანილი შედეგები ყველებს. კერძოდ, ჰიპერი- ლაცია, გაუაზრებელი პრი- იზაციის და კუპონის კურსზე ამის შედეგად ეროვნული მდიდრის სწრაფი გადანაწი- ება, მკვეთრი ქონებრივი გა- ებულობის წარმოქმნა, მოსახლეობის უდიდესი ნაწი- ლის მასიური გაღატაკება, არა- ურეველი მიგრაცია, საფინა- ნსო-საკრედიტო სისტემის მო- შლა, სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე კონტროლის და- კარგვა; საზოგადოებაში და- მკვიდრა გაურკვევლობამ, უი- მედობამ, უსამართლობისა და წირულობის შეგრძნებამ, რასაც ლოგიკურად მოჰყვა ობილი პოლიტიკური კატა- კლიზმები. დაიმალა სახელმ- წიფოებრივი სტრუქტურა, რო- მელმაც სამართალდამცავი ძა- ლოვანი სტრუქტურებიც მოი- ცა. ასე მომწიფდა ქვეყანა სა- ერთაშორისო საფინანსო ორ- განიზაციების „რეკომენდაცი- ების“ მისაღებად.

გარდამავალი პერიოდის ძი- რითადი პრობლემა საკუთრე- ბითი ურთიერთობების გარდა- ქმნაა. ეს საკმაო დროს მოი- თხოვს. თავდაპირველად გა- ებული პროგნოზის თანა- ხმად კი შოკურ თერაპიას პი- რველი დადებითი შედეგები სწ- რაფად უნდა მოეტანა. არაფერი ის მსგავსი არ მოხდა. ნამ- დვილად ახლის დამკვიდრებას რებამი საკმაო დრო სჭი- რდება, სანამ მას ფსიქოლო- გიურად შეეგუებიან, შეეჩვე- ვიან. სტერეოტიპები ერთი ხელის დაკვრით არ იმსხვრევა. შოკური თერაპია რასაც მოიტანდა, ამის გათვლას გონების დიდი დაძაბვა არ სჭირდებოდა. მთელი ეს სცენარი პოსტტოტალიტარული სივრცის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის ცოდნის დეფიციტზე იყო გათვლილი. ამ მეთოდმა იმდენად შეირცხვინა თავი, რომ დღეს ევროპაში მრავალი აღიარებს მის უვარგისობას. ეკონომიკური აზროვნების მიერ გამოტანილი დასკვნა ასეთია: შოკური თერაპიის მიერ მოტანილი დადებითი შედეგები ვერაფრით ანაზღაურებს მის მიერ გამოწვეულ დანაკარგებს. დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკა შოკური თერაპიის მომდევნო ეტაპს წარმოადგენს და ამდენად 1992 წლიდან აღებული კურსის გაგრძელებაა.

მემარჯვენეების წყალობით რეფორმები ჩვენთან უკუღმა დაიწყო. მთავარი ყურადღება ლიბერალიზაციასა და პრივატიზაციაზე იქნა გადატანილი. თვალთახედვის მიღმა დარჩა მთავარი – სტრუქტურული და ინსტიტუციონალური რეფორმები. მაგალითად, ისეთი მნიშვნელოვანი რამ, როგორიცაა კაპიტალის ბაზრის რეფორმა, დღემდე არავის გახსენებია. არსებული სამართლებრივი ვაკუუმი კი აქვეითებს მიკროეკონომიკურ ეფექტურობას, ასუსტებს საინვესტიციო სტიმულებს და ხელს უშლის სახელმწიფო ბიუჯეტის არაინფლაციურ დაფინანსებას.

რაც შეეხება მთლიან შიდა პროდუქტს, იგი სტატიის ავტორების თხოვნით, განვიხილოთ დინამიკაში. იუნისეფის მონაცემებით, 1992 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი დაეცა 40,3 პროცენტით, 1993 წელს – 39,4 პროცენტით, 1994 წელს – 30,0 პროცენტით. 1995 წელს დაცემა შეჩერდა არა სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, არამედ იმიტომ, რომ უკვე ვარდნა შეუძლებელი იყო. ქვეყანამ ფსკერს მიაღწია. ასეთი კატასტროფული დაცემის შემდეგ, რომელიც ყველაზე შთამბეჭდავია პოსტსაბჭოთა სივრცეში, სტატიის ავტორების მიერ აღნიშნული ზრდის ტემპები სრულიადაც არ არის გასაკვირი. მთლიანი შიდა პროდუქტი დაეცა იმ დონემდე, რომ ამას წინასწარ არავინ ელოდა და ეს ზრდის ტემპები ჯერჯერობით უფრო ზამბარის ეფექტს უნდა მივაწეროთ, ვიდრე გატარებული პოლიტიკის წარმატებას.

ახლა გადავხედოთ მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურას და ვნახოთ, ზრდის ფონზე რა ტენდენციებს დაედო სათავე. მთლიან შიდა პროდუქტში მაღალი ხვედრითი წილით, ტასისის ევროპული საექსპერტო სამსახურის (რომელსაც სოციალისტობას ნამდვილად ვერ დასწამებ) მონაცემებით სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა გამოირჩევა, შესაბამისად – 32 და 25 პროცენტი. ყველაზე სწრაფად განვითარებად სფეროს ვაჭრობა წარმოადგენს. მრეწველობის წილად 14 პროცენტი მოდის. მთლიანი შიდა პროდუქტის ასეთი სტრუქტურის გამო იდეალურ შემთხვევაშიც კი საგადასახადო შემოსავლებმა ბიუჯეტში შეიძლება მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 15 პროცენტი შეადგინონ. ეს მაჩვენებელი დღეისათვის, როცა მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ – 6,8 პროცენტს გაჭირვებით ვუყრით თავს ბიუჯეტში, სასურველია, მაგრამ სამომავლო პერსპექტივისათვის ფრიად არასასურველი. ამიტომ აუცილებელია მრეწველობის წილის ზრდა სოფლის მეურნეობის წილის შემცირების ხარჯზე. აქ, ცხადია, მრეწველობის შეუდარებლად წინმსწრები ზრდის აუცილებლობას ვგულისხმობთ, რომელმაც თავის მხრივ ხელი უნდა შეუწყოს აგრარული სექტორის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანას. ისეთი მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანაში, როგორიც გერმანიაა, ამ სექტორის ხვედრითი წილი სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობასთან ერთად მთლიანი სოციალური პროდუქტის 1,5 პროცენტს არ აღწევს. მრეწველობის წილი კი ჩვენთან 1996 წელს 1 პროცენტით შემცირდა წინა წელთან შედარებით. კაპიტალური დაბანდებების ხვედრითი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში მხოლოდ 1,1 პროცენტს შეადგენს, მაშინ, როცა ძირითადი ფონდები 20 წელზე მეტი ხნოვანებით 40 პროცენტია მძიმე მრეწველობაში და – 95 პროცენტი ქიმიურ მრეწველობაში. მრეწველობის დანარჩენ დარგებში ეს მაჩვენებელი აღნიშნულ პროცენტებს შორის მერყეობს. ხოლო საწარმოო შესაძლებლობების გამოყენება 20 პროცენტიდან (ქიმიური მრეწველობა) 5 პროცე (მანქანათმშენებლობა) იცვლება. კიდევ რამდენიმეწლიანი სტაგნაციის შემთხვევაში დეინდუსტრიალიზაციის პროცესი საქართველოში პრაქტიკულად დასრულდება. ვფიქრობთ, ბატონ ვახტანგ რჩეულიშვილის მოხსენებაშიც ეროვნული ეკონომიკის განადგურების აღნიშნულმა პროცესმა ჰპოვა ასახვა.

პარტიის ლიდერის მოხსენების და მთელი ჩვენი პარტიის მოღვაწეობის ლაიტმოტივს წარმოადგენს ზომიერება ყველაფერში და მათ შორის პროტექციონიზმთან დამოკიდებულებაშიც. უნდა ითქვას, რომ თავისუფალი ვაჭრობის სრული მხარდაჭერა მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მიღებულია პოლიტიკური რიტორიკის დონეზე. მაგრამ რეალურად მას მთლიანად და უპირობოდ არც ერთი ჭკუათმყოფელი სახელმწიფო არ მისდევს. მოვიყვანთ ერთ მაგალითს, როცა იაპონურმა ავტომანქანებმა იმდენად შეავიწროვეს ამერიკული მანქანები მათსავე ქვეყანაში, რომ ამერიკული კომპანიები წარმოების მნიშვნელოვანი შეკვეცის საშიშროების წინაშე დადგნენ, აშშ-ს მთავრობამ პროტექციონისტულ ზომებს მიმართა საკუთარი კომპანიების დასაცავად. მაგრამ ეს ისე არ გაუკეთებია, რომ საერთოდ შეუძლებელი გამხდარიყო იაპონური ავტომანქანების შეტანა. იმპორტი შეიზღუდა იმდენად, რომ ამერიკულმა კომპანიებმა მეტოქეებს ძლიერი მხარეები იგრძნეს და იძულებული გახდნენ საკუთარი ნაკლოვანებები გამოესწორებინათ. ძალიან ადვილი იქნებოდა თავისუფალი ვაჭრობის სრული მხარდაჭერის მოტივით მოვლენების თავის ნებაზე მიშვება. გაცილებით უფრო რთულია შიდა ბაზარზე ისეთი კონკრეტული გარემოს შექმნა, რომელიც სამამულო წარმოების კვდომის გამოწვევის მაგივრად, მის განვითარებას და ახალ დონეზე აყვანას შეუწყობს ხელს.

ცუდია, რომ მიწის რეფორმის გატარება, როგორც ამას „რეფორმატორები“ ამბობენ, მხოლოდ ახლა დაიწყო. ეს გაცილებით ადრე უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ არა გვგონია, დღეს არსებობდეს სოფლის მეურნეობის განვითარების მეტნაკლებად მისაღები მწყობრი კონცეფცია და შესაბამისი პროგრამები. ლენინური პრინციპი – ჯერ დავიწყოთ და მერე ვნახოთ – ყოვლად მიუღებელია. რეფორმების საწყის ეტაპზე ასეთი მიდგომით ერთხელ უკვე მოვიტეხეთ კისერი. სოფლის მეურნეობის რეფორმაციას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ თვით ამ სექტორის განვითარებისათვის, არამედ, აგრეთვე, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებისათვის და შესაბამისად მრეწველობის ახალ ნიადაგზე რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის.

ახლა რამდენიმე სიტყვა სოციალური სფეროს შესახებ. შოკური თერაპიისა და მისი მიმდევრების აზრით სოციალური სისტემის ნგრევას დროულად შეენაცვლებოდა ახლის მშენებლობა, რომელსაც სწრაფი ეკონომიკური ზრდის საფუძველზე კერძო და სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემების შეხამება უზრუნველყოფდა. წარმოების კატასტროფულ ვარდნას არ ევარაუდობდნენ. არავის გახსენებია „სოციალური სოლიდარობის“ პრინციპი, არც სამოცდაათწლიანი გამოცდილება და აქცენტი „საკუთარი ძალების დაყრდნობის“ და „პირადი პასუხისმგებლობის“ პრინციპებზე გაკეთდა. ეს უკანასკნელი, ცხადია, სწრაფად იქნა დავიწყებას მიცემული. ასეთმა პოლიტიკამ კოლოსალური ზარალი მოუტანა ქვეყანას. ღარიბებს და მდიდრებს შორის არსებული უფსკრულის შესახებ განცხადების ავტორებთან კამათმა დიდი დრო რომ არ წაიღოს, მოვიტანთ ტასისის ევროპული საექსპერტო სამსახურის მონაცემებს, რომლებიც მათ, სხვათა შორის, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან აიღეს. 1995-1996 წლებში შემოსავლები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: მოსახლეობის უღარიბესი 10 პროცენტის წილად მოდის 0,9 პროცენტი, ხოლო უმდიდრესი 10 პროცენტის წილად – 43,1 პროცენტი. ხსენებული სამსახურის აზრით „შემოსავლის ასეთი არათანაბარი განაწილება ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას ხელს არ შეუწყობს“. მათ შორის არსებული უფსკრულის შემცირების ფაქტი არსებობს, მაგრამ იგი ტენდენციად არ ჩამოყალიბებულა, როგორც ეს განცხადების ავტორებს სურთ წარმოადგინონ.

განცხადებაში სახელმწიფოს მხრიდან სოციალური სფეროს მზარდი მხარდაჭერის საილუსტრაციოდ აღნიშნულია, რომ სოციალური საჭიროებებისათვის 1995-1997 წელს გამოიყო ბიუჯეტის ხარჯების შესაბამისად – 20; 37,6 და 38,7 პროცენტი. მაგრამ, ეს მედლის ერთი მხარეა. არაფერია თქმული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფარული გადასახადები, ანუ უშუალოდ ხალხის როგორც მომხმარებლის ჯიბიდან ამოღებული თანხები, რამდენს შეადგენდა. სურათის სისრულისათვის აუცილებელია აღინიშნოს, რომ 1996 წელს ფარული გადასახადების ხვედრითი წილი ბიუჯეტის შემოსავლებში იყო 37,9 პროცენტი, ხოლო 1997 წელს – 56,2 პროცენტი. ასე რომ სოციალური სფეროს მიმართ მზარდი მზრუნველობა არ გამოდის.

ავტორები თავიანთ სასარგებლოდ ცდილობენ წარმოაჩინონ ის ფაქტი, რომ „საშუალო თვიური ფულადი შემოსავალი ერთ შინა მეურნეობაზე 1996 წლის მეოთხე კვარტალში შეადგენდა 149,7 ლარს, რაც 1,5 პროცენტით აღემატებოდა ამავე წლის მესამე კვარტლის მაჩვენებელს“. მაგრამ აქვე „ავიწყდებათ“ აღნიშნონ, რომ ამ თანხის 16 პროცენტი ქონების გაყიდვით, ხოლო 24 პროცენტი, ძირითადად, სახსრების სესხად აღებითაა შევსილი.

განცხადებაში იმის კონტრარგუმენტად, რომ 20-30 ლარიან ხელფასზე ცხოვრება შეუძლებელია, მოტანილია საშუალო თვიური ხელფასის შედარებით მაღალი მაჩვენებლები, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო სფეროსათვის და ნაჩვენებია მისი ზრდის ტემპი. ცოტა ღიმილის მომგვრელია ასეთი მიდგომა, სატირალი რომ არ იყოს. როცა ე. წ. საშუალო თვიური ხელფასი საარსებო მინიმუმის მესამედს ცოტათი აჭარბებს და თანაც, როცა ცნობილია, რომ ხელფასმა დაკარგა (სხვათა შორის ამას ვერც სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო უარყოფს) სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია და ფაქტიურად ის აღარ წარმოადგენს ხელფასს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – „საშუალო თვიური ხელფასის ზრდის ტემპების“ წარმოდგენა უფრო პროცენტების გამოყვანაში ვარჯიშს წააგავს, ვიდრე რეალური ვითარების ანალიზის მცდელობას. ჩამორჩენილ და არა ჩვენსავით დაქცეულ ქვეყანაში საარსებო მინიმუმი საშუალო ხელფასის სულ მცირე – 65 პროცენტს შეადგენს.

ავტორები ასევე გვედავებიან, რომ დღიური ხელფასი – 1 დოლარზე ნაკლები კი არა, – 1,1 დოლარიაო. ნამდვილად არ გადაგვიმოწმებია, თუ, რომელი მონაცემია უფრო ზუსტი. მათთვის გვიჩუქნია ამ სიდიდეებს შორის სხვაობა – 11 ცენტი. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ორივე შემთხვევა ქვეყნის მდგომარეობის ტრაგიზმს ააშკარავებს. – 11 ცენტი ვერაფერს ცვლის.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ, როცა სოციალურ სფეროზე და მის რეფორმაზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს ევროპის წამყვანი სახელმწიფოების გამოცდილება. ევროპისა, რომლისკენაც მიისწრაფვის ჩვენი ქვეყანა. ევროპის განვითარებულმა სახელმწიფოებმა ეკონომიკური ეფექტურობის მაღალ დონეს მიაღწიეს ადამიანურ კაპიტალში მნიშვნელოვანი სახელმწიფო სახსრების დაბანდებით, სრულყოფილი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნით და მასზე დაყრდნობით შემოსავლების სამართლიანი განაწილების გზით სოციალური თანხმობის დამკვიდრებით.

11 ცენტი ვერაფერს ცვლის

P. S. ამ საკითხებზე ჩვენებურ „რეფორმატორებთან“ დავა უსასრულოდ შეიძლება. სოციალისტური პარტია ამისათვის მზად არის. ნებისმიერ შემთხვევაში უსაგნო კამათსა და კინკლაობას ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებზე პროფესიული მსჯელობა სჯობს.

სს პრეს-ცენტრი.

ენერგეტიკა

ვინც იცნობს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში შექმნილ მდგომარეობას, ვისთვისაც ძვირფასია ამ დარგის პერსპექტივები, შეშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ენერგეტიკულ კრიზისს დასასრული არ უჩანს. თანდათანობით უარესდება ძირითადი ფონდების საერთო მდგომარეობა, ხოლო ენერგეტიკული აგრეგატების ტექნიკური გადაიარაღებისა და ახალი ობიექტების მშენებლობის პროცესი შეჩერდა და მისი განახლება უაღრესად არის გართულებული.

რთულ და გაურკვეველ პირობებში მოქმედებს ელექტროენერგეტიკა. მუშაობა შეწყვიტა ელექტროენერგიის მაგენერირებელი სიმძლავრეების საგრძნობმა ნაწილმა. არანორმალურ პირობებში მუშაობს ელექტროენერგის გადამცემი და გამანაწილებელი სისტემები და კომუნიკაციები. შველას ითხოვს ჰიდროელექტროტექნიკური ნაგებობები.

გადავარჩინოთ გარდაბნის თბოელექტროსადგური!

ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისის პროცესში შექმნილმა მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ ფაქტობრივად შეაჩერა ძირითადი და დამხმარე ენერგეტიკული აგრეგატების საექსპლოატაციო და სარემონტო სამუშაოები. დაშლის პროცესშია ენერგეტიკული სარემონტო-სამშენებლო ინდუსტრია. დაგროვდა სამუშაოთა დიდი მოცულობები, რაც რეაბილიტაციისათვის მნიშვნელოვან ინვესტიციებს საჭიროებს. ჰიდროელექტროსადგურებში დაკარგულია 2 მლრდ კვტსთ-მდე ელექტროენერგიის წარმოების პოტენციალი, ხოლო თბოელექტროსადგურებში, ექსპლუატაციის პირობების მკვეთრად გაუარესებასთან ერთად, შეიქმნა სათბობის იმპორტირებასთან დაკავშირებული მწვავე პრობლემები. სათბობის უქმარისობამ და არადამაკმაყოფილებელმა ტექნიკურმა მდგომარეობამ განაპირობა გარდაბნის თბოელექტროსადგურისა და თბილისის თბოელექტროცენტრალის ფაქტობრივად წყვეტილ რეჟიმში გადაყვანის აუცილებლობა.

განსაკუთრებით რთულია გარდაბნის თბოელექტროსადგურში შექმნილი სიტუაცია. ამ ობიექტზე სარემონტო სამუშაოები 10-15 პროცენტის დონეზე სრულდება, რის გამო არც ერთი ენერგობლოკი სრული დატვირთვით არ მუშაობს. საქართველოში შემუშავებული ენერგეტიკული პოლიტიკის მიხედვით ელექტროსადგურს ჯერჯერობით არ გააჩნია მიზანდასახული პერსპექტივა. თუ არადა, აღნიშნული თბოელექტროსადგური, რომელიც საქართველოს ყველაზე ენერგოტევად რაიონშია განთავსებული, ენგურის ჰიდროენერგეტიკულ კასკადთან ერთად ქმნის ქვეყნის სასიცოცხლო ენერგეტიკულ ბირთვს.

გარდაბნის თბოელექტროსადგური მძლავრი და უნიკალური ენერგეტიკული ობიექტია, რომელიც აღჭურვილია თითქმის ყველა სახის საინჟინრო ნაგებობებით, კომუნიკაციებით და ინფრასტრუქტურით.

თბოსადგურში 10 ენერგეტიკული ბლოკია დამონტაჟებული, მათი ჯამური სიმძლავრე შეფასებულია 1700 მგვტ-ით, ხოლო წლიური გამომუშავების პოტენციალი 10 მლრდ კვტსაათია (8 ენერგობლოკზე 80-იან წლებში გამომუშავება საშუალოდ შეადგენდა 7 მლრდ კვტსაათს წელიწადში). ობიექტს აქვს მრავალკომუნიკაციანი მძლავრი ღია გამანაწილებელი ქვესადგური, მაღალი ძაბვის გადამცემი სისტემები, დიდი გამტარუნარიანი ბუნებრივი გაზის გაზსადენები, წყალმომარაგების ბრუნვითი სისტემა, მაზუთის მძლავრი სამარაგო ავზები, საავტომობილო და რკინიგზის ქსელები, საყოფაცხოვრებო სექტორი და სოციალური სფეროს მთელი კომპლექსი.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური რეფორმების დაწყებიდან აქ ყველაფერი შეიცვალა, ჯერჯერობით მოხერხდა ენერგობლოკების მხოლოდ ფიზიკური შენარჩუნება. რაც შეეხება ელექტროენერგიის წარმოების მოცულობებს, იგი საერთო გამომუშავების 60 პროცენტიდან ამჟამად 10-12 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი 8-10 პროცენტამდეა დაყვანილი. არც იყო მოსალოდნელი უკეთესი შედეგები: მოუვლელ, სათბობის გარეშე დარჩენილ და ფაქტობრივად დაუტვირთავ ელექტროსადგურს არ შეიძლება ჰქონდეს ქვეყნისათვის მისაღები ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემები. რაოდენობრივი მაჩვენებლების შემცირებამ კატასტროფულად გააუარესა ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოების ეკონომიკური მაჩვენებლები, დაბალია ენერგობლოკების მუშაობის საიმედოობა, ხშირია ავარიები და იძულებითი გამორთვები, რაც, სხვა უსიამოვნების გარდა, სათბობის გადახარჯვას უწყობს ხელს.

თბოელექტროსადგურის ამჟამინდელ მდგომარეობას დრამატიზება არ სჭირდება, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: წარსულში ელექტროენერგიის წარმოების აღნიშნული ფლაგმანი ამ პირობებში არ წარმოადგენს მძლავრ და საიმედო ენერგეტიკულ წყაროს, მას თანდათან გაპარტახების რეალური საფრთხე ემუქრება. ზოგიერთ წრეში იმასაც ამბობენ, რომ ძველი 8 ენერგობლოკი მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილია და მათი უმრავლესობა ჩამოწერას და ჯართად გაყიდვას ექვემდებარება. ასეთ მოსაზრებას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოს ენერგეტიკას საკუთარი შემოსავლების საშუალებით, ხოლო ქვეყნის ბიუჯეტს გასავლის ნაწილში არ ძალუძს დააფინანსოს თბოსადგურში დაგროვილი სარეაბილიტაციო სამუშაოები, მით უმეტეს – მისი ტექნიკური გადაიარაღება და ახალი მშენებლობები.

ჩვენ, ცხადია, შორსა ვართ იმის მტკიცებისაგან, რომ საქართველოს ენერგოსისტემა ამ თბოელექტროსადგურის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას შეძლებს საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობებით, მაგრამ ობიექტის აღდგენა-შენარჩუნების გარკვეული შანსი ჯერ კიდევ არსებობს და ახლა მთავარია მისი გამოყენება. უსაფუძვლოდ გვეჩვენება ძველი 8 ენერგობლოკის ფიზიკურ-მორალურ გაცვეთაზე არსებული დისკუსია, ვინაიდან მეზობელ აზერბაიჯანში (ალი-ბაირამლი) ამჟამად საკმაოდ ეფექტურად მუშაობს ანალოგიური ტიპის, უფრო ხანდაზმული 7 ენერგობლოკი და, არსებული ინფორმაციით, არავის უფიქრია მათი ლიკვიდაცია. პირიქით, აზერბაიჯანელ ენერგეტიკოსებს შემუშავებული აქვთ ელექტროსადგურის ტექნიკური გადაიარაღების პროგრამა და ყველაფერს აკეთებენ მისი განხორციელებისათვის.

უკანასკნელ პერიოდში იმართება დისკუსიები იმის შესახებ, თუ როგორ და როდის უნდა აშენდეს ტყიბულის თბოელექტროსადგური ნახშირის სათბობზე. ამ თემაზე ყურადღებას ამახვილებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც, მაგრამ გარკვეულწილად უპასუხოდ რჩება საკითხი – სად და როდის იქნება საჭირო რაოდენობის ნახშირი და, საერთოდ, რა საშუალებებით არის შესაძლებელი ნახშირის მრეწველობისათვის აუცილებელი ინვესტიციების მოზიდვა. თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ საქნახშირის სახელმწიფო პროგრამას, აქ აშკარად შეუსაბამობაა ნახშირის მოპოვების მოსალოდნელ მოცულობებსა და ელექტროსადგურისათვის საჭირო ნახშირის რაოდენობას შორის.

ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის პირობებში მდგომარეობა კრიტიკულია, მაგრამ იგი უიმედოც არ არის, თუ გავითვალისწინებთ იმ გეოგრაფიულ მდგომარეობას, რომელშიც საქართველოს ენერგეტიკული ობიექტებია განლაგებული.

მხედველობაში გვაქვს ის, რომ გარდაბნის თბოელექტროსადგური სულ 200-მდე კილომეტრით არის დაცილებული თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ისეთი რეგიონიდან, სადაც ჯერჯერობით ენერგიის დიდი დეფიციტია და მისი ენერგოუზრუნველყოფა თურქეთის ხელისუფლების საზრუნავს შეადგენს. საქართველომ შესაძლოა შესთავაზოს თურქეთს ამ მხრივ თანამშრომლობა ორივე მხარისათვის ხელსაყრელი პირობებით. პროექტი კომპლექსში უნდა შეიცავდეს წინადადებას გარდაბნის თბოსადგურის აღდგენის შესახებ თანამშრომლობაზე და ელექტროენერგიის თურქეთში ექსპორტს 500 კვ-ძაბვის გადამცემი ხაზით, რომელიც ნაწილობრივ აშენებულია, ხოლო დანარჩენის მშენებლობას შედარებით მოკრძალებული სახსრები სჭირდება. თურქეთის ენერგეტიკულ ბაზაზე გასვლა აღნიშნული წინადადებით ორივე მხარისათვის ხელსაყრელია და შედარებით ნაკლებ დანახარჯებს მოითხოვს. ასეთი მოსაზრების მიზანშეწონილობის საფუძველს იძლევა თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებაც. კერძოდ, აზერბაიჯანი თურქეთს სთავაზობს ელექტროენერგიის მიწოდებას საქართველოს 500 კვ-ძაბვის გადამცემი ხაზით „გარდაბანი-ახალციხე“, იმ პირობით, თუ თურქეთი ინვესტიციებს გაიღებს აზერბაიჯანის ენერგოსისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოთათვის. სრულებითაც არ ვფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით აზერბაიჯანთან დაპირისპირებას, მაგრამ საქართველოსთან თურქეთის ასეთი თანამშრომლობა უფრო იაფი რეგიონული პროექტია და საერთაშორისო კანონებით მხარდაჭერას ექვემდებარება.

არანაკლებ საინტერესოა ასეთ პროექტში რუსეთის ჩართვის შესაძლებლობაც. როგორც ცნობილია, რუსეთი დაინტერესებულია თურქეთის ენერგეტიკული ბაზრით, მაგრამ ამ სურვილის რეალიზაციის ყველაზე რეალურ შესაძლებლობას ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან ენერგეტიკული თანამშრომლობა დასჭირდება. ალბათ, ამითაც უნდა აიხსნას ამას წინათ რუსეთის ინიციატივით შექმნილი საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოთაშორისო სააქციო საზოგადოება „საქროსენერგო“, რომელიც გაფორმდა შესაბამისი შეთანხმებით. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია ის ფაქტიც, რომ გარდაბნის თბოელექტროსადგურის ყველა აგრეგატი და მოწყობილობები რუსეთის და სნგ-ს სხვა ქვეყნების მანქანათმშენებელი ქარხნების პროდუქციაა და მათი დაინტერესება ასეთი შეკვეთით უდაოა.

მოლაპარაკება თურქეთთან და აზერბაიჯანთან ამ მიმართებით სასარგებლოა და დროულად მიგვაჩნია. მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია თურქმენეთის გაზის გამოყენებაც. თურქმენეთი, როგორც ცნობილია, დაინტერესებულია ბუნებრივი აირის რეალიზაციით, მაგრამ უპირატესობას ანიჭებს არა სეზონურ, არამედ მუდმივ მომხმარებელს. გარდაბნის თბოელექტროსადუგრის აღდგენა-განვითარებაში რუსეთთან ერთად შეიძლება დაინტერესდნენ სნგ-ს სხვა ქვეყნებიც (უკრაინა, უზბეკეთი, ბელორუსია), რომლებიც ამ პროექტით მიიღებენ ათეულ მილიონის ღირებულების შეკვეთებს.

ზემოთ აღნიშნული პროექტის რეალიზაციის შედეგად, ცხადია, საქართველოს მხარემ უნდა მიიღოს ყველაზე მეტი სარგებელი, რომელიც, პირდაპირი შედეგების გარდა, სხვა ფაქტორებთანაც არის დაკავშირებული. მათ შორის:

– ხელმისაწვდომი და უდანაკარგო გახდება ელექტროენერგიის იმპორტი;

– გაუმჯობესდება საქართველოს ენერგოსისტემის მდგრადობა. დაცული იქნება ელექტროენერგიის სისტემური პარამეტრები;

– დასაქმდება პერსონალი, შენარჩუნდება და მომზადდება ეროვნული ენერგეტიკული კადრები;

– შეიქმნება ქვეყნისათვის მისაღები მყარი სატარიფო სისტემა;

– მეტი ყურადღება დაეთმობა საქართველოს ჰიდროენერგეტიკის მოვლა-პატრონობისა და განვითარების საკითხებს;

– მომზადდება ბაზა ამიერკავკასიის ენერგოსისტემაში საქართველოს ენერგოსისტემის როლის ასამაღლებლად.

საქმე გვაქვს მომავალში ასეული მილიონი ლარის შემოსავლებთან, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ამ პროექტით. თუ ამას დავუმატებთ გარდაბნის თბოელექტროსადგურის სტატუსის შეცვლას, მაშინ გასაგები გახდება ასეთი გარიგების სიკეთე.

გვესმის, რომ ყველა მიმზიდველ წამოწყებას აქვს მრავალი რთული ასპექტი. პირველ რიგში საჭირო იქნება დაინტერესებული ქვეყნების კაპიტალის მობილიზება და საერთო ძალისხმევა ყველა მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილებების მისაღებად.

პროექტის რეალიზაციის საწყის ეტაპზე საჭიროდ მიგვაჩნია გარდაბნის თბოელექტროსადგურის ბაზაზე საერთაშორისო კონსორციუმის შექმნის საკითხის განხილვა, რომელშიც საქართველოს გარდა უნდა შევიდნენ რუსეთი, თურქმენეთი, თურქეთი და სხვა დაინტერესებული ქვეყნები.

აღნიშნული საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობის ახალ პირობებში სიტუაცია ენერგეტიკულ ბაზარზე სწრაფად იცვლება, ამიტომ ქვეყნის მარტო შიდა ბაზარზე ორიენტირებული ენერგეტიკა ვერ განვითარდება სახელმწიფოს მუდმივი ხელშეწყობის გარეშე.

ამ სტატიის მიზანს არ წარმოადგენს მკითხველისადმი გამზადებული რეცეპტის შეთავაზება, მაგრამ საქართველოს ენერგეტიკა, ისე როგორც ყველა სხვა ქვეყანაში, ვერ იქნება მოწოდების სიმაღლეზე თბოელექტროსადგურების გარეშე, ხოლო თბოელექტროსადგურები მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო, როცა მაღალია მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მონაცემები და მზადყოფნის კოეფიციენტი.

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ, მისმა ექსპერტებმა ამ მიმართულებით უახლოეს პერიოდში უნდა გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, რაც საფუძველი გახდება მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობისთვის.

უმაღლეს დონეზე ამ საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დაყოვნება სასურველი არ არის. ამას აჩქარებს არა მარტო გარდაბნის ელექტროსადგურის გაპარტახების საფრთხე, არამედ ის საფრთხეც, რომელიც ენერგეტიკის დარგს და ქვეყნის ეკონომიკას შეიძლება შეექმნას გარეშე ენერგეტიკული ბაზრის უქონლობის გამო.

ალექსი უდანოვიჩი,
„საქენერგოს“ ეკონომიკური
სამმართველოს უფროსი;

შალვა ზარანდია,
ეკონომიკის სამინისტროს
სათბობ-ენერგეტიკის კომპლექსის ეკონომიკის სამმართველოს უფროსი.

პრეზენტაცია

„ვითაბანკი“



რას წარმოადგენს „ვითაბანკი“?

პირველი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს რომელიმე კვლევით ინსტიტუტში მოხვდით. თვალში გეცემათ გამოთვლითი მანქანები, კომპიუტერები, თანამედროვე ვიდეო და კავშირგაბმულობის აპარატურა, იდეალური სისუფთავე და კომფორტული, ლამაზი დიზაინი.

დიახ, ასეთი სურათი დაგვხვდა, როცა მოვინახულეთ თბილისის ერთ-ერთი სააქციო საზოგადოება „ვითაბანკი“. იგი დაარსდა 1995 წლის სექტემბერში. მისი დამფუძნებლები არიან საქართველოსა და საზღვარგარეთ ცნობილი კომპანიები, რეზიდენტი და არარეზიდენტი კერძო პირები.

დაარსებისთანავე „ვითაბანკმა“ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს საქმიან წრეებში. ბანკის თითქმის მთელი კოლექტივი დაკომპლექტებულია ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი სპეციალისტებით, რომლებსაც საქართველოს, ევროპისა და აშშ-ის წამყვან ბანკებში მუშაობის გამოცდილება აქვთ. ამანაც განაპირობა, რომ პირველი წლიდანვე ბანკში შესაძლებელი გახდა მრავალი კომპანიის მოზიდვა, რომლებიც საკმაოდ აქტიურ პოზიციებს იკავებენ მიმდინარე ბაზარზე.

„ვითაბანკს“, რომლის საკუთარი კაპიტალი შეადგენს 100 000 ლარს, გახსნილი აქვს საკორესპონდენტო ანგარიშები ნიუ-იორკის, ლონდონის, ფრანკფურტის, ჟენევის, მილანის, ვენისა და სხვა ფინანსური ცენტრების პირველი კლასის ბანკებში, რაც, რა თქმა უნდა, ზრდის კლიენტების დავალებათა შესრულების ხარისხსა და სისწრაფეს.

„ვითაბანკი“ თავის კლიენტებს სთავაზობს მომსახურების თითქმის ყველა სახეობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს საბანკო კონიუნქტურის სპეციფიკიდან გამომდინარე. ბანკი აქტიურ მუშაობას ეწევა აგროსფეროს დაკრედიტების დარგში, ევროგაერთიანების ტასისის საპარტნიორო ფონდთან ერთად.

ბანკის კლიენტთა რიგებში შეხვდებით კომპანიებს, რომლებიც არიან ნავთობპროდუქტების, მარცვლეულისა და საკვები პროდუქტების მსხვილი იმპორტიორები საქართველოში. საწარმო-ორგანიზაციებთან ერთად ბანკში თავმოყრილია კერძო პირებიდან მოზიდული თანხები, რომლებიც განთავსებულია მოქალაქეთა შემნახველ ანგარიშებზე.

„ვითაბანკმა“ წარმატებით გაიარა საქართველოს ეროვნული ბანკის სერტიფიცირების პროგრამა და გახდა საერთაშორისო საგადამხდელო სისტემების წევრი.

სიმონ კილაძე.

სურათებზე: საკრედიტო ურთიერთობის სპეციალისტი მარეხ ბარნოვი, საკრედიტო განყოფილების მუშაკი სანდრო ხურციძე და ბუღალტერ-ოპერატორი ნინო იმნაძე.

ავტორის ფოტოები.

იუბილე

დიდებული მეისტორიე

ქართული საისტორიო მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელს ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს დაბადების 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა

მარიამ ლორთქიფანიძე ქართველ ისტორიკოსთა იმ სკოლის წარმომადგენელია, რომელსაც საფუძველი დაუდეს ივანე ჯავახიშვილმა და მისმა ორმა მოწაფემ — სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა. პატრიოტიზმი („მამულიშვილობა") და მეცნიერული კეთილსინდისიერება — აი ამ სკოლის ფუძემდებლის მიერ დამკვიდრებული ის პრიციპები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ თავიანთ მოღვაწეობაში ამ სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლები და, მათ შორის, ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე. ის თავდადებით, უანგაროდ ემსახურება თავის ხალხს, როგორც მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, პატრიოტი, ღირსეული ქართველი ქალი.

მარიამ ლორთქიფანიძის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 10 მონოგრაფია. ამ ნაშრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული მედიევისტიკის განვითარებაში, შუქი მოჰფინეს ბევრ მანამდე გადაუჭრელ პრობლემას. ამავე დროს ის გულმხურვალედ და შემართებით ეხმაურებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, პირნათლად იხდიდა მეცნიერ-პატრიოტის ვალს სამშობლო ქვეყნის წინაშე.

მარიამ ლორთქიფანიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია. 1944 წელს დაამთავრა ისტორიის ფაკულტეტი, 1947 წელს — ასპირანტურა. იმავე წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ხოლო 1948 წლიდან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1948 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1963 წელს — დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1966 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო 1975 წელს — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1972 წელს აირჩიეს უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ. 1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1990 წელს — ნამდვილ წევრად.

ღვაწლმოსილი მკვლევარი აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო საზოგადოებათა მუშაობაში. არის საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარის მოადგილე, საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ქართული ენციკლოპედიის საქართველოს ისტორიის საბჭოს თავმჯდომარე; მთავარი რედაქტორია თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის „შრომებისა", ასევე მთავარი რედაქტორია თბილისის უნივერსიტეტისა და გერმანიის სამი უნივერსიტეტის (იენის, ზაარბრიუკენის და კონსტანცის) ერთობლივი სამეცნიერო ორგანოსი — „გეორგიკა". მ. ლორთქიფანიძე ხშირად მონაწილეობს ისტორიკოსთა საერთაშორისო ფორუმებში.

მარიამ ლორთქიფანიძე ფართო დიაპაზონის მეცნიერია. მისი კვლევის სფეროა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა დარგი: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეთნიკური და კულტურის ისტორია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, ურბანისტიკა, საქართველოს ისტორიული ურთიერთობა კავკასიის სხვა ხალხებთან, ბიზანტიასთან, აღმოსავლეთის ქვეყნებთან და სხვ. ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული სკოლის წარმომადგენელი, თავის ნაშრომებში არასდროს ღალატობს ობიექტურობას, მეცნიერულ კეთილსინდისიერებას, ენთუზიაზმით ემსახურება თავისი სამშობლოს წარსულის ჭეშმარიტი სურათის დადგენას.

პირველი პრობლემა, რომლის კვლევაც დაიწყო ქალბატონმა მარიამმა ჯერ კიდევ ასპირანტობის პერიოდში, მისი ხელმძღვანელის აკად. ს. ჯანაშიას დავალებით, იყო საქართველოსა და არაბთა სახალიფოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები. ამ პრობლემის კვლევაში არაბული წყაროების გაანალიზებისათვის ახალგაზრდა მეცნიერმა, აკად. გ. წერეთლის ხელმძღვანელობით, შეისწავლა არაბული ენა. დაეუფლა რა კლასიკურ არაბულს, გამოაქვეყნა ისეთი მნიშვნელოვანი არაბული დოკუმენტის ქართული თარგმანი, გამოკვლევით, როგორიცაა „ჰაბიბ-იბნ-მასლამას დაცვის სიგელი" (1951 წ.) მანვე მონოგრაფიულად შეისწავლა საქართველოში არაბთა მიერ დაარსებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული — თბილისის საამირო (VIII-X სს). ამ თემაზე დაიცვა მ. ლორთქიფანიძემ საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც გამოქვეყნდა 1951 წ. ამავე პრობლემებისადმია მიძღვნილი მისი ნაშრომები: „ქართველი და სომეხი ხალხების ბრძოლა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ (1958 წ), „არაბთა მფლობელობის ხასიათი საქართველოში"(1963 წ.).

მეცნიერმა საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა V საუკუნის დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, ქართლის მეფეს ვახტანგ გორგასალს („ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში"). ამ ნაშრომში გაანალიზებულია V ს-ის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და საეკლესიო ისტორიის უმთავრესი საკითხები, ბრძოლა სასანიდური ირანისა და ბიზანტიის აგრესიის წინააღმდეგ, საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენა, ახლებურად არის გაშუქებული დიდი მეფის — ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის პრობლემაა გაშუქებული, აგრეთვე, მ. ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში „საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება" (1963 წ.). ამ ნაშრომში წარმოჩენილია VIII-X სს-ის საქართველოში წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი ერთეულების ისტორია და მათი სახელმწიფოდ კვლავ ჩამოყალიბება, ხაზი აქვს გასმული ეკლესიის როლს ამ პროცესში.

შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანას" უძღვნა მ. ლორთქიფანიძემ თავისი ნაშრომები: „რუსთაველის ეპოქა" (1966 წ.), „საქართველო XI-XII სს" (1974 წ.) და სხვ. ამ ნაშრომებში დადგენილია ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს XII ს-ში საქართველოს გადაქცევა წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ, წარმოჩენილია საქართველოს წამყვანი როლი ამ პერიოდის კავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამავე ეპოქისადმია მიძღვნილი მისი ნაშრომი ინგლისურ ენაზე — „საქართველო XI-XII საუკუნეებში" (1987 წ.).

მეცნიერი დიდ ყურადღებას უთმობს შუა საუკუნეების საქართველოს სოციალური ისტორიის საკითხებს, როგორიცაა გლეხთა და აზნაურთა სოციალური წოდებების წარმოქმნა-განვითარება, წოდებათა შორის ურთიერთობა, ბატონყმობის წარმოქმნა, მიწათმფლობელობის ფორმები და სხვ. ეს საკითხებია განხილული მის ნაშრომებში: „ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX-Xსს-ის საქართველოში", „ბატონყმობის გამარჯვების საკითხისათვის", „სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს-ის საქართველოში" და სხვ.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მ. ლორთქიფანიძემ ქართულ ურბანისტიკაში, განსაკუთრებით კი — თბილისის ისტორიის შესწავლაში. გამოიკვლია თბილისის დაარსებისა და პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის, სამოხელეო წყობილების, ისტორიული გეოგრაფიის, საფორტიფიკაციო მშენებლობის რიგი საკითხები. ნაშრომებში: „თბილისი IV-X სს-ში", „თბილისი (IV ს— XII ს-ის დასაწყისი)", „თბილისის ციხე", „ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან", „ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში" და სხვ. მ. ლორთქიფანიძემ, გააანალიზა რა არაბთა გავლენით საქართველოს საქალაქო გამგებლობაში დამკვიდრებული არაბული სამოხელეო ტერმინები, გაარკვია, რომ ამ ტერმინებით აღნიშნული საქალაქო სამოხელეო ინსტიტუტები თავიანთი შინაარსით გაქართულებულია და სრულიად განსხვავდება სახალიფოს ამავე სახელწოდების მოხელეთაგან. XII ს-ის საქართველოს სახელმწიფო სამართლის საკითხებიდან მ. ლორთქიფანიძეს გამოკვლეული აქვს, აგრეთვე, ცენტრალური გამგებლობის უწყების მეთაურთა „ვაზირთა" და „უხუცესთა" ინსტიტუტები (ნაშრომში: „ფეოდალური საქართველოს კარის მოხელენი").

მნიშვნელოვან ადგილს უთმობს მ. ლორთქიფანიძე თავის კვლევაში წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს. მონოგრაფიაში ქართული მატიანეების კრებულზე — „ქართლის ცხოვრებაზე" („რა არის ქართლის ცხოვრება") ის აგრძელებს ქართველთა ამ წმინდა წიგნის მეცნიერულ კვლევას, რასაც საფუძველი დაუდო დიდმა ივ. ჯავახიშვილმა. ადრეშუასაუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების სურათის დასადგენად მ. ლორთქიფანიძემ გამოიკვლია V-XI სს-ის ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. თავის ნაშრომებში: „ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა", „გიორგი მთაწმინდელის იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება", „გიორგი მცირეს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო" და სხვ. მ. ლორთქიფანიძემ საგანგებოდ განიხილა სამოქალაქო საისტორიო მწერლობის წარმოშობის საკითხი და მართებულად დაუკავშირა იგი წინაქრისტიანული ხანის საისტორიო აზროვნებას.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ქალბატონ მარიამის ნაშრომებში აფხაზეთის ისტორიის საკითხებს, ის არის თანაავტორი „აფხაზეთის ისტორიის ნარკვევების" I ტომისა (რუსულ ენაზე), სადაც წარმოჩენილია VIII-X სს-ის „აფხაზთა სამეფოს, როგორც ქართული სახელმწიფოს, ისტორია. ნაშრომში — „აფხაზები და აფხაზეთი" (1990 წ. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე), მ. ლორთქიფანიძეს განხილული აქვს აფხაზთა ეთნიკური ისტორია და მათი ადგილი საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ეთნონიმ „აფხაზის" და „აფხაზეთის" შინაარსის ცვლა სხვადასხვა ეპოქაში. რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა მ. ლორთქიფანიძემ საქართველო— სომხეთის ურთიერთობის ისტორიას.

მნიშვნელოვანია ქალბატონ მარიამის ღვაწლი ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდაში. მისი ხელმძღვანელობით გაიარა საასპირანტო კურსი და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია არაერთმა ახალგაზრდა მკვლევარმა. წლების მანძილზე ის თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოს.

დიდ დროსა და ენერგიას უთმობს ქალბატონი მარიამი საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას. მისი საუნივერსიტეტო და საჯარო ლექციები გამოირჩევა სიღრმითა და დახვეწილობით, მისი სატელევიზიო გამოსვლები ასევე ხელს უწყობს მოსწავლე ახალგაზრდობას და მთელს საზოგადოებას ჩვენი ქვეყნის წარსულის აღქმაში.

როგორც მკვლევარი, იგი უაღრესად კეთილსინდისიერი და აუჩქარებელია საისტორიო მასალის მოძიებასა და ანალიზში, მკაცრი და მომთხოვნია საკუთარი თავის მიმართ. ასევე მკაცრი და მომთხოვნი, მაგრამ ამავე დროს ყურადღებიანი და მოამაგეა თავისი მოწაფეების, სტუდენტი ახალგაზრდობის მიმართ. სწორედ ამიტომ სარგებლობს განსაკუთრებული სიყვარულით და პოპულარობით.

ქალბატონი მარიამი კვლავ თავდაუზოგავად ემსახურება საყვარელ საქმეს — ქართულ საისტორიო მეცნიერებას, უნივერსიტეტს, სამშობლოს. ჩვენს ქვეყანას დღეს განსაკუთრებით სჭირდება მისი თანადგომა, მისი ავტორიტეტული სიტყვა, მისი შემართება.

ნუკრი შოშიაშვილი, გივი ჟამბურია.

P. S. ამ დღეებში ქალბატონმა მარიამმა მიიღო წერილი „ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტიდან" და აცნობეს, რომ ამ ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით მიენიჭა პრესტიჟული ტიტული „წლის ადამიანი — 1997" „საერთო მიღწევებისა და საზოგადოების სასარგებლოდ გალებული წვლილისათვის".

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია ულოცავს ქალბატონ მარიამს მისი ღვაწლის საერთაშორისო აღიარებას.

თავანკარა ქართული

ოპონენტები და კრიტიკოსები ყოველთვის ეყოლება ენის სახელმწიფო კომისიასაც და ენის პალატასაც. ეს ცუდი არ არის

„საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტის შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გუჩა კვარაცხელია

— ბრძანებულება საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ 1997 წლის 20 აპრილით არის დათარიღებული. როგორ იმუშავა კომისიამ ამ ოთხი თვის მანძილზე? არის ხელშესახები შედეგები, თუ... იგვიანებს ეს შედეგები?

— შედეგები ყველასათვის თვალსაჩინო მაშინ იქნება, როცა აღარავინ გამოთქვამს გულისტკივილსა თუ საყვედურს უცხოენოვანი წარწერების, რეკლამებისა და გაზეთის ენის შესახებ. მაგრამ ვიდრე ეს მოხდება, და ეს ერთი ხელის დაკვრით, გასაგებია, ვერ განხორციელდება, ოპონენტები და კრიტიკოსები ყოველთვის ეყოლება ენის სახელმწიფო კომისიასაც და ენის პალატასაც, რაც არც არის ცუდი. პირიქით, საზოგადოების აქტიურობა მშობლიური ენის პრესტიჟისა და ღირსების დასაცავად იმედს იძლევა, რომ ეს კამპანიური ხასიათის გატაცება კი არ არის, არამედ ჩვენი თანამემამულეების სულიერი მოთხოვნილებაა, რაც ერთიანი ძალისხმევით უნდა კმაყოფილდებოდეს. როცა ერთიან ძალისხმევაზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ ყოველი ჩვენგანის, ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქის პასუხისმგებლობასა და მონდომებას. ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ საქმის ვითარება, რომ ვიღაც დაუდევრობას იჩენს, ანაგვიანებს ენას, ლახავს მის უფლებებს, სხვა ვიღაცა კი მოვა, გაწმენდსგაასუფთავებს მას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. ენაზე ზრუნვა საერთო საქმეა. ენა ხომ საერთო-სახალხოა!

ენის სახელმწიფო კომისიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი და მოვალეობაა სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის განმტკიცებისა და დაცვის ნორმატიული და სამეცნიერო ბაზის შექმნა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, აუცილებელია საკანონმდებლო ბაზაც, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ნორმათა მთელი სისტემის ამოქმედება. სხვაგვარად, მაგალითად, ენის პალატას ფრთები მოკვეცილი აქვს. ნორმები ქაღალდზე რჩება.

— ეს არის იმის მიზეზი, რომ ჯერჯერობით ვერ მოგვარდა უცხოენოვანი აბრებისა და წარწერების პრობლემა? დამეთანხმებით, რომ ამ მხრივ დიდი არაერთგვაროვნებაა თუნდაც დედაქალაქში.

— წესრიგის დამყარებისთვის კანონია საჭირო, მოწოდებები და შეგონებები, როგორც ვხედავთ, საქმეს ვერ შველის. ნოემბერ-დეკემბერში კომისიამ უნდა განიხილოს კანონი ენის შესახებ, უფრო სწორად, პროექტი, რომელსაც იუსტიციის სამინისტრო ამზადებს. ენის პალატამიც მუშაობენ ამ კანონზე. ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ ამგვარ კანონმდებლურ საბუთზე. იქ ბევრი რამ უნდა იქნეს გათვალისწინებული, კერძოდ, მთლიანად უნდა წარმოჩნდეს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსი, მისი უფლებები დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ადგილებში.

— თქვენ აბრებსა და რეკლამებს გულისხმობთ. აქ საქმის მოწესრიგება კანონის მიღების შემდეგ, ალბათ, გაადვილდება, მაგრამ რა ეშველება მასობრივი ინფორმაციის ენას? რა კანონი შეიძლება იქნეს მიღებული? პრესა თავისუფალია, გამომცემლობები პრივატიზებულია.... ახლა ყოველგვარ შეზღუდვას ცენზურას ეძახიან...

— მართალია, ცუდად დამწერის (ენობრივი თვალსაზრისით) წინააღმდეგ იურიდიულ კანონს ვერ მოიმარჯვებ, საერთოდ, ასეთ საქმეში ვერც დირექტივით და ვერც კანონით ვერაფერს გააწყობ, მაგრამ არც ისეა საქმე, რაიმე ზემოქმედება არ შეიძლებოდეს. კომისიის სამუშაო გეგმა ითვალისწინებს თანამედროვე პრესის ენის ანალიზსა და მრგვალი მაგიდის გამართვას პრესის მუშაკებთან ერთად. ამას უსათუოდ მოჰყვება ერთობლივი ღონისძიებები. არა მგონია, რომ ეს პრესის თავისუფლების ხელყოფა იყოს. დემოკრატიულ საზოგადოებაში, საერთოდ, ადამიანია თავისუფალი, მაგრამ მისი ქცევა ისეთი არ უნდა იყოს, ქართველები რომ ვიტყვით, „გიჟი თავისუფალიაო". ადამიანთა შორის მარტივი ურთიერთობაც კი ძალიან გაძნელდებოდა, ამ ურთიერთობის ნორმები რომ არ არსებობდეს. ადამიანები ამაზე დიდი ხანია შეთანხმდნენ. ასევეა ენის სფეროშიც.

— რა არის კომისიის უახლოესი ამოცანა? ცხადია, კომისიის სხდომები თვითმიზანი არ არის, მე როგორც მესმის, ისინი საერთო მუშაობის შედეგებს აჯამებენ. ჩვენთვის საინტერესოა, რა ხდება სხდომათა შორის, როგორ მონაწილეობენ ენის კომისიის წევრები, რამდენად ქმედითი შეიძლება იყოს ეს მონაწილეობა?

— საკითხების ნუსხა, რომელიც შევადგინეთ სწორედ კომისიის წევრების რეკომენდაციითა და მოთხოვნით, საკმაოდ ვრცელია. თითქმის ყოველი მათგანი გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს. მე მინდა გაგაცნოთ აკად. ქ. ლომთათიძის მოსაზრებანი, რომლებიც მან წერილობით მოგვაწოდა:

„ქართველ ლინგვისტთა სასწრაფო და გადაუდებელი ამოცანა ასე მოზღვავებული უცხო (ძირითადად ინგლისურიდან შემოსული) ლექსიკა საჭირო შემთხვევაში მარჯვე ქართული შესატყვისით და ოპერატიულად, ახალი, შევსებული „უცხო სიტყვათა ლექსიკონის" გამოცემამდე ნაკვეთების სახით, პრაქტიკული საჭიროებისათვის იქნეს გამოქვეყნებული (თან მიწერილი ჰქონდეს ქართული ასოებით შესაბამისი წაკითხვაც).

რაც შეეხება ქართული ენის სიწმინდის დაცვასთან დაკავშირებულ, უსაშველოდ მოუგვარებელ საკითხებს, აქაც ქმედითი ღონისძიებებია გასატარებელი.

სავსებით აშკარაა, რომ ენობრივ „სიახლეებსაც" ახასიათებს მოდურობა. ერთხელ ტრიბუნიდან გაგონილი, გაუმართლებელ სიტყვათა შეხამება შეიძლება ერთბაშად დაინერგოს, როგორც ეს მოუვიდა „ცალსახა"-ს, „და ა.შ. და ა.შ.-ს", „არასწორია"-ს და მისთ.

დღეს ქართული მეტყველების გავრცელების საშუალებაა ტელე-რადიო გადაცემები, პარლამენტის სხდომები.

ნუთუ ასე შეუძლებელია ამ გადაცემათა ტექსტების ენობრივი განხილვის საფუძველზე მიეთითოს გარკვეულ ავტორებს, ორატორებს გაითვალისწინონ სპეციალისტთა შენიშვნები და შესაბამისი გამოთქმები შეცვალონ მართებულით. არა მგონია, ვინმე წინააღმდეგ წავიდეს.

მაგალითად, ნუთუ არ შეიძლება გამოთქმა „საკითხი დავაყენოთ კენჭისყრაზე" შეიცვალოს ბუნებრივი ქართულით: „ ვუყაროთ კენჭი", „კენჭს ვუყრით".... ნუთუ „დარეგულირება საკითხისა" ყურს არ ჭრის ქართველ კაცს? განა ბუნებრივი ქართული — „საკითხის მოწესრიგება, მოგვარება" და მისთ. არ ადგათ ენაზე?! ნუთუ წინასწარ არ შეიძლება რეკლამებში გასწორდეს: „სადაც არ უნდა ვიყოთ", „რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ".... — ბუნებრივი ქართულით?!".

— პრაქტიკულად ეს როგორ უნდა განხორციელდეს? ვინ უნდა ითავოს პრესისა და ტელე-რადიო გადაცემათა ენაზე ზრუნვა?

— ადრე თქვენთან და ტელე-რადიო მაუწყებლობაში გადაცემათა რეცენზირებას მიმართავდნენ. მართალია, მარტო ენობრივი მხარე არ აინტერესებდათ, მაგრამ, მგონი, ენობრივ შეცდომებსაც აღნუსხავდნენ და მსჯელობდნენ მათზე. შეიძლება ეს ახლაც ასეა. ერთი კი ცხადია, ჟურნალისტებს დახმარება სჭირდებათ. მე არ ვარ მომხრე გაკიცხვისა და საჯარო შერცხვენის. თავმოყვარეობაშელახული ადამიანი კარგს ვეღარაფერს დაწერს და იტყვის. აქ ტაქტია საჭირო. როგორც ილია იტყოდა: „კაცმა შეიძლება უხეში სიტყვა ისეთ კილოზე გითხრას, რომ საწყენად არ მიიღო". ენის პალატას უფლებამოსილებაც აქვს და მოვალეობაც აკისრია, თვალი ადევნოს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, როგორც სახელმწიფო ენის მუდმივი კომისიის საბაზო სამეცნიერო დაწესებულება, თავის მხრივ, შეეცდება ტელე-რადიო გადაცემათა ყოველკვირეული მასალის შესწავლის ფონზე მიაწოდოს ტელე-რადიოს ხელმძღვანელობას წინადადებები დარღვევათა გამოსასწორებლად. ენათმეცნიერები დარწმუნებული არიან, ამას თუ სისტემატური ხასიათი ექნება, შედეგიც არ დააყოვნებს.

— ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაზე რას გვეტყოდით? თითქმის ათი წელია, რაც ის პროგრამა შედგა. რამდენად განხორციელდა და ახლა მოქმედებს თუ არა?

— ენის სახელმწიფო პროგრამა, როგორც ჩვენი კომისია, ალბათ, მუდმივმოქმედი უნდა იყოს. როცა ის პროგრამა დგებოდა, ქვეყანა დამოუკიდებელი არ იყო და უკვე თვითონ ფაქტს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ბევრი რამ იმ პროგრამიდან განხორციელდა, ზოგმა აქტუალურობა დაკარგა, ვერც შესრულდა ის, რასაც მატერიალური მხარდაჭერა სჭირდებოდა. საერთოდ, მას მხოლოდ პირობით თუ შეიძლებოდა სახელმწიფო პროგრამა რქმეოდა, რადგან პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს არ გააჩნდა სახელმწიფო უზრუნველყოფა. კომისიამ დაიწყო მუშაობა ახალი პროგრამის პროექტის მომზადებაზე. ვვარაუდობთ, რომ მას ამ წლის ბოლომდე კომისიის სხდომაზე განვიხილავთ.

— ეს კი იქნება სახელმწიფო პროგრამა?

— ამის თაობაზე იყო საუბარი ქვეყნის პრეზიდენტთან. იგი დაინტერესებულია, შეიქმნას სწორედ სახელმწიფო პროგრამა, რომელიც განუხრელად განხორციელდება, ე.ი. რომელსაც გარკვეული ფინანსური უზრუნველყოფა ექნება.

— რამდენად ტევადი იქნება ეს პროგრამა, რა პრობლემების მომცველი?

— მე ახლა მიჭირს ამაზე ამომწურავი პასუხის გაცემა. ჯერ მხოლოდ პროგრამის კონცეპტუალური მხარე მუშავდება. წინასწარ იმის თქმა შემიძლია, რომ პროგრამაში იქნება ისეთი საკითხებიც, რომლებმაც, ბუნებრივია, ასახვა ვერ ჰპოვეს ქვეყნის კანონებში, იქნება ეს კონსტიტუცია, კანონი განათლების შესახებ თუ სხვ. და ვერც ენის კანონში აისახება, მაგრამ რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის სისხლსავსე არსებობისთვის.

— და განვითარებისთვის, არა?

— დიახ. ოღონდ აქ ერთი დაზუსტება მაინც საჭიროდ მიმაჩნია. იმ პროგრამასაც ქართული ენის განვითარების პროგრამა ერქვა და ახლაც, ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის დებულებაში ჩავწერეთ, რომ კომისიის ერთ-ერთი მიზანია „სახელმწიფო ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პროექტის შედგენა და დამტკიცება".... მე აქ სიტყვა „განვითარება" ქართული ენის მიმართ შემაშფოთებს. ასეთ რამეს წერენ ენებზე, რომლებსაც დამწერლობას უქმნიდნენ და რომელთა გამოყენების სფერო ძალიან შეზღუდული იყო. ქართული ენა მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ენებს გვერდით დგას. იგი კარგა ხანია ასრულებს ყველა სოციალურ ფუნქციას, რომელიც ენას საერთოდ შეიძლება ჰქონდეს, ერთის გარდა — ისევე, როგორც მრავალი ენა, არც ის არის (და გასაგები მიზეზით ვერც ვერასოდეს გახდება) საერთაშორისო ურთიერთობის ენა. ასე რომ, ქართული ენის განვითარების დაგეგმვა უხერხულად მეჩვენება. ვფიქრობ, უფრო შესაფერი სიტყვაა დასაძებნი (ფრანგებს, თუ არ ვცდები, რაღაც

[illegible]
„ფრანგულის გამდიდრების" მ
ხებ). ეს ჩემი აზრია, არ ვიცი,
იზიარებენ სხვები თუ არა.

— ენის განვითარებას ს
რთოდ ხომ არ უარყოფთ?

— ენათმეცნიერებაში ეს სად
საკითხია, ამაზე საუბარი შო
წაგვიყვანდა. რაც შეეხება კ
კრეტული ენის განვითარებას,
ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგად
ების, მისი აზროვნების განვ
რების დონეზეა დამოკიდებულ

— საზოგადოების განვი
რებაში მწერლობის, მეცნიერ
ბის, საერთოდ, კულტურის გა
ნვითარება ხომ იგულისხმებ
თუ ამას ყველაფერს ხელშ
ყობა ექნება, ენასაც არ უნ
გაუჭირდეს.

— ენას აქვს არაჩვეულებრ
უნარი — სწრაფად გადაწყვიტ
მის წინაშე დასმული ახალი ამ
ცანა. ყოველი გადაწყვეტა მისი გ
მდიდრებაა, ზოგჯერ — ახალი ს
ფეხურიც, განვითარებაც. მეოც
საუკუნის დასაწყისში ჩვენ სალ
ტერატურო ენაზე ამბობდნენ, რ
იგი მეთექვსმეტე საუკუნის სტ
ამი გაიყინა. დრო და ეროვნ
პოეზიის დონე ახალ ამოცანებს უ
ნებდა მას. ცნობილი პოეტი ვ. გ
ზვალი, რომელიც მაშინ ახალგ
ზრდა იყო, ჩეხურ ენას მოუქნ
ტლანქ ქალიშვილს ადარებდა, რ
მელსაც პოეტები წვრთნიან. ი
ამბობდა: შეხედეთ, რა შესაძ
ბლობები იშლება ჩვენი პოეტის წ
ნაშე, რა პერსპექტივები — ი
ერთდროულად ჩეხური ენის გა
დული ვიიონიც, მელანქოლიური
უსე ან მახაც, ჯადოსნური და შ
ბოდლერიც, სრულიად მოულოდ
ნელი რემბოც და ჰარმონიულ
მალარმეც, ტემპერამენტიან
აპოლინერიც და შემდეგ ყველა ის
ნი გამოიწვიოს ორთაბრძოლა
თვითონ კი ჩვენ პოეტად დარჩ
სო. ამით იმის თქმა მსურს, რ
ყოველ ენაში არის ფართო შე
ძლებლობები, რომელთა ხორც
სხმა მის წინაშე დასმული ამოც
ნების გადაწყვეტასთან არის და
კავშირებული. მრავალსაუკუნო
ისტორიის მანძილზე ქართულ ს
ლიტერატურო ენას არა ერთი და
ორი ამოცანა გადაუწყვეტია. ა
იქნება შემდგომშიც.

— როდის არის დაგეგმი
კომისიის უახლოესი სხდომა დ
რა საკითხებზე გექნებათ მსჯ
ლობა?

— სექტემბრის მეორე ნახევარ
უპირველეს ყოვლისა, განიხილავ
სალიტერატურო ნორმათა სამ პრ
ექტს. სამივე დღისათვის აქტუალ
რია. განხილული იქნება, აგრეთვ
სახელმწიფო საგანმანათლებლ
სტანდარტების პროექტები ქართულ
ენაში ქართული და არაქართულ
სკოლებისათვის, მოვისმენ ენის პ
ლატის ანგარიშს, იქნება საუბარ
ქართული ენის მანქანური ფონდ
შექმნის შესახებ, ასევე, მეცნიერებ
კულტურასა და ქართული ენის ორ
თოგრაფიასთან დაკავშირებული რ
მდენიმე მნიშვნელოვანი წიგნის გ
მოცემის დაფინანსებაზე. ამჟამად ლ
ტერატურის დიდი ნაკლებობაა, რ
უფრო მოუთმენელია საგანმანათ
ლებლო დაწესებულებისათვის, რ
ზეც გვწერენ თბილისის მუნიციპ
ლიტეტის ვიცე-პრემიერი, აგრეთვ
საქართველოს კულტურის სამინის
ტრო და სხვ.

საკითხების მომზადებას დიდ
დრო დასჭირდა. დრო დაჭირდ
აგრეთვე, კომისიის მესასრულე
ბელ სამუშაოთა მასშტაბის მთ
ლიანად გათვალისწინებას, პრ
ორიტეტების დადგენასა და ფ
ნქციათა დანაწილებას სამუშა
ჯგუფებს შორის.

— წარმატებას ვუსურვებ
ენის კომისიას. თქვენ კი მად
ლობას გიხდით საუბრისათვ

ბელ
დურგლიშვილ

ასოციაცია

ნურც შეღებილა წითლად მანდილი!

დღეს საქართველოში უამრავი ასოციაცია არსებობს, მაგრამ ის, რომლის შესახებაც უნდა გიამბოთ, მათგან სრულიად განსხვავებულია.

„ქართველ ეთნოგრაფთა ასოციაცია" 1993 წელს ჩამოყალიბდა. მისი დამფუძნებლები და მესვეური არიან — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: ვალერიან ითონიშვილი, ნინო მაისურაძე, დავით პაპლიაშვილი; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები: გურამ გეგეჭკორი, გურამ გასიტაშვილი; ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ცოცანიძე; კინორეჟისორი ლერი სიხარულიძე; მწერალი-პუბლიცისტი გივი ჩხიკვიშვილი; ჟურნალისტი დავით კლდიაშვილი.

ასოციაციის მიზანია, საუკუნეების მანძილზე აპრობირებული ქართული და სრულიად კავკასიური ცხოვრების წესის, წინაპართა ტრადიციების დაცვა-აღდგენაზე ზრუნვა და ყველა სახის ეთნოგრაფიული ცოდნის ხალხში გავრცელება, აგრეთვე, უცხოეთის ქვეყნებში ქართული და კავკასიური ყოფითი კულტურის აქტიური პროპაგანდა.

ამ მიზნების განხორციელების გზების ძიებისას „ქართველ ეთნოგრაფთა ასოციაციას" საზოგადოება "ქართული სამყაროსა" (თავმჯდომარე — დავით გეგია) და „ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ცენტრის (თავმჯდომარე — გოდერძი ლაცოშვილი) მესვეურები დაუახლოვდნენ. ამ საზოგადოებების მიზნები და მსოფლმხედველობა ერთმანეთს დაემთხვა და თანამშრომლობის კარგი ატმოსფერო შეიქმნა.

ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიდი ბუკლეტი მოამზადეს გამოსაცემად: „ქართველები", „სომხები", „აზერბაიჯანელები", „ოსები", „ინგუშები", „ჩეჩნები", „კავკასიის ბერძნები", რომლებშიც თითოეული ერის ენაზე, დამწერლობაზე, სარწმუნოებაზე, ეთნიკურ სტრუქტურაზე, ყოფასა და კულტურაზეა საუბარი. მასზე ადამიანები საკუთარი ეროვნული ტანსაცმლით არიან გამოსახული. ბუკლეტები ხელს შეუწყობენ ქართველი ერის მონოლითურობის აღდგენასა და განმტკიცებას, კავკასიის ხალხთა ურთიერთდაახლოებას. მათ შორის დაპირისპირების ალბათობის მინიმუმამდე დაყვანას. მზადდება 30 ანალოგიური გამოცემა. გარდა ამისა, პრაქტიკულად მუშაობა მთავრდება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რუკა-პლაკატზე. მიმდინარეობს ვეებერთელა მასალის დამუშავება სათაურით „კავკასია და კავკასიელები". ამ ხნის მანძილზე კავკასიის ემბლემაც შეიქმნა (ავტორი სანდრო ჯავრიშვილი), რომელიც კავკასიის თემატიკისადმი მიძღვნილ ყველა სახის პუბლიკაციას დაამშვენებს.


Georgian Ethnologists' Association
&
Georgian Universal
Ltd
Up-to-date historical, ethnological, demographic:
Publications
Multimedia CDs
Internet
Caucasia and Caucasians

ქართველ ეთნოგრაფთა ასოციაციას ონომასტიკური განყოფილებაც აქვს (ხელმძღვანელი ლექსო ნაზღაიძე), რომელიც ქართულ გვარსახელებზე მუშაობს. მომზადებულია 35 მცირეფორმატიანი ცნობარი, მზადდება 500-მდე მსგავსი გამოცემა.

კავკასია ეთნიკური დაძაბულობის ერთ-ერთი უმთავრესი კერაა. სამუშაო ობიექტად მაინცდამაინც კავკასიის თემის არჩევა განპირობებულია ჩვენს დროში მიმდინარე ეთნოკონფლიქტური პროცესების ხასიათითა და აქტუალობით — აღნიშნა ასოციაციის პრეზიდენტმა ვახტანგ ითონიშვილმა. მშვიდობიანი კავკასიის იდეა, ფაქტობრივად, ე. წ. „კავკასიური სახლის" მშენებლობის იდეასთან არის გათავისებული, ვინაიდან, შეუძლებელია „კავკასიური სახლის" აშენება არამშვიდობიან, ომებით გადაბუგულ კავკასიაში. დაძაბულობის განმუხტვის ერთ-ერთი იარაღი კი კულტურათა დიალოგია, — კავკასიის ხალხთა ინტელექტუალური დაახლოების პროცესის სტიმულირება, ქსენოფობიის ყველა გამოვლინების ძირშივე აღმოფხვრა, რასობრივ-ეთნიკური დაძაბულობის, დაპირისპირების კერების გაუვნებელყოფა, პოლიტიკოსთა დიალოგებისთვის თეორიული ბაზისის მომზადება, ისტორიის ფალსიფიკაციასა და სიყალბეზე მორატორიუმის გამოცხადება. „კავკასიური სახლის" იდეის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ „მშვიდობიანი კავკასიის" იდეა განხორციელდება. ეს იდეა შორს არის „მშვიდი კავკასიის" იდეისაგან, ანუ რუსეთის იმპერიის იდეისაგან. კავკასიელები იმ ცეცხლს ვეთამაშებით, რომელიც ჩვენს სახლსა და სხეულს უკიდია, გვეყოფა პოპულიზმი და პროვოკაციაზე წამოგება! არ გვსურს თეთრი მანდილის წითლად შეღებვა! თუ მანდილი ფერს შეიცვლის, მის ჩაგდებას აზრი აღარ აქვს. ამჟამად, კავკასიელ ხალხს კარგად აქვს გაცნობიერებული ერთმანეთთან უშუალო დიალოგის, კულტურათა ურთიერთდაახლოების, სახალხო დიპლომატიის მექანიზმის ამუშავებისა და ე. წ. მესამე ძალის ფაქტორის განეიტრალების მნიშვნელობა. სწორედ მშვიდობიანი კავკასიის იდეის პრაქტიკულად განხორციელების უზენაეს მიზანს ემსახურება ის პუბლიკაციები, რომელთა გამოცემაც „ქართველ ეთნოგრაფთა ასოციაციასა" და ზემოთ ხსენებულ საზოგადოებებს აქვთ დაგეგმილი.

მათ განზრახული აქვთ კავკასიის უნივერსიტეტის შექმნა, რაც, ცხადია, დიდად არის დამოკიდებული კავკასიელი ხალხების ინტელექტუალური ელიტის ერთობლივ ძალისხმევაზე. ასევე კავკასიის თემისადმი მიძღვნილი ინტერნეტული ჟურნალების გამოცემა, ეთნოგრაფიული მუზეუმების შექმნა, მათი კვალიფიცი-
ური კადრებით უზრუნველყოფა, ს
ზღვარგარეთელ კოლეგებთან ს
ქმიანი კონტაქტების დამყარება დ
ა. შ. ასოციაციას მომზადებული აქ
ისტორიულ-ეთნოგრაფიული რუკ
და თემატური კალენდრები. გან
საკუთრებით ფასეულია საქართ
ველოს ისტორიული მიწა-წყლ
რუკა „ყოველი საქართველო", რ
მელიც ქვეყნის ადმინისტრაციულ
ტერიტორიული მოწყობის საუკ
თესო ვარიანტის მოძიების მომ
ნტში შეიძლება გამოვიყენოთ. რუკ
საუკუნეების მანძილზე აპრობირ
ბული, ტერიტორიული დარაიონებ
ტრადიციას ეფუძნება.

მიშველი ენთუზიაზმით მომუშ
ვე ეთნოგრაფებს ხელსაყრელი სა
მუშაო პირობები შეუქმნა ეკონო
მიკის სამინისტროს კომპიუტერ
ლი ცენტრის უფროსმა — ილია ბ
რდულმა. მათ ერთი მიზანი ამო
ძრავებთ, საკუთარი ინტელექტუ
ალური პოტენციალი ახალგაზრდ
თაობის ეროვნული იდეოლოგიი
აღჭურვას მოახმარონ.

ბევრმა ჩვენგანმა, სამწუხაროდ
არაფერი იცის საკუთარი ერის ეთ
ნოლოგიური სამყაროს შესახებ.
ამ საზოგადოებების მიერ გამო
ცემული ბუკლეტები, მულტიკომ
პაქტები, კრებულები ახალგა
ზრდებს დაეხმარება საკუთარი
თვალით იხილონ ქართული კუ
ლტურის, ყოფის საუკეთესო ნიმუ
შები, რომლებიც მათთვის ვიდე
ოჩანართების, მუსიკის, ნახატე
ბის, ფოტოების, ცოცხალი დიალო
გის სახით არის წარმოდგენილ
არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვინ
საკუთარი ქვეყნის მატერიალურ
და ისტორიულ ფასეულობებს არ
სცემს პატივს, ის სხვა ერს არა
სოდეს დააფასებს.

მაია ასაკაშვილი.

სურათზე: ასოციაციის სა
რეზენტაციო პლაკატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარი შფოთიანი ადგილია. შეიარაღებული ბანდები და ნარკოსოვდაგრები ხშირად არღვევენ წვითა და დაგვით მოპოვებულ მშვიდობას. სწორედ ამიტომ ფხიზლობენ რუსი, ყაზახი, უზბეკი და ყირგიზი მესაზღვრეები, წერს „პრავდა-5“.

ბრაელებმა თავშესაფარი სთხოვეს ... არაფატს

ისრაელიდან რვა ებრაელი ჩავიდა პალესტინის ქალაქ იერიქონში და ავტონომიის ხელისუფალთ სთხოვა პოლიტიკური თავშესაფარი. ისინი დაბინავეს სასტუმროში, ხოლო ავტონომიის ლიდერი იასირ არაფატი პირველ ისრაელ ლტოლვილებს შეპირდა ბინის მიცემას და დახმარებას პრობლემების გადასაჭრელად. თავიანთი საქციელი ისრაელებმა ასე ახსნეს: მათ არ ჰქონდათ ბინა, ამიტომ თვითნებურად დაიკავეს იმიგრანტთა მიმღები ცენტრის ცარიელი ბინები, საიდანაც ისინი კინწისკვრით გამოყარა პოლიციამ. როგორც გამოქცეული ებრაელები ამტკიცებენ, ისინი ყოფილან მმართველი ბლოკის „ლიკუდის“ აქტიური წევრები, ხმა მიუციათ მთავრობის მეთაურად ნეთანიახუს არჩევისათვის. ახლა ლტოვილებს განზრახული აქვთ, ავტონომიაში დარჩნენ, სანამ გადაიჭრება მათი პრობლემა ისრაელში და არ მოეხსნებათ სისხლის სამართლის ბრალდება ცარიელ ბინებში შეჭრისათვის. როგორც ისინი ამტკიცებენ, კიდევ ყოფილა 130 ისრაული ოჯახი, რომელიც მზად არის შვილებთან ერთად გადაბარგდეს იერიქონში.

გერმანიაში „კოკა-კოლას“ სმას თავი ანებეს

ნამდვილი კრახი შეილება გახდეს „კოკა-კოლას“ კომპანიისათვის სკანდალი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ ხდა გერმანიაში. DPA საგენტოს ინფორმაციით, მარტო კვირის დამდეგიდან კომპანია იძულებული გახდა სავაჭრო ქსელიდან უკან გაეტანა ნახევარ მილიონ ქილაზე მეტი „კოკა“, „სპრაიტი“, „ფანტა“ და სხვა სასმელები. საქმე ის არის, რომ კვირის დასაწყისში მომხმარებლებმა იწყეს ნაყიდი სასმელების მაღაზიაში დაბრუნება ძალზე უსიამო გემოს გამო. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ქილებში ჩამოსხმული „კოკა-კოლა“ შეიცავდა ქიმიურ ელემენტს — ტრიქლორამიზოლს, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას მძიმე მოწამვლას იწვევს. თუ როგორ მოხვდა შხამი სასმელში, ჯერჯერობით დაუდგენელია. სააგენტო, აგრეთვე, იუწყება, რომ ამ ინციდენტის შემდეგ „კოკა-კოლას“ კომპანიის სასმელებს პრაქტიკულად გერმანიაში არავინ ყიდულობს.

ოტოგრაფები უფლისწულებს არ ეშვებიან

ვედეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწულმა ქტორიამ მოიგო საქმე ჟურნალ „სე ოვ ორს“ წინააღმდეგ, რომელმაც ახლა უნდა უნაზღაუროს მორალური ზარალი შვედეთის ფის კარლოს XVI გუსტავის უფროს ქალიშვილს. გამოცემის ფოტოქრონიკიორები, მართალია, მოტოციკლებით არ გამოჰკიდებიან ომხიბლავ 20 წლის ვიქტორიას, მაგრამ ისინი ეუჩნდნენ პრინცესას, — რომელიც ჩრდილოეთის სამეფოში არანაკლები სიყვარულით სარგებლობს, ვიდრე ტრაგიკულად დაღუპული დაიანა, — გადაელო სურათი საცურაო კოსტიუმით. ცივი უარის მიუხედავად, წერილები და სატელეფონო ზარები არ წყდებოდა, როდესაც ცხადი გახდა, რომ „ობიექტივი“ თანხმობას არ მისცემდა, ჟურნალმა გადაწყვიტა ფალსიფიკაციისათვის მიემართა: დაბეჭდა ფოტომონტაჟი, რომელშიც ნამდვილია მხოლოდ ვიქტორიას სახე, ხოლო კისერსქვემოთ მთელი დანარჩენი სხეული, რომელიც თითქმის შიშველია, სხვა ქალისა აღმოჩნდა. ახლა ფოტომემონტაჟეებს, რომლებიც ასე უდიერად მოექცნენ ტახტის მემკვიდრე პრინცესას სხეულს, დიდი უსიამოვნება მოელით.

ვინ დაჯდება ბრიტანეთის ტახტზე?

ბრიტანელთა ნახევარზე მეტს ურს, ტახტის მემკვიდრედ იხილოს რინცესა დაიანას 15 წლის ვაჟი ილიამ უფლისწული, და არა მამისი, უელსის პრინცი ჩარლზი, უწყება „დეილი ტელეგრაფი“, რომელიც იმოწმებს გელაპის ინსტიტუტის მიერ გაზეთის შეკვეთით მოწყობილი გამოკითხვის შედეგებს. ათი წლის წინათ ასეთივე გამოკითხვის დროს ბრიტანელთა მხოლოდ 24 პროცენტი იყო იმის წინააღმდეგი, რომ პრინცი ჩარლზი გამეფებულიყო. სამეფო ოჯახი უარს ამბობს გამოკითხვის შედეგების კომენტარზე. პრინც ჩარლზის ერთ-ერთმა მეგობარმა მხოლოდ ის თქვა, რომ გამოკითხვის შედეგები გამოხატავს ერის სიამაყეს მძიმე დღეებში უილიამ უფლისწულის თავდაჭერის გამო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრიტანელთა უმრავლესობა მონარქიის მტკიცე მიმდევრად რჩება. ბრიტანეთის რესპუბლიკად გამოცხადებას მხარი დაუჭირა გამოკითხულთა მხოლოდ 11 პროცენტმა.

უდიდესი რეფორმა ბოლო სამი საუკუნის მანძილზე

გაზეთი „ჯერმანი ლაივი“ საგანგებო მასალას უძღვნის დიდ ბრიტანეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, კერძოდ, აშუქებს შოტლანდიაში დამთავრებულ რეფერენდუმს საკუთარი დამოუკიდებელი პარლამენტის ყოლის საჭიროების საკითხზე. რეფერენდუმის შედეგების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ლეიბორისტთა მთავრობა, რომელიც დიდ ბრიტანეთში მიმდინარე წლის მაისში გახელისუფლდა, თანამიმდევრულად ასრულებს ყველა წინასაარჩევნო დაპირებას. გაზეთი შეახსენებს მკითხველს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ლეიბორისტებმა მოსახლეობას აღუთქვეს, რომ ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პოლიტიკას გაატარებდნენ. „ლაივის“ აზრით, თუ შოტლანდიას თავისი საკუთარი პარლამენტი ეყოლება, მისთვის ეს გახდება ყველაზე დიდი კონსტიტუციური რეფორმა უკანასკნელი 300 წლის მანძილზე.

● „ტვიფსი“ — ასე ეწოდება მომავალი მსოფლიო გამოფენა „ექსპონატ-2000“-ის თილისმას, რომელიც ჰანოვერში წარმოადგინეს.

ამიერკავკასია: დღითი დღე

საქინფორმი გვატყობინებს

პროექტი მზად არის

რუსეთიდან და თურქმენეთიდან თურქეთში ბუნებრივი გაზის მიწოდების პროექტი შეიმუშავა რუსეთ-თურქეთის ერთობლივმა საწარმომ „იტერამ“ — რუსეთის სახელმწიფო გაერთიანება „გაზმრეწვის“ შვილეულმა საწარმომ.

პროექტის თანახმად, შერჩეულია გაზსადენის სამი მარშრუტი. პირველი — რუსეთისა და სომხეთის ტერიტორიის გაელით და ორი — საქართველოს ტერიტორიის გაელით. ვარაუდობენ, რომ საქართველოს ტერიტორიიდან თურქეთში გაზის ტრანსპორტირებისათვის გაზსადენი შეიძლება გავიდეს შავი ზღვის სანაპიროზე, მეორე — ახალციხის დასახლებულ პუნქტზე.

სასიხარულოა, რომ მიღწეული მორიგების შესაბამისად, უკვე ზამთარში თურქეთი საქართველოში შემოიტანს ორ მილიონ კუბურ მეტრ გაზს დღე-ღამეში თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მუშაობის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანი ნაწილი — თურქულ გაზზე გამომუშავებული ელექტროენერგიის 70 პროცენტი საქართველოში დარჩება, 30 პროცენტს კი თურქეთი მიიღებს.

მთავარი ამოცანა ბიუჯეტის დამტკიცებაა

ამ კვირის დამდეგს საზაფხულო არდადეგების შემდეგ მუშაობა განაახლა სომხეთის ეროვნულმა კრებამ. როგორც პარლამენტის წინაშე თავის გამოსვლაში ეროვნული კრების თავმჯდომარემ ბაბკენ არარქციანმა აღნიშნა, ახლანდელ სესიაზე პარლამენტის წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანა ის არის, რომ დაამტკიცოს ქვეყნის ახალი სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც მას ასე მწვავედ სჭირდება.

გაიმართა ინაუგურაცია

გასულ ორშაბათს მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ეროვნული კრების სპეციალურ სხდომაზე გაიმართა თვითმარქვია მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის არკადი გუკასიანის ინაუგურაცია. როგორც მან ჟურნალისტებს სტეპანაკერტში გამართულ შეხვედრაზე განუცხადა, „მთიანი ყარაბაღის სტატუსი აზერბაიჯანის შემადგენლობაში შეუძლებელია, და პრეზიდენტის არჩევნების შედეგებიც ამას ადასტურებს“. მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ახალმა ლიდერმა თქვა, რომ აზერბაიჯანი იძულებული იქნება ცნოს მთიანი ყარაბაღი თავისუფალ დამოუკიდებელ რესპუბლიკად და ყურადღება დაუთმო იმ საკითხს, რომ აზერბაიჯანთან კონფლიქტის მოწესრიგებაში კომპრომისი „შეიძლება მხოლოდ ურთიერთზიარი იყოს“.

ფრთხილად: ჰაერში ლითონებია

ერევანში მუშაობა დაამთავრა გარემოს მძიმე ლითონებით გაჭუჭყიანების პრობლემებისადმი მიძღვნილმა კონფერენციამ. მის მუშაობაში მონაწილეობდა სომხეთის 30-ზე მეტი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია და მსოფლიოს 17 ქვეყნის მეცნიერი-ეკოლოგი. მოისმინეს და განიხილეს მოხსენებები ადამიანის ორგანიზმზე მძიმე ლითონების ზემოქმედებისა და რესპუბლიკის გარემოზე მათი გაჭუჭყიანების, ამგვარი გაჭუჭყიანების პირობებში რისკის დონის შეფასებისა და სხვა პრობლემების შესახებ.

კონფერენციის მონაწილეებმა წამოაყენეს წინადადებანი სამეცნიერო თემების დაფინანსების დროს უპირატესობა მიეცეს მძიმე ლითონებით გარემოს გაჭუჭყიანების პრობლემებისადმი მიძღვნილ თემებს, შეიქმნას გეოქიმიური ინფორმაციის დაგროვებისა და ანალიზის ცენტრები და რისკის დონის შემფასებელი საუწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფი.

საცხოვრებელი სახლი „ბალიშებზე“ დასვეს

ვანაძორში ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი მსოფლიოში პირველი ნაგებობაა, რომელიც აღჭურვილია სეისმოიზოლირებადი რეზინლითონური საყრდენებით. ორიგინალური სამარჯვები, რომელსაც ჩვეულებრივ „ბალიშებს“ უწოდებენ, ისეა დამონტაჟებული, რომ არ დასჭირდათ მცხოვრებთა გამოსახლება ბინებიდან, და ისინი ასრულებენ რყევების ჩამქრობის როლს, ანელებენ დამანგრეველ სეისმურ ზემოქმედებას სამ და მეტი ბალის ძალის დროს.

წინათ ლორის ოლქის დედაქალაქში საექსპლოატაციოდ გადაეცა ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის სეისმომედეგობას უზრუნველყოფს იზოლირებული ზედა სართული. უახლესი საინჟინრო გადაწყვეტების ავტორები, რომლებმაც უზრუნველყვეს სეისმური რისკის არსებითი შემცირება, არიან სომხეთის სეისმური დაცვის ეროვნული სამსახურის სეისმომედეგ ნაგებობათა ცენტრის თანამშრომლები.

ვანაძორში საცხოვრებელი სახლების აღდგენისა და განმტკიცების სამუშაოებს აწარმოებს ადგილობრივი სამშენებლო ფირმა „კანაკა“, რომელიც ფინანსდება მიწისძვრის ზონის აღდგენის მსოფლიო ბანკის პროგრამის ფარგლებში.

სომხური ეკლესია კრასნოდარში

კრასნოდარში საზეიმოდ გაიხსნა წმინდა ღვთისმშობლის სომხური ტაძარი, სადაც წირვა მუდმივად მიმდინარეობს.

ახალი სომხური ეკლესიის მშენებლობა აქ ჯერ კიდევ 1993 წლის მაისში დაიწყო, როცა მის ადგილას დაიდგა ხაჩკარი წარწერით „წმინდა ჯვარი აღიმართა წმინდა ღვთისმშობლის ტაძრის აგების ადგილას 1993 წელს. რწმენითა და მორჩილებით ნაირი ოგანესიანი“. მშენებლობის სპონსორმა — კრასნოდარში ცნობილმა ბიზნესმენმა ოგანესიანმა ღვთის ტაძარს შესწირა არა მარტო თითქმის ორი მილიარდი რუსული რუბლი, არამედ პირადადაც მონაწილეობდა მის დაპროექტებასა და მშენებლობაში. „ეს ეკლესია, — თქვა მან, სომხობის კიდევ ერთი პატარა კუნძული იქნება ყუბანის სტუმართმოყვარე მიწაზე“.

ტუბერკულოზი სომხეთში

1996-1997 წლებში სომხეთში სხვა სამშ დაავადებათა მორის შეინიშნება ტუბერკულოზის გააქტიურებაც. სომხეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, ამა წლის სექტემბრის მონაცემებით, სომხეთში აღირიცხა ტუბერკულოზით დაავადების 86 შემთხვევა, რაც 1,5-ჯერ აღემატება 1984-1985 წლების მაჩვენებლებს.

● ხუანჩაველიკის — პერუს ულატაკესი რეგიონის მცხოვრებნი რვა დღეს მიდიოდნენ დედაქალაქამდე ცხენებით. ისინი ლიმაში ჩავიდნენ, რათა ჩაეტანათ პრეზიდენტ ალბერტო ფუხიმორისათვის საჩივარი მთავრობაზე, რომელიც არარად აგდებს მათ საჭიროებებს.

ისრაელმა არ მიიღო აშშ სახელმწიფო მდივნის წინადადება

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა შეიპირა პალესტინის ადმინისტრაცია, რომ იგი გააძლიერებს ბრძოლას ტერორისტთა წინააღმდეგ, მაგრამ ისრაელმა მტკიცე უარით უპასუხა მის მოწოდებას, გაყინოს ებრაელთა დასახლებების გაფართოება. განმარტარა არაფატთან და ნეთანიახუსთან გამართული მოლაპარაკების შედეგები, ამერიკის დელეგაციის წარმომადგენელმა განაცხადა: „ოლბრაიტი კმაყოფილია იმით, რომ არაფატი შეპირდა განამტკიცოს სტრუქტურები, რომლებიც ტერორიზმს ებრძვიან, და გააცნო მას კონკრეტული გეგმები ამ მიმართულებით“.

ისრაელ სტუდენტთა წინაშე გამოსვლისას, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ „ისრაელმა თავი უნდა შეიკავოს ცალმხრივი ღონისძიებებისაგან, მათ შორის იმ ღონისძიებებისაგან, რომლებსაც პალესტინელები „ებრაელთა დასახლებების ქსელის პროვოკაციულ გაფართოებას“, მიწების კონფისკაციას, სახლების ნგრევას უწოდებენ... ეს მოქმედება ძირს უთხრის პალესტინელთა ნდობას ისრაელის განზრახვებისადმი“. ოლბრაიტმა გააკრიტიკა აგრეთვე ისრაელის კაბინეტის გადაწყვეტილება, შეაფერხოს პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციისათვის ავტონომიის კუთვნილი 100 მილიონი დოლარის გადაცემა, რომლებიც მიღებულია ბაჟებისა და გადასახადების შეგროვების შედეგად.

ისრაელმა დაუყოვნებლივ უარყო ამერიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურის წინადადება. „ჩვენ ვერ გავყინავთ დასახლებათა მშენებლობას, ისევე როგორც, ვერავინ ვერ გაყინავს თავად სიცოცხლეს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელმა დავით ბარილანმა. პრემიერთან ორი შეხვედრის შედეგად ოლბრაიტმა ვერ მიაღწია რეალურ ცვლილებებს ისრაელის პოზიციაში.

ამავე დროს პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ნაბილ შაათმა დადებითად შეაფასა სახელმწიფო მდივნის მიდგომა პალესტინა — ისრაელის ურთიერთობის პრობლემებისადმი. „დღეს იგი ლაპარაკობდა როგორც მშვიდობიანი პროცესის ჭეშმარიტი სპონსორი, მაშინ როცა ოთხშაბათს — როგორც ისრაელის სტრატეგიული პარტნიორი“, თქვა მან. გააკეთეს სიმბოლური განცხადებანი, რომლებიც ადასტურებენ პალესტინელთა და ისრაელთა ერთგულებას სამშვიდობო პროცესისადმი. ამავე დროს ლეა რაბინმა ოლბრაიტთან შეხვედრის დროს იგი გააფრთხილა, რომ ნეთანიახუს კაბინეტი „ანგრევს“ პალესტინელებთან საზავო მორიგებებს.

暴力団追放
灘区民大会パレード
灘地区保護司会

● იაპონიის ქალაქ კობეს მცხოვრებლებმა საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს უდიდესი კრიმინალური სინდიკატის „იამაგუჩი-გუმის“ შენობასთან. მომიტინგეებს მოჰქონდათ პლაკატები — „ მოგვაშორეთ კრიმინალური ჯგუფები“.

აი, თურმე რატომ არის კუ დღეგრძელი

ქალებს, რომლებმაც 40 წლის შემდეგ გააჩინეს შვილი, კარგი შანსი აქვთ ას წლამდე სიცოცხლისა, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. შესაძლო მიზეზი ის არის, რომ ამ ქალებს „ბიოლოგიური საათი“ სხვებთან შედარებით უფრო ნელა დაუდით. ასეთი უჩვეულო დასკვნა გამოიტანეს ამერიკელმა მეცნიერებმა, როდესაც ერთმანეთს შეადარეს ინფორმაცია 73 და 100 წლის ასაკში გარდაცვლილი ქალების შესახებ. აღმოჩნდა, რომ მეორე ჯგუფის უმრალესობას სავსებით შეეძლო გაეჩინა შვილი 40 წლის შემდეგ. „თუ თქვენი სარეპროდუქციო სისტემა ისე ნელა ბერდება, რომ შეგიძლიათ შვილი გააჩინოთ 40 წლის შემდეგ, ეს ნიშნავს, რომ თქვენი ორგანიზმიც ასევე ნელა ბერდება“, — თქვა გერონტოლოგმა ტომას ერლზმა. თავისი დასკვნები ბოსტონის „ბეტ-იზრაელის“ სამედიცინო ცენტრის თანამშრომელმა ჩამოაყალიბა სტატიაში, რომელიც ჟურნალ „ნეიჩემი“ დაიბეჭდა.

ბინის ქურდები მოსკოვში წრიაპებით დადიან

ბინის გატეხვის 70 პროცენტი რუსეთის დედაქალაქში ხორციელდება ძველი და ნაცადი ხერხით — მამაპაპური კარის შენგრევით, განსაკუთრებით ქალაქის ახალშენ რაიონებში, სახლებში, სადაც კარი შიგნით იღება და ჩარჩო ცუდად არის გამაგრებული.

სუსტად იცავს მოსკოველებს ლითონის კარიც. მათ არ ენანებათ ფული მასიურ კარზე, მაგრამ ზოგავენ კლიტეებზე, რომლებსაც ქურდები სულ იოლად აღებენ. ბოლო დროს მოსკოვის მცხოვრებთა ბინებში მოუხშირეს დაუპატიჟებელ სტუმრობას ეგრეთ წოდებულმა „მთამსვლელებმა“ ანუ „მემაღლივეებმა“. ისინი, როგორც წესი, ბინაში შედიან ღიად დარჩენილი შუკუმიდან (პატარა სარკმლიდან — რედ). ან აივნის კარიდან. ამასთან, ბოლო სართულიდან ჩადიან ალპინისტური აღჭურვილობის — კაუჭებისა და თოკების გამოყენებით. ბინის ქურდების საშუალო ასაკია 16-19 წელი. ძირითადად, ეს არის მონარკომანე ახალგაზრდობა. ბინის ქურდობათა მესამედს ქალაქში ჩამოსულები სჩადიან. სხვებზე ხშირად „ავლებენ“ უკრაინელებს, მოლდაველებს და ვიეტნამელებს. გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერს, რომ ბოლო დროს ამ მხრივ გააქტიურდნენ ბოშებიც. თუ წინათ ისინი ბინაში შესასვლელად ჭიქა წყალს ან ატირებული ბავშვის შესახვევად ერთი წუთით შესვლას ითხოვდნენ, ახლა დადიან, როგორც სოციუზრუნველყოფისა და საქველმოქმედო ფონდების თანამშრომლები და მიაქვთ ყველაფერი, რაც ხელში მოხვდებათ.

გაზეთის ცნობით, ახალი წლიდან ქალაქში აღირიცხა 3 ათასამდე ბინის ქურდობა.

100. 000. 000 აშშ დოლარი — ნავთობსადენის აშენებინებისათვის

სენსაციური წერილი გამოაქვეყნა ამერიკის „ლოს-ანჯელეს ტაიმსმა“. გაზეთმა ხელთ იგდო ინფორმაცია, რომ 1995 წელს დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო საფინანსო დონორი როჯერ თამრაზი რამდენჯერმე საიდუმლოდ შეხვდა ბორის ელცინის უახლოეს მრჩევლებს და მათთან ერთად განიხილავდა შესაძლებლობას, თუ როგორ გადაეცა ასი მილიონი დოლარი რუსეთის პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის ფონდში. სანაცვლოდ, მას სურდა შეეპირებინა რუსეთი, რომ იგი მხარს დაუჭერდა აზერბაიჯანიდან თურქეთში ნავთობსადენის მშენებლობას, რომლის დაწყებასაც აპირებდა უახლოეს დროში. ეს ცნობები „ლოს-ანჯელეს ტაიმსის“ ჟურნალისტებმა შეძლეს მიეღოთ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, აგრეთვე, კონგრესის წყაროებით, თამრაზი ორჯერ შეხვდა ალექსანდრე კორჟაკოვსა და პაველ ბოროდინს 30 ნოემბერს და 1 დეკემბერს მილანის სასტუმროში „წელიწადის დროni“, თანაც, თვითონ უქირავა თვითმფრინავი მილანში ჩასაყვანად და მოსკოვში დასაბრუნებლად. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, კორჟაკოვმა ამერიკელ ბიზნესმენს განუცხადა, რომ მრავალმილიარდიანი პროექტის მხარდაჭერა 100 მილიონი ეღირება. მაგრამ მშენებლობა არ დაწყებულა და შესაბამისად, ვერც გარიგება შედგა. გაზეთი აზუსტებს, რომ როჯერ თამრაზმა ამერიკის ქვეშევრდომობა მიიღო რამდენიმე წლის წინათ. იგი ლიბანში დაიბადა და 1989 წელს გაიქცა ამ ქვეყნიდან იმის გამო, რომ ბრალად ედებოდა ბეირუთის ბანკში 200 მილიონი დოლარის მითვისება.

ახალი დედაქალაქი - შვიდ მილიარდ აშშ დოლარად

მალაიზიაში გამოცხადდა, რომ შეჩერებულია ქვეყნის ახალი დედაქალაქის მშენებლობა, იუწყება „ფაინენშლ ტაიმსი“. შეჩერებას ეკონომიკური სიძნელეებით ხსნიან. დედაქალაქი, რომელსაც უკვე მიენიჭა პუტრაჯაიას სახელწოდება, შენდება 750 კვადრატული კილომეტრი ფართობის ზონის ცენტრში, რომელსაც მალაიზიის მთავრობა კალიფორნიის განთქმული „სილიკონის ველის“ ანალოგად გადაქცევას უპირებს. ქალაქში იცხოვრებს 570 ათასი კაცი. მშენებლობა სამ ეტაპად ხორციელდება და უნდა დასრულდეს 2005 წელს. ამ მომენტისათვის მხოლოდ პირველი ეტაპია დამთავრებული. ახალი დედაქალაქის მშენებლობა მალაიზიის ყველაზე ამბიციურ პროექტად ითვლება. მის ღირებულებას თითქმის 7 მილიარდ დოლარად აფასებენ.

● მოსკოვის შესასვლელთან სიმფეროპოლის გზატკეცილზე ავტომობილისტებს შუქნიშანივით ეგებება გზისპირას გამწკრივებული ასტრახანული საზამთრო და აზერბაიჯანული ნესვი.

სტადიონი - ფეხბურთის ფანატიკოსთა პანთეონი

ამიერიდან ჰოლანდიელ ფეხბურთის ფანატიკოსთა ნეშტი შეიძლება მიებაროს მიწას იმ სტადიონის ტერიტორიაზე, სადაც გადიოდა წვრთნას და თამაშობდა მათი საყვარელი გუნდი. DPA სააგენტოს ინფორმაციით, ასეთი კანონი მიიღო რამდენიმე დღის წინათ ჰოლანდიის პარლამენტმა. სააგენტო, აგრეთვე, იუწყება, რომ სტადიონზე დაკრძალვის პატივი დაედება არა ყველა ფანატიკოსს, არამედ მხოლოდ რჩეულთ. იმისათვის, რომ დაკრძალვა მოეწყოს სტადიონზე, საჭიროა მიღებულ იქნეს სტადიონის მფლობელის საფეხბურთო კლუბის ინდივიდუალური ნებართვა. ნებართვებს კი გასცემენ მხოლოდ იმ გულშემატკივრებზე, რომლებიც ფეხბურთელებს არ შეუმჩნევიათ კლუბის სახელგამტეხ საქციელში.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

სასამართლო

ახლა ბევრს ლაპარაკობენ და წერენ, რომ ყოფილ მხედრიონელებს დოდო გუგეშაშვილს, ზაზა პაიჭაძეს, ვაჟა ქრისტესიაშვილს და სხვებს ასამართლებენ საზოგადოებრივი აზრის მიხედვით. პროცესზე ხშირად გაისმის სიტყვები: „ეს ხალხმა თქვა“, „ამას ხალხი ამბობდა“ და ა. შ. ხალხი კი ამბობდა, რომ „მხედრიონი“ ყაჩაღობდა. „მხედრიონის“ წევრი ყაჩაღის სინონიმადაც კი იქცა. არავინ უარყოფს — თავდაპირველად „მხედრიონში“ ბევრი იყო პატიოსანი, ნაღდი პატრიოტი და ბოლომდე ასევეც დარჩა, მაგრამ ამ „მხედრიონს“ ასევე ბევრი დამნაშავეც მიეტმასნა. ეს ფაქტად იქცა. ის, რაც „მხედრიონმა“ კარგი გააკეთა, არავინ უკარგავს, მაგრამ ცუდის გაკეთებაზე იგი პასუხს აგებს. და დღეს ასამართლებენ არა ყველას, არამედ სისხლის სამართლის კონკრეტულ დამნაშავეებს.

სასამართლო პროცესზე იკვეთება ტენდენცია, თითქოს საზოგადოებრივი აზრი „მხედრიონის“ ყაჩაღობის შესახებ — მცდარია. თითქოს ვიჩენთ უმადურობას, — პატრიოტებად ვთვლით მხოლოდ იმ მხედრიონელებს, ვინც დაიღუპა, ხოლო, ვინც ცოცხალი დარჩა — ყაჩაღის იარლიყს ვაკერებთ. არადა, ცხოვრებამ დაადასტურა, რომ საზოგადოებრივი აზრი ასე იოლად, ასე ჰაი-ჰარად არ ყალიბდება. ხალხი აანალიზებს მოვლენებს და მერე ისე კვეთს საკუთარ პოზიციას. კვამლი უცეცხლოდ არავის უნახავს. ზუგდიდში დატრიალებული მოვლენების დროს კი საზოგადოებამ კვამლიც თვალნათლივ ნახა და ცეცხლიც, ამ სიტყვების არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით. ამის დასტური დარჩენილიც გახლავთ და ახალი კახათიც, სადაც 23 საცხოვრებელი სახლი პირწმინდად გადაიწვა.

ყაჩაღები მისამართს არ სტოვებენ

ეძებეთ ავტომანქანები

არასრული მონაცემებით, იმხანად ზუგდიდში 800-ზე მეტი ავტომანქანა დაიკარგა. მიდიოდნენ ოჯახებში, ათვალიერებდნენ, მერე ეტყოდნენ, ეს მანქანა საქმისთვის გვჭირდებაო და... ნებითაც და ძალითაც მიჰყავდათ. მხოლოდ უფალმა უწყოდა, — რისთვის უნდოდათ ეს ავტომანქანა, მართლაც საქმისთვის თუ... ან რა საქმე იყო ამდენი ავტომანქანით საკეთებელი.

როგორც 15 სექტემბერს სასამართლო პროცესზე მოწმე გურამ ნიკოლეიშვილმა განაცხადა, ზუგდიდში „მხედრიონის“ შესვლა საერთოდ არც იყო გათვალისწინებული. იქ უნდა შესულიყვნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენაერთები და შინაგანი ჯარის ნაწილები. მაშ, როგორ აღმოჩნდა იქ „მხედრიონი“? შემთხვევით? არა, ყველაფერი, ალბათ, გათვლილი ჰქონდათ.

ზუგდიდში მხედრიონელებს „იკარუსი“ ჰყავდათ, რომელსაც ეწერა „აზოტი“. ეს „იკარუსი“ რუსთავიდან, საწარმოო გაერთიანება „აზოტიდან“ წაიყვანეს. მივიდნენ ფარეხში, უბრძანეს მძღოლს და წაიყვანეს „მხედრიონის“ შტაბში. მოწმე შოთა პეტრიაშვილმა სასამართლო პროცესზე მიანიშნა, რომ ეს იყო იძულებითი, ძალადობრივი აქტი. ცხადია, როცა ძალით წაგიყვანენ, ძალით გამუშავებენ, არც გული გაქვს საიმისო და არც სული, რომ „მგზავრებს“ პატიოსნად მოემსახურო. გაფუჭებია ერთხელ ავტობუსი პეტრიაშვილს, შეგვიანებია მისი გაკეთება და წაკიდებია ერთ-ერთი მხედრიონელი მძღოლს. გაბრაზებულა პეტრიაშვილი და საკისრები ფეხებში მიუყრია მოკამათისათვის. ფეხებში მიყრა აგრე არ უნდაო და ასევე ფეხებში ტყვია მიუშვია მხედრიონელს. დაუჭრია, საავადმყოფოში მოხვედრილა.

იმხელა „იკარუსით“ ქალაქში ხომ ვერ ივლიდნენ. ამიტომ მსუბუქი ავტომობილები სჭირდებოდათ. მისულან ერთხელ ლორენდო ნანავასთან. „დროებით“ წამოუყვანიათ მისგან ავტომანქანა. რამდენიმე დღე არაფერი ჰცნობებიათ. შემდეგ კი... მანქანა რუსთავში ჩამოუყვანიათ და ვინმე ისკრა მოროხიასთვის მიუციათ. ნანავას რუსთავში ჩამოუკითხავს და ზაზა პაიჭაძის დახმარებით მიუგნია საკუთარი ავტომანქანისათვის.

ზუგდიდელმა გივი სიჭინავამაც მიაგნო საკუთარ მანქანას. ოღონდ თბილისში, ჟურნალისტ ლულუ ჩხენკელის ოჯახში. ჩხენკელი 1993 წლის ნოემბერში ზუგდიდში ჩასულა ფრიად საპატიო მისიით: ერთ დღეს მხედრიონელები თურმე მოსახლეობას ურიგებდნენ ნაძარცვ ავტომანქანებს, საოჯახო ნივთებს თუ სხვა საგნებს. ეს ყველაფერი ფირზე აღუბეჭდავს.

ზაზა პაიჭაძისგან ინტერვიუც აუღია. — ყველამ ნახოს, რომ ჩვენ ყაჩაღები არა ვართ, პირიქით, ნაძარცვს ვუბრუნებთ ხალხს, — განუცხადებია მაშინ ამ ინტერვიუში ზუგდიდის კომენდანტს. ჩხენკელს სასწრაფოდ სურდა უკან დაბრუნება თავის ოპერატორ ზაზა ხურომესთან ერთად. აქედან ჩაყვანილი ყვითელი „ვილისი“ იქ გაფუჭებია. დახმარება უთხოვია ვაჟა ქრისტესიაშვილისთვის. იმას გია გელოვანისთვის გადაულოცავს ჟურნალისტი, გელოვანს კი წითელი „ნივით“ გამოუმგზავრებია სტუმარი; თუმცა, რაღა სტუმარი — ისინი კარგა ხანია იცნობდნენ ერთმანეთს აფხაზეთიდან.

გზაში „ნივა“ რაღაცისთვის მიუხლიათ, წინა ფრთა დაუზიანებიათ, თბილისში, მე-16 პროფილაქტორიუმში მიუყვანიათ, ფრთა გაუსწორებიათ და... წითელი „ნივა“ ყავისფრად გადაუღებავთ, 300 დოლარი გადაუხდიათ. ჩხენკელი ამტკიცებს, პატრონისთვის გამართული მანქანის დაბრუნება მინდოდაო. ის აღარ დაუზუსტებია, — ვინ იყო ეს პატრონი; მას მანქანის არც საბუთები ჰქონდა და არც ნომრები (?).

პატრონმა თვენახევრის შემდეგ მაინც მიაგნო გადაღებილ მანქანას. სასტუმრო „აჭარასთან“ თავად ვაჟა ქრისტესიაშვილს და ოპერატორ ზაზა ხურომეს პატრონისთვის ჩაუბარებიათ განახლებული „ნივა“. ახლა ლულუ ჩხენკელს აწუხებს არა ზუგდიდიდან უნომრო, უსაბუთო „ნივის“ წამოყვანა და შემდეგ მისი გადაღება, არამედ იმ სამასი დოლარის გადაყრა. ეს თანხა მან ვალად წამოადო ვაჟა ქრისტესიაშვილს. მანაც ვაჟკაცურად მიიღო პრეტენზია, — ყველაფერი ჩემი ბრალიაო.

„ამინაზღაურეთ ზარალი!“

გახსოვთ ალბათ, საქართველოს პროკურატურის განყოფილების უფროს ანზორ ხვადაგიანს ასევე ზუგდიდიდან გატაცებული ავტომანქანა თბილისში დაუბრუნეს. მართალია, გაძარცვული, გატიალებული, მაგრამ დაუბრუნეს. მის ავტომანქანასაც ლულუ ჩხენკელივით გულისხმიერი დროებითი მფლობელი რომ გადაჰყროდა, ალბათ, „09“-ს „ნივასავით“ გაალამაზებ-გააკოხტავებდა, მაგრამ... ამას ვინ ჩივის, — მეორე ავტომანქანა, თავისი ცოლისძმისა, საერთოდ დაეკარგა.

აი, ოჩამჩირის გამგებელმა ხუტა გუგუჩიამ კი აუნაზღაურებელი ზარალი ნახა. მისი სიმამრის ოჯახიდანაც სამი ავტომანქანა წაიყვანეს, — ერთი — „გაზ-24“ თავად ბატონ ხუტასი იყო. იგი მშვენივრად იცნობდა დოდო გუგეშაშვილსაც, ჯაბა იოსელიანსაც და თბილისში სწორედ მათ მიაკითხა. გუგეშაშვილმა უთხრა, — ჩვენ შავი „გაზ-24“ ზუგდიდიდან არ წამოგვიყვანიაო. მერე ჯაბა იოსელიანთან მივიდა, და იმან, — გვარი მითხარი, ვისა ჰყავს შენი მანქანა და მერე დაგიბრუნებო. ყაჩაღები არც მისამართს სტოვებენ, არც გვარს. არ იცოდა ის გვარი ხუტა გუგუჩიამ და ვერც მიიღო თავისი „ვოლგა“.

პროცესზე გამოიკვეთა, რომ ხუტა გუგუჩიას მართლაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა მხედრიონელებთან. ოჩამჩირეში ლამის ერთ ჭერქვეშ უცხოვრიათ, — ერთად შიოდათ, ერთად სწყუროდათ, ტყვიასაც ერთად ხვდებოდნენ, და გაოცება ვერ დამალა ვერც მოსამართლე ლენგერ ბოჭორიშვილმა და ვერც პროკურორმა გივი ბახაშვილმა: ასეთ კაცს არ დაეხმარნენ, ფეხზე არ დადგნენ?

დოდო გუგეშაშვილმაც დაადასტურა და ზაზა პაიჭაძემაც, რომ მხედრიონელები ფეხზე დადგნენ, მაგრამ ხუტა გუგუჩიას მანქანას საქართველოში ვერ მიაგნეს. ჩვენების ბოლოს, დაზარალებულმა ისე, თითქოს სხვათაშორის თქვა: მერე გავიგე, რომ ჩემი ავტომანქანა ოსეთში გაიყვანეს და იქ გაყიდეს, ოღონდ ეს აღარ დააზუსტა. — ვინ გაიყვანა და ვინ გაყიდა.

ერთი მოითხოვა მხოლოდ: ჩემი „გაზ-24“ შეფასებულია 3.400 ლარად და ეს ზარალი ამინაზღაურეთო. ვინ აუნაზღაურებს?

ხუტა გუგუჩიას მისმა ახლობლებმა უთხრეს, ჩვენი ავტომანქანები რუსთავის „მხედრიონის“ ბიჭებმა წაიყვანესო. ერთი ავტომანქანა ზუგდიდში, კომენდატურის წინ უნახავთ. შლიდნენ თურმე ვიღაც-ვიღაცეები. რას შვრებით, ეს ჩვენიაო. ალმაცერად შემოუხედავთ და ავტომატები მიუშვერიათ პატრონებისათვის. ეგ იყო და ეგ. მას მერე ის დაშლილ-დანაწილებული ავტომანქანაც აღარავის უნახავს.

სადა ხარ, სირცხვილო?

წინასწარი ჩვენებით, ელგუჯა გვილავასთვის ავტომანქანა იარაღის ძალით წაურთმევიათ. სასამართლო პროცესზე კი დაზარალებული გვაჯერებს, რომ მან ავტომანქანა თავად მიჰყიდა მხედრიონელს...

წინასწარი ჩვენებით, ბესიკ გელაშვილს ზუგდიდში საკუთარი თვალით უნახავს, თუ როგორ გამოდიოდნენ ქალაქიდან ნაძარცვით დატვირთული ტრაილერები და მსუბუქი ავტომანქანები. სასამართლო პროცესზე კი აცხადებს, რომ არ გაუსინჯავს ეს კოლონები. უფრო მეტიც, — მსუბუქი ავტომანქანები თვალითაც არ უნახავს...

წინასწარი ჩვენებით, თემურ გრიგოლიას მსჯავრდებული ტარიელ წიწილაშვილი დარჩელში, შემთხვევის ადგილზე გაუყვანია, იმ თხრილშიც კი ჩაუწვენია, სადაც დაიჭრა 16 ნოემბერს. სასამართლო პროცესზე ითქვა, რომ წიწილაშვილი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას დარჩელში საერთოდ არ გაუყვანიათ.

წინასწარი ჩვენებით, კახა ლეკიშვილს გადამწვარ დარჩელში დოდო გუგეშაშვილიც უნახავს და ვაჟა ქრისტესიაშვილიც. სასამართლო პროცესზე კი დაიჩემა, რომ ასეთი რამ არ უთქვამს.

წინასწარი ჩვენებით, გენერალ გურამ ნიკოლეიშვილს თავისი ყურით მოუსმენია ჯაბა იოსელიანის ნათქვამი „მხედრიონისათვის“ ზუგდიდის სამი დღით სათარეშოდ მიცემის შესახებ. სასამართლო პროცესზე კი განაცხადა, — მსგავსი არაფერი გამიგია, მოშორებით, გასასვლელ კარებთან ვიდექიო.

თითქოს ბევრი რამ ტრიალდება, ბევრი რამ უკუღმა დგება. მოწმეთა უმრავლესობას წინასწარი ჩვენება „ავიწყდება“ და ახლანდელ ჩვენებას „ეჭიდება“... სასამართლო კოლეგია იძულებულია, საჯაროდ გამოაცხადოს, რომ გამომძიებლებს პროცესზე აუცილებლად მოიწვევს და მოწმეებს დაუპირისპირებს. მტყუან-მართალი მაშინ მაინც გაირკვევა.

ერთია ოღონდ: აუწითლდებათ კი ლოყები ტყუილის მთქმელთ? ბევრი მათგანი ხომ ჩინოსანი, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირია? ვნახოთ!

ბონდო გულიაშვილი.

ფაქტი

პატიმარი ცემით მოკლეს

11 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარემ კოსტა ძუგაევმა მიიღო საქართველოში ეუთოს მისიის თანამშრომლები იოჰან შტიგლერი და დიმიტრი შომოტოვი, მათივე თხოვნით.

მხარეებმა ისაუბრეს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე. კერძოდ, განიხილეს შემთხვევა, რომელიც ამ დღეებში ცხინვალის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდა: გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა პატიმარი ნოდარ ბოლოთაევი. არის ეჭვი, რომ ნ. ბოლოთაევი პოლიციელებმა ცემით მოკლეს.

კ. ძუგაევმა ეუთოს თანამშრომლებს აღუთქვა, რომ ეს ფაქტი ოპერატიულად და ობიექტურად იქნება გამოძიებული. დამნაშავეები მთელი სიმკაცრით აგებენ პასუხს კანონის წინაშე.

დამნაშავეების დროულ გამოვლენას ითხოვენ დაღუპულის თანასოფლელებიც. მომხდარის გამო პროტესტის ნიშნად მათ ალყა შემოარტყეს სამართალდამცავი ორგანოების შენობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტრაგიკული შემთხვევის ერთ-ერთი მიზეზი არის ის სავალალო ტენდენცია, რომელიც დამკვიდრდა სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავ ორგანოებში: ძველი, გამოცდილი კადრების განდევნა და მათ ნაცვლად არაპროფესიონალი ახალგაზრდების მიღება.

ანატოლი ჭაჭიევი,
გაზეთ „იუჟნაია ოსეტიას“
რედაქტორი.

რედაქციისგან: ჩვენ უცვლელად დავბეჭდეთ ბატონ ანატოლი ჭაჭიევის ინფორმაცია. მკითხველი მიხვდება, რომ „სამხრეთ ოსეთის პარლამენტში“ იგულისხმება უღიარებელი სამხრეთ ოსეთის პარლამენტი.

კონტაქტები

ორი ქვეყანა – ერთი რეგიონი

XXI საუკუნის მიჯნაზე საქართველო-ისრაელის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ

მრავალი პარალელი შეიძლება გაივლოს ამ ორ ქვეყანას შორის უნიკალური იუბილეს – საქართველოში ებრაელთა 26-საუკუნოვანი ცხოვრების თარიღის დღესასწაულობის წინ. 50 წლის წინათ ისრაელმა თავისი სახელმწიფოს შენება დაიწყო ძნელ პირობებში. დღეს საქართველოს სახელმწიფოც ასევე ურთულეს ვითარებაში შენდება.

ისტორია ორივე ქვეყანას აძლევს კარგ საფუძველს ჭეშმარიტად სანიმუშო ურთიერთობათა ჩამოსაყალიბებლად...

საქართველოსათვის ფრიად სასარგებლოა ისრაელის მიერ შეძენილი გამოცდილება დემოკრატიული სტრუქტურებისა და ინსტიტუტების შექმნაში.

ისრაელი, თავის მხრივ, ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. მას იზიდავს, ვთქვათ, ედუარდ შევარდნაძის ფენომენი, მისი პირადი დამოკიდებულება ებრაელებისადმი, ის სასიკეთო როლი, რომელიც მან შეასრულა ბევრი ქართველი ებრაელის ბედში.

და კვლავ – პარალელების შესახებ.

ორივე ქვეყნის მოსახლეობა ხუთ-ხუთი მილიონია. ისრაელშიც და საქართველოშიც სამი ძირითადი რელიგიის წარმომადგენლები – იუდეველები, ქრისტიანები და მაჰმადიანები ცხოვრობენ.

23 საუკუნის წინათ საქართველოში შეიქმნა ქართული ანბანი. ისრაელში ბიბლიის ენა აღორძინდა.

ერთი სიტყვით, ქართველ და ებრაელ ხალხებს აკავშირებთ ისტორიული სვე-ბედის ერთიანობა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ძნელი გზა და, შესანიშნავი ტრადიციები, რომლებიც ეხმარება დღევანდელ თაობას იქაც და აქაც, არ დაივიწყოს თავისი წარსული, ამასთან, იმედიანად უყუროს მომავალს – დამდეგ 21-ე საუკუნეს...

* * *

ისრაელის ყოფილმა პრემიერმა შიმონ პერესმა დიპლომატიურ ენაში დაამკვიდრა ტერმინი – „ახალი ახლო აღმოსავლეთი“.

ინგლისელი ისტორიკოსის, ბერნარდ ლუისის, ცნობილი არაბისტისა და აღმოსავლეთმცოდნეთა მთელი სკოლის შემქმნელის ნაწერებში მე ვნახე მეორე ფორმულა ამ თემაზე: „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“.

მაშ ასე, „თანამედროვე“ თუ „ახალი“? რომელია ამ ტერმინთაგან უფრო ზუსტი?

მეცნიერ-ორიენტალისტი განმარტავს: „ახალი ახლო აღმოსავლეთი“ – ეს სხვა არა არის რა, თუ არა „ძველი ახლო აღმოსავლეთი“, ანდა, სხვაგვარად, – ეს არის ახლო აღმოსავლეთი, როგორიც იგი იყო 200 წლის წინათ. რატომ ავიღეთ ასეთი თარიღი?

იმისათვის, რომ განვაგრძოთ ჩვენი სტატიის თემა, მოვიმოქმედოთ ერთი მცირეოდენი წიაღსვლა ისტორიაში. ამრიგად, 1797 წელი. მომდევნო, 1798 წელს, როგორც ცნობილია, დაიწყო ნაპოლეონის ექსპედიცია ეგვიპტეში. იგი იმით არის ღირსსახსოვარი, რომ აღინიშნა პალესტინაში შეჭრითა და აკოს ალყით... დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ.

* * *

1806 წელი. იმპერატორი ნაპოლეონი ებრაელთა თანასწორუფლებიანობის საკითხს სწავლობს. იგი იწვევს საფრანგეთისა და იტალიის ებრაელთა თემების წარმომადგენლებს და მოითხოვს მათგან პასუხს ზოგიერთ პრინციპულ საკითხზე, მათ შორის ერთ-ერთ უმთავრესზე – იმპერატორის მიმართ ებრაელთა ლოიალობაზე. და ებრაელთა წარმომადგენლებმა ასეთი პასუხი გასცეს: „...ჩვენ მოსეს კანონით ფრანგები ვართ, და მზად ვართ სიცოცხლე შევწიროთ საფრანგეთს, ებრაელები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ ხალხს, ისინი ფრანგი ერის ნაწილს შეადგენენ“.

არ დავურთავთ არავითარ კომენტარს ამ ტექსტს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თათბირი, რომელზეც ეს პასუხი დაიწერა, შაბათს გაიმართა. ებრაელებმა ამჯობინეს პატივი ეცათ ნაპოლეონისათვის, და არა კვირის წმიდა დღისათვის. ეგებ ამას ჰქონდა თავისი მიზეზები, ამის შესახებ – მოგვიანებით, ჯერჯერობით დავუბრუნდეთ თვით ლაშქრობას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1798 წლის ზაფხულში გაიმართა.

ევროპაში მოპოვებული სახელოვანი გამარჯვებების გვირგვინით შემკული გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტი ეგვიპტეს გაეშურა... ეს იყო პალესტინის ტერიტორია, რომელიც იმხანად თურქთა ხელში იმყოფებოდა. თურქთა ტომები, რომელთაც ოსმანთა სახელი ეწოდათ მათი სულთნის ოსმან I-ის (1290-1326) პატივსაცემად, ცენტრალური აზიიდან გამოდევნეს თავიანთი შემოსევებით მონღოლებმა. ისინი დასავლეთისაკენ დაიძრნენ და მცირე აზიას მიაღწიეს. თანდათან თურქებმა ხელში ჩაიგდეს ბიზანტიის იმპერიის ნაწილი მცირე აზიასა და ევროპაში. XVI საუკუნემდე დაიპყრეს მათ სხვა ტერიტორიებიც. კერძოდ, ეგვიპტე და ერეც-ისრაელი – 1517 წელს. ისტორიკოსები აღწერენ, რომ ამ ქვეყანას უკვე მაშინ ჰქონდა აღზევების პერიოდი. ვითარდებოდა ვაჭრობა და ხელოსნობა. მტკიცდებოდა ებრაელთა ჩამოყალიბება. სხვადასხვა ქვეყნებში დაფანტული ებრაელები თანდათან ბრუნდებოდნენ ერეც-ისრაელში. აი, დოკუმენტი, რომელიც ამ ფაქტს ადასტურებდა. 1560 წელი. მომყავს ციტატა: „ამ მიდამოში განისვენებენ პატრიარქები აბრაამი და მისი ცოლი, ისაკი და მისი ცოლი, დავითი, სოლომონი და სხვანი და სხვანი... ჩვენ გვინდა, თაყვანი ვცეთ ამ წმიდა საფლავებს...

ეს არის საუცხოო და ვრცელი ქვეყანა, რომელსაც არაფერი არ აკლია, აქ მრავლად არის პური, ხორცი, ღვინო, ხილი და ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე, რაც კი რამ არსებობს დედამიწის ზურგზე...“

მაგრამ XVII საუკუნეში აღმავლობას დაქვეითება მოჰყვა. მიწა გაუდაბურდა, სოფლები გაუკაცრიელდა, მიწათმოქმედი მოსახლეობა კვლავ მომთაბარეობის გზას დაადგა.

მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა მდგომარეობა უკეთესობისაკენ. 1853-1856 წლების ყირიმის ომმა, რომელშიც მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო მონაწილეობდა, ცხადყო ოსმანთა იმპერიის სისუსტე.

* * *

მაგრამ დავუბრუნდეთ ნაპოლეონს. იმპერატორი ალექსანდრიაში შევიდა 1797 წლის 1 ივლისს. სამი კვირის შემდეგ კაირო დაეცა. ხმელეთზე მოპოვებულ გამარჯვებებს ჩრდილი მიაყენა დიდმა დამარცხებამ ზღვაში. საფრანგეთის ხომალდები, რომელთაც ცალთვალა ინგლისელმა ადმირალმა ნელსონმა შეუტია, თითქმის ყველა ჩაიძირა ნილოსზე გამართულ ბრძოლაში. ინგლისის ფლოტი ხმელთაშუა ზღვაზე ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდა. სწორედ ამ დროს ქმნიან თავიანთ კავშირს ინგლისი, თურქეთი და რუსეთი.

გენერალი ბონაპარტი არასახარბიელო მდგომარეობაშია. და მაშინ, ნაპოლეონი ელვისებური ნახტომით ცდილობს გაანადგუროს მტერი აღმოსავლეთ ფრონტზე, მათ შორის ერეც-ისრაელში. იგი ლაშქრობისათვის აგროვებს 30 ათას ხიშტს. უნდა დალაშქროს სინაი, ე. ი. განახორციელოს 200-კილომეტრიანი ლაშქრობა უდაბნოში, სადაც არ არის წყალი და სურსათ-სანოვაგე.

მხედართმთავრის სარდლები ყველანი ყმაწვილკაცები არიან. თვით ნაპოლეონს ჯერ 30 წელიც არ შესრულებია.

კამპანიის დაწყებიდან 22 დღის შემდეგ შუა უდაბნოში მდებარე ოაზისს ელ-არიშს ალყა შემოარტყეს. ალყამ 11 დღეს გასტანა. ნაპოლეონის ჯარებმა ბანაკი დასცეს იაფას გალავანთან. იგი შტურმით უნდა აიღონ.

* * *

იაფა პალესტინის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. ლეგენდის თანახმად, ქალაქს სახელი ეწოდა იაფეტის – ნოეს სამთაგან ერთ-ერთი ვაჟის პატივსაცემად. ქალაქი გაშენდა ძველი წელთაღრიცხვის მე-5 ათასწლეულში. მის განვითარებას ხელი შეუწყო საუცხოო გეოგრაფიულმა პირობებმა.

...შტურმის სამზადისს რომ მორჩნენ, ფრანგებმა 4-ათასიან თურქთა გარნიზონს შესთავაზეს, დაეყარა ფარ-ხმალი. პასუხი არ მიუღიათ.

ლაშქრობამ სულ ხუთ დღეს გასტანა. ჰაიბა უბრძოლველად დანებდა. ნაპოლეონმა ახლა ბანაკი ქალაქ აკოსთან დასცა.

სწორედ ამ დროს გამოსცა იმპერატორმა მანიფესტი; მან მიმართა ერეც-ისრაელის ებრაელებს. როდესაც ამ დოკუმენტს კითხულობ, უკეთ გესმის, რატომ მოითხოვდა მოგვიანებით ნაპოლეონი ებრაელთა ლოიალობას...

* * *

საინტერესო ფაქტი: მანიფესტი სრულად გამოქვეყნდა მხოლოდ... 140 წლის შემდეგ, ანუ 1938 წელს.

ამ მანიფესტის შინაარსი უაღრესად ნიშანდობლივია დღესაც, თითქმის 200 წლის შემდეგ. აი ფრაგმენტი მანიფესტიდან: „...იუდეველები ერთადერთი ერია, რომელსაც ათასწლეულების მანძილზე წართმეული ჰქონდათ ქვეყანა, მაგრამ ვერ წაართვეს სახელი და ეროვნული არსებობა...“.

და შემდეგ: „...იჩქარეთ! დაჰკრა ჟამმა, რომელიც შეიძლება არ გამეორდეს კიდევ ორი ათასწლეულის განმავლობაში – მოითხოვეთ მსოფლიოს ხალხთა შორის პოლიტიკური უფლებების დაბრუნება... მოითხოვეთ სახელმწიფო არსებობა, როგორც ერისა ერებს შორის და ბუნებრივი უფლება – ემსახუროთ უფალს დაუფარავად და მარად“.

აი, ასეთი ამაღლებული სტილით მიმართა ნაპოლეონმა ებრაელებს წინადადებით, დაეარსებინათ ერეც-ისრაელში ებრაელთა სახელმწიფო. ამ მიმართვამ საუკუნე-ნახევრით გაუსწრო გაეროს ცნობილ რეზოლუციას პალესტინის გაყოფის შესახებ, რომელიც 1947 წლის 20 ნოემბერს იქნა მიღებული.

* * *

ამრიგად, –. აკოს ალყა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამი ათასი წლის წინათ დაარსებული ეს ქალაქი დიდ ცენტრად გადაიქცა და ჯვაროსანთა ხანიდან თურქთა ბატონობის ბოლომდე ერეც-ისრაელის მთავარი ნავსადგური იყო.

მიხეილ ფიჩხაძე.
სააგენტო „თიფ“.
თბილისი – თელ-ავივი.

(გაგრძელება იქნება).

მთაწმიდა
საზოგადოებრივ - პოლიტიკური გაზეთი
№11 1997 წ.
ხბურთი და „ძველბიჭობა“
ხების მადლობა ნოდარ ახალკასს
სარიშვილი-ქანტურია რუსეთის
მსახურებთან თანამშრომლობს
გამოცემა განაახლა გაზეთმა „მთაწმიდამ“. მასში ბევრ საინტერესო პუბლიკაციას გაეცნობით.

ბინები, აგარაკები

იყიდება

იყიდება ორსართულიანი, ახლადაშენებული, კაპიტალური სახლი (16X8) თიანეთთან (2 კმ) ივრისპირა ლამაზ სოფელში, ხეხილიანი მიწის ნაკვეთით (2400 კვ. მ.), სასმელი და სარწყავი წყლით, დამხმარე ნაგებობით. დასამთავრებელია პირველი სართულის შიგა სამუშაოს ნაწილი. მასალები ადგილზეა, ან ამ ბინას ვცვლი ერთოთახიან ბინაზე თბილისში. საწყისი ფასი 15000 დოლარი. ტელ: 93-89-53, დღისით; 33-11-66 საღამოს.

იყიდება 6-ოთახიანი, კარგად გარემონტებული, პრესტიჟული ბინა ვერაზე — შანიძის (კალანდაძის) ქ. № 5-ში, 4-სართულიანი სახლის I სართულზე, მაღალ ბელეტაჟზე, უკან ღია აივნით. საცხ. ფართი 140 კვ. მ. ჭერის სიმაღლე, 3,80 მ. ტელეფონით, ინდივიდუალური გათბობით, ცხელი წყლით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-70-75, 29-13-27, მანანა.

იყიდება 4+1-ოთახიანი ბინა ბალანჩივაძის (ჩიქოვანის) ქუჩაზე (140 კვ. მ.), კაპიტალური ავტოგარაჟით, სარდაფით, საშრობით, ორი აივნით. საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. ბინა მე-16 სართულზეა. გამართულად მუშაობს ოთხი ლიფტი. საწყისი ფასი 35000 დოლარი. ტელ: 93-89-53 დღისით, 33-11-66 საღამოს.

იყიდება სასწრაფოდ დოლიძის ქუჩაზე საკუთარი 3-სართულიანი აგურის სახლი, 10 ოთახით, ეზოთი, ტელეფონით, სამზარეულოთი და ტუალეტით, თავისი გათბობით. მისამართი: დოლიძის გადაკვეთა, ლიხაურის ჩიხი, № 10, ტელ: 36-13-61 ან 33-35-34 კობა ან ლამარა.

იყიდება ბახტრიონის ქ. № 16-ში, 9-სართულიანი სახლის მე-9 სართულზე ახალგარემონტებული, 110 კვ. მ. ფართობის დიდი ბინა, სარდაფით, ცხელი წყლით, კაბელური ტელევიზიითა და ტელეფონით. ფასი 32 ათასი დოლარი.

ქალაქის ცენტრში სასწრაფოდ იყიდება ოროთახიანი ნახევარსარდაფი, სარემონტოა, გამოდგება ოფისად, სახელოსნოდ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-11-40 საღამოს საათებში.

იყიდება სასწრაფოდ ან იცვლება მუხაძის ქ. № 34ა-ში, 4 ოთახიანი ბინა — ვაკის პარკთან. ფართი 150 კვ.მ. ჭერი 3,4 მ. მომატების პერსპექტივით, დიდი სარდაფით, ავტოგარაჟით, პატარა მიწის ნაკვეთით, ბინა არის სამსართულიანი სახლის მე-2 სართულზე (ყოველ სართულზე თითო მოსახლეა). ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-67-58.

იყიდება სასწრაფოდ პრივატიზებული 3-ოთახიანი, სუფთა ბინა 9 სართულიანის მე-4 სართულზე. გადაკეთებულია. სანტექნიკა და აბაზანა გამოცვლილია, რკინის კარით, 3 აივნით. ოთახების ფართი 37-12,5 – 12,5 კვ. მ. სამზარეულო 10 კვ. მ. ჩადგმული კარადით. ფასი 12000 დოლარი. მისამართი: დიდი დიღომი, III მკრ. 35 კორ. I სად. ტელ: 95-34-79.

იყიდება კარგად გარემონტებული 3-ოთახიანი ბინა (საერთო ფართი 95 კვ. მ.) 9 სართულიანი სახლის მე-9 სართულზე, ლოჯიით, ბუხრით, სადარაფითა და სხვენით, რომელიც იძლევა ფართობის დაშენების პერსპექტივას. მისამართი: საბურთალო, მეტრო „პოლიტექნიკური“, ფანასკერტელის ქუჩა, მე-13 ბ კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 40. ტელეფონი: 38-32-25 ან 33-76-69. ფასი შეთანხმებით, ლადო.

იყიდება სამოთახიანი, გარემონტებული, კუთხის სუფთა ბინა 8 სართულიანი სახლის მე-2 სართულზე – ლოჯიით, ორი აივნით. ტელ: 52-29-39, ფასი 20 000 დოლარი. მისამართი: დიღმის მასივი, მე-2 კვარტალი, მე-5ა კორპუსი, I სადარბაზო, ბინა № 2.

იყიდება 60 კვ. მ. ფართის სარემონტო, ნახევრადსარდაფი ქალაქის ცენტრში, ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე, გამოდგება ოფისად, საცხოვრებლად, სახელოსნოდ. ტელ: 29-11-40, საღამოს 18 საათიდან 22 საათამდე.

იყიდება სასწრაფოდ ერთოთახიანი ბინა ავეჯთან ერთად „ავლაბრის“ მეტროსთან. ოთახის ფართია 21 კვ. მ. შუშაბანდი – 8 კვ. მ. ფასი 3200 დოლარი. მისამართი: ფიოლეტოვის ქ. № 11. ტელ: 51-95-06; 95-67-67, დარეკეთ საღამოს საათებში.

ქირავდება

ვაქირავებ უცხოელებზე 3-ოთახიან, სუფთა ბინას 2-სართულიანი სახლის მე-2 სართულზე, საკუთარი სადარბაზოთი, ავეჯით. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ ტელ: 37-09-20, დალი, 99-71-06, თამაზი.

ქირავდება ერთოთახიანი ბინა ტ. ტაბიძის 39-ში, ვაკის პარკთან ახლოს. ბინაში არის მაცივარი, მაგიდები, სკამები, წიგნის კარადა. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-73-54.

ქირავდება ერთოთახიანი ბინა ლოჯიით, ტელეფონით, ავეჯით, წერეთლის გამზირზე (მეტრო წერეთლიდან მეორე გაჩერებაზე). ფასი 120 დოლარი, ტელ: 38-74-20.

სხვადასხვა

სწრაფი (რაციონალური) კითხვის ტექნიკას შევასწავლი 3-თვიან მეცადინეობებზე (კვირაში 2-ჯერ, მეტრო „გოცირიძესთან“). გაიზრდება ყურადღება, ტექსტის ათვისებისა და დამახსოვრების ხარისხი. ტელ: 99-85-09, 31-32-75.

ვამეცადინებ სკოლის მოსწავლეებს ფრანგულ ენასა და ლიტერატურაში. დარეკეთ: 62-68-61, 95-19-53.

იყიდება ან ქირავდება სპორტის სასახლესთან საოფისე ფართი 200 კვ.მ. რვა ოთახი, საუკეთესო რემონტით, ავეჯით. ფასი შეთანხმებით ტელ: 62-31-47; 95-25-60; 62-28-38.

იყიდება სასწრაფოდ, ძალიან იაფად, ქარხნული წესით დამზადებული რკინის ავტოგარაჟი ასაწყობი ბოლტებით დაშლილ მდგომარეობაში. ფასი 1000 ლარი. ტელ: 72-03-93.

„საქართველოს რესპუბლიკა“ მხოლოდ თავისი მკითხველების განცხადებებს აქვეყნებს უფასოდ

№ 232 „სრ“

უფასო განცხადებების ბლანკი

____
____
____
____
____

შევსებული ბლანკი ამოჭერით და ჩააბარეთ რედაქციის განცხადებების განყოფილებას. მისამართი: მ. კოსტავას ქ. №14. პირველი სართული. ყოველდღე, კვირის გარდა, 11-დან 17 საათამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

ფეხბურთი

ევროტურნირები

დღეს, ხვალ, ზეგ...

როგორც იქნა, დასრულდა ფეხბურთელთა ევროპის პოპულარული საკლუბო ტურნირების წინასწარი, შესარჩევი და საკვალიფიკაციო ეტაპების მატჩები, გუნდები რანგის მიხედვით განაწილდნენ და საპატიო პრიზებისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან.

საქართველოს ჩემპიონი – თბილისის „დინამო“ უეფას თასის გათამაშების პირველ ოცდამეთორმეტედ ფინალურ შეხვედრას დღეს ბელორუსიაში ამ ქვეყნის მარშანდელ ჩემპიონთან „მოზირთან“ გამართავს. დინამოელები მოზირში ჩარტერული ავიარეისით გუშინ გაემგზავრნენ. ორი გაფრთხილების გამო თბილისში დარჩა გივი დიდავა. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდა კახი გოგიჩაიშვილი, რომლის კვიპროსზე დადებული კონტრაქტის გამოც კლუბს საკმაო ნერვიულობა გადახდა.

დღევანდელი მატჩის პირდაპირი რადიორეპორტაჟი ბელორუსიიდან 18 საათზე დაიწყება.

აქვე გთავაზობთ პირველი შეხვედრების სრულ განრიგს:

უეფას თასი.
1/32 ფინალი.
პირველი მატჩები
16 სექტემბერი

დეპორტივო — ოსერი
ზალცბურგი — ანდერლეხტი
პაოკი — არსენალი
ვიძევი — უდინეზე
აიაქსი — მარიბორი
ლიონი — ბრონდბიუ
მოზირი — დინამო (თბილისი)
ვალიადოლიდი — სკონტო
გიმარაეში — ლაციო
სტრასბური — რეინჯერსი
მტკ — ალანია
შალკე — ჰაიდუკი
ბასტია — ბენფიკა
სიონი — სპარტაკი (მ)
ოფი — ფერენცვაროში
სამპდორია — ბილბაო
ბორდო — ასტონ ვილა
სტიაუა — ფენერბაჰჩე
როტორი — ერებრუ
ჯაზი — მიუნხენი
ტრაბზონსფორი — ბოხუმი
კროაცია — გრასჰოპერსი
ვიტესი — ბრაგა
რაპიდი — ჰაპოელი (ტ-თ)
ინტერი — ქსამაქსი
სელტიკი — ლივერპული
მუსკრონი — მეცი
ტვენტე — ლილესტროიმი
ბეითარი — ბრიუგე
ატლეტიკო — ლესტერი
ორჰუსი — ნანტი
კარლსრუე — ანორთოსისი

ჩემპიონთა ლიგა.
I ტური.
17 სექტემბერი

სპარტა — პარმა
გალათასარაი — დორტმუნდი
კოშიცე — მანჩესტერ იუნაიტედი
იუვენტუსი — ფეიენოორდი
ეინდჰოვენი — დინამო
ნიუკასლი — ბარსელონა
რეალი — რუსენბორგი
ოლიმპიაკოსი — პორტუ
ბაიერნი — ბეშიქთაში
პსჟ — გეტებორგი
სპორტინგი - მონაკო
ლევერკუზენი - ლიერსი

თასების თასი.
1/16 ფინალი.
პირველი მატჩები
18 სექტემბერი

ქოჩაელისფერი — ნაციონალი
აპოელი — შტურმი
შტუტგარტი — ვესტმანაეიარი
ბოავიშტა — შახტიორი
ეკერენი — ცრვენა ზვეზდა
აიკ — პრიმორიე
აეკ — დინაბურგი
სლავია (პრ.) — ლუცერნი
ჰაპოელი (ბ-შ) — როდა
ზაგრები — ტრომსო
კოპენჰაგენი — არარატი
ბელშინა — ლოკომოტივი (მ)
ჩელსი — სლოვანი
ნიცა — კილმარნოკი
ბეტისი — ვაშუტაში
ვიჩენცა — ლეგია

ევროპის სტადიონებზე

კონტინენტის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში თანდათან ძალებს იკრებს ეროვნული ჩემპიონატები. ახალი სეზონის სტარტი ყველგან უშეღავათო ბრძოლით ხასიათდება.

იტალია: მეორე ტური. „ფიორენტინა“ – „ბარი“ 3 : 1 (ფლორენციელთა არგენტინელმა ბომბარდირმა გაბრიელ ბატისტუტამ ორი ბურთი გაიტანა და უკვე 5 გოლი დაუგროვდა), „ბოლონია“ – „ინტერი“ 2:4, „პარმა“ – „ატალანტა“ 2:2, „მილანი“ – „ლაციო“ 1:1, „რომა“ – „იუვენტუსი“ 0:0, „ბრეშია“ – „სამპდორია“ 3:3.

„ფიორენტინა“, „ინტერი“ – 6-6, „ატალანტა“, „პარმა“, „ლაციო“, „რომა“, „იუვენტუსი“, „სამპდორია“ – 4-4 ქულა.

ესპანეთი. მესამე ტური. „ბარსელონა“ – „დეპორტივო“ 2:1, „რეალი“ – „სოსიედადი“ 2:0, „სელტა“ – „ბეტისი“ 2:0, „კომპოსტელა“ - „ტენერიფე“ 1:2.

„ბარსელონა“ – 9, „რეალი“, „სელტა“, „ტენერიფე“ – 7-7 ქულა.

გერმანია. მეექვსე ტური. „კაიზერსლაუტერნი“ – „შტუტგარტი“ 4:3. „ბაიერნი“ – „ჰერტა“ – 3:0.

„კაიზერსლაუტერნი“ – 16, „ბაიერნი“ – 13 ქულა.

ინგლისი. მეექვსე ტური. „მანჩესტერ იუნაიტედი“ – „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ 2:1, „ბლექბერნ როვერსი“ – „ლიდს იუნაიტედი“ 3:4, „კრისტალ პალასი“ – „ჩელსი“ 0:3, „არსენალი“ – „ბოლტონ უონდერერსი“ 4:1.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ – 16, „ბლექბერნ როვერსი“ – 13, „ჩელსი“, „არსენალი“ – 12-12 ქულა.

საფრანგეთი. მეშვიდე ტური. „მეცი“ – „კანი“ 2:0, „პარი სენ-ჟერმენი“ – „ბასტია“ 2:0.

„მეცი“ – 19, „პარი სენ-ჟერმენი“ – 18 ქულა.

ჩვენებურები

შვეიცარიის ჩემპიონატის მეათე ტურში თავი გამოიჩინა ციურიხის „გრასჰოპერსის“ ქართველმა ლეგიონერმა მიხეილ ყაველაშვილმა. იგი „ბაზელის“ წინააღმდეგ მინდორზე შეცვლაზე გამოვიდა, მაგრამ მაინც მოახერხა გამარჯვების გოლის გატანა – 3:2. გიორგი ნემსაძემ ძირითად შემადგენლობაში მთელი 90 წუთი ითამაშა. ამ მოგებით „გრასჰოპერსი“ მეორე ადგილზე დამკვიდრდა და კვლავ 4 ქულით ჩამორჩება ერთპიროვნულ, ჯერაც დაუმარცხებელ ლიდერს – ჟენევის „სერვეტს“.

თბილისიდან ჰოლანდიაში დაბრუნებულმა შოთა არველაძემ პირველად დატოვა სარბიელი უგოლოდ, თუმცა ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია მისი კლუბისთვის – ამსტერდამის „აიაქსისათვის“ ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოეპოვებინა „გრონინგენთან“ – 4:1. „აიაქსი“ ქულათა მაქსიმუმით განაგრძობს ლიდერობას. არჩილ არველაძის კლუბმა „ბრედამ“ კვლავ სტუმრად მოიგო, ამჯერად „გრააფსხაფთან“ 1:0 და სატურნირო ცხრილში მეცხრე ადგილზეა.

ინგლისის პრემიერლიგაში წარუმატებლად იასპარეზა თემურ ქეცბაიას გუნდმა „ნიუკასლ იუნაიტედმა“, რომელმაც შინ პირველი მარცხი იწვნია „უიმბლდონთან“ – 1:3. ჩვენებური მოედანზე 64-ე წუთზე შევიდა. პირველ დივიზიონში გიორგი ქინქლაძის „მანჩესტერ სიტიმ“ სტუმრად ქულა მოიპოვა „ბერი თაუნთან“ – 1:1.

რუსეთის ჩემპიონატის მორიგი ტური ვლადიკავკაზის „ალანიას“ ქართველი მცველის მურთაზ შელიას კიდევ ერთი ტრავმით აღინიშნა. მან მოსკოვის „დინამოსთან“ 0:1 წაგებულ მატჩში ნეკნი გაიტეხა.

საშინაო ფრონტზე

ჩასხრა საქართველო-იტალიის სანაკრებო მატჩით გამოწვეული ენებათაღელვა და გუნდები ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდნენ.

მეექვსე ტური მახანჩალების – თბილისის „ლოკომოტივისა“ და ბოლნისის „სიონის“ მოსაწყენი სანახაობით გაიხსნა. მიზანთან უფრო ახლოს სტუმრები იყვნენ – გოგოლაძე (ორჯერ) და ხოსრომეილი მესვენების შემდეგ პირისპირ გავიდნენ რკინიგზელთა მეკარესთან, მაგრამ მომენტები ვერ გამოიყენეს. თბილისელთა ერთადერთი სახიფათო იერიში გოლით დაგვირგვინება კვეტენაძეს შეეძლო, მაგრამ ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა. საბოლოოდ ფრე – 0:0.

ასევე ზავით დასცილდნენ ერთმანეთს წყალტუბოს „სამგურალი“ და „ბათუმი“ – 1:1. საკვირველია, როგორ ანიავებს ქულებს ერთ-ერთი ფავორიტი – „ბათუმი“.

გაუწყებთ გუშინ გამართული მატჩების შედეგებსაც: „გორდა“ – „მაღაროელი“ 2:1, „გურია“ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1:1, „მარგვეთი“ – „მერანი“ 0:4, „დილა“ – „ტორპედო“ 1:1.

დღეს დედაქალაქის „შევარდენის“ სტადიონზე 17 საათზე დაიწყება „მორკინალისა“ და ფოთის „კოლხეთის“ შეხვედრა.

მარათონი

მოვლენის აღსანიშნავად

გუშინ დედაქალაქის ქუჩებში საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაცია „სხივმა“ გამართა გაეროს მიერ თბილისისათვის „მშვიდობის დესპანი“ ქალაქის სტატუსის მინიჭების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი კეთილი ნების ადამიანთა 11-კილომეტრიანი მარათონი „თბილისის წრე“.

სურათზე: მარათონის მონაწილენი დისტანციაზე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ჩვენი სპორტის ამაგდარნი

ქუთაისის სისხლსავსე, მდიდარმა სპორტულმა ისტორიამ არაერთი სახელოვანი მამულიშვილის სახელი შემოგვინახა, რომელთა შორის ყველასაგან გამორჩეულია მრავალმხრივი, ბრწყინვალე სპორტსმენი და განუმეორებელი ხელოვანი, ლეგენდარული გივი კილაძე.

ამ არაორდინარული, გამორჩეული პიროვნებისადმი ინტერესს აცხოველებს ისიც, რომ ქუთაისის მერიის გადაწყვეტილებით, ცენტრალურ სტადიონს მისი სახელი მიენიჭა.

გივი კილაძის სპორტული ცხოვრება 1925 წელს დაიწყო, როცა „ზასტაველი“ ბიჭებით საფეხბურთო გუნდი „მერცხალი“ შექმნა, რომელიც მაყურებელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა. გუნდში გივი კილაძესთან ერთად თამაშობდნენ კოწია დათეშიძე, ალეკო გალუშკინი, კოლია გვარამაძე, ბიძინა გოქსაძე და სხვები.

1924 წელს, პირველად ქართული სპორტის ისტორიაში, ჩატარდა ქართული დივიზიის სპარტაკიადა, რომელშიც თავი ისახელეს და სპეციალური პრიზები დაიმსახურეს გივი კილაძემ, გოგი შხეაცაბაიამ და გოგი გოქსაძემ. გივი კილაძე ასევე მესანიშნავად თამაშობდა მაგიდის ჩოგბურთს, ხოლო ბილიარდის თამაშში საერთოდ არ ჰყავდა ბადალი.

ვეტერანმა ფეხბურთელებმა ავთანდილ ცირეკიძემ (მეტსახელად პოლოსამ) და მაკია გერაძემ გვიამბეს: „1938 წელს საქართველოს ჩემპიონატის მორიგ მატჩში ქუთაისის „დინამო“ ბათუმს ესტუმრა ადგილობრივ „დინამოს“ გუნდთან სათამაშოდ.

მასპინძლებმა სტუმრები გულთბილად მიიღეს და სალამოს ფეხბურთელებმა გივი კილაძის თაჯკაცობით ქალაქის ზღვისპირა ბაღში გაისეირნეთ. გივის ბათუმელი ნაცნობი შეხვდა და საბილიარდოში მიიპატიჟა. ჩვენ გაოცებული შევყურებდით, თუ რიგრიგობით როგორ ამარცხებდა ჩვენი თანაქალაქელი ბათუმელ მეტოქეებს. იმ ღამეს ბათუმში მასი მომგები არავინ აღმოჩნდა“...

გივი კილაძე ქუთაისის კალათბურთის ისტორიაში ის პირველი ბურთი იყო, რომელმაც 1927 წელს რესპუბლიკის პირველ ჩემპიონატზე, ქუთაისის ქალაქის ბულვარში რომ გაიმართა, ბრწყინვალედ იასპარეზა და თანაგუნდელებთან ერთად მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. გივი კილაძე გახლდათ შესანიშნავი მოცურავე, კომკიდან წყალში მხტომელი და კარგი წყალბურთელიც. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული ქუთაისში სპორტის ახალი სახეობის – წყალბურთის ჩასახვა და განვითარება. ვეტერანმა სპორტსმენმა გოგი გოქსაძემ გვიამბო: „1933 თუ 1934 წელს ქუთაისის გუნდს ბათუმში მონაწილეობა უნდა მიეღო წყალბურთელთა რესპუბლიკურ პირველობაზე. სპორტკომიტეტის ხელმძღვანელების დავალებით გივი კილაძემ მოცურავეებისაგან შეადგინა წყალბურთელთა გუნდი, რომელიც მდინარე წყალწითელაზე ვარჯიშობდა (მაშინ ქუთაისს საცურაო აუზი არ გააჩნდა). მეკარეობა მე დამაკისრეს. მართალია, ცურვა არ ვიცოდი, მაგრამ წყალში, კარებთან, უშველებელი ლოდი დამიდეს და მასზე შემდგარი ვიგერიებდი ბურთებს. წავედით ბათუმში სასპარეზოდ. პირველ მატჩში თბილისის ძლიერ გუნდს შევხვდით. შუალამისას ბიჭებმა დიდი ქვის ლოდი ნახეს და ერთ-ერთ კართან ჩაუშვეს წყალში. მეორე დღეს, თბილისელებთან ასპარეზობის წინ ჩვენი გუნდის კაპიტანმა გივი კილაძემ სწორედ ის კარი აირჩია. მაყურებლების და თბილისელების გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა უძლიერეს ტყორცნებს და უიმედო ბურთებს ვიგერიებდი, მაგრამ დაიწყო მეორე პერიოდი და ყველაფერი გაირკვა: მეორე კარებთან ლოდი არ იდო და, რადგან ცურვა არ ვიცოდი, წყალში ვიძირებოდი. სწრაფად მტაცეს ხელი ბიჭებმა და სამშვიდობოს გამიყვანეს, კარში ერთ-ერთი მოთამაშე ჩადგა. იმ შეხვედრაში მეორე კურიოზიც მოხდა. თამაშს თბილისელი მსაჯი ნავში ჩამჯდარი სჯიდა, როცა გივი კილაძის მიერ გატანილი ბურთი არ ჩათვალა, ქუთაისელი წყალბურთელები მიცურდნენ მსაჯთან და ნავი გადააბრუნეს. თურმე ცურვა არც მსაჯს სცოდნია, ძლივს ამოიყვანეს წყლით გაგუდული და ნაპირზე დაასვენეს...“

გივი კილაძე ბრწყინვალე მძლეოსანი იყო. საკმარისია ითქვას, რომ მის მიერ 1926 წელს ბირთვის კვრაში დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი დიდ ხანს მიუწვდომელი დარჩა. რესპუბლიკურ თუ საკავშირო ტურნირებში მას არაერთგზის გაუმარჯვნია მოკლე მანძილებზე რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ყუმბარისა და ბადროს ტყორცნაში.

1932 წელს აზერბაიჯანის დედაქალაქმა ქუთაისელი ფეხბურთელები მიიწვია საქალაქთაშორისო მატჩების ჩასატარებლად. იმ პერიოდში აზერბაიჯანის სპარტაკიადა მიმდინარეობდა და მასში კონკურსგარეშე გივისაც მიუღია მონაწილეობა. მასპინძელთა გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გივი კილაძემ ყოველგვარი პრობლემის გარეშე პირველი ადგილები დაიკავა 100 და 200 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში.

გივი კილაძე ასევე შესანიშნავი ფრენბურთელიც იყო. 1928 წელს ჩატარებულ საქართველოს პირველ სპარტაკიადაზე ქუთაისელებმა გივი კილაძის თაოკაცობით პირველი ადგილი დაიკავეს. იმავე წელს მოსკოვში, საბჭოთა კავშირის პირველ სპარტაკიადაზე, ქუთაისელი ჭაბუკი ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტულ ღირსებას იცავდა ფრენბურთსა და კალათბურთში.

ახლა აღარ იკითხავთ გივი კილაძეს, როგორც ფეხბურთელს? ქართული ფეხბურთის პატრიარქმა ანდრო ჟორდანიამ მიამბო: „გივი კილაძის მსგავსი ფეხბურთელი ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრია, – როცა მას უნდოდა, მაშინ გაიტანდა გოლს. ბრწყინვალე ცენტრფორვარდის ყოველი სამი დარტყმიდან ერთი უეჭველად კარის ალებით მთავრდებოდა“. ერთ დღეს, ომის წინა წლებში ფეხბურთის მოყვარულებს ქუთაისში გამოკრული აფიშები „დინამოს“ სტადიონზე ეპატიჟებოდა – საქალაქთაშორისო მატჩში ქუთაისის დინამოელები თურქმენეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს მასპინძლობდნენ. დიდი იყო თანაქალაქელების ინტერესი ამ მატჩისადმი. ვეტერანმა ფეხბურთელებმა ალექსანდრე მხეიძემ და ალექსანდრე ჭანტურიამ მიამბეს: „თურქმენ ფეხბურთელებთან შეხვედრის წინ გივი კილაძემ სანაძლეო დაგვიდო: რამდენ გოლსაც გაიტანდა, ჩვენ იმდენი ღერი პაპიროსი „ტემპი“ უნდა გვეყიდა მისთვის. დაიწყო შეხვედრა და გივის ხუთი ცალი პაპიროსი „ტემპი“ ვუჩვენეთ. მან მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზა და ხუთჯერ აიღო მეტოქის კარი“.

1925 წელს ქართული დივიზიის პირველ სპარტაკიადაზე თბილისელებთან შეხვედრაში გივი კილაძემ 7 ბურთი გაიტანა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ, როცა საკავშირო შეჯიბრებები ტარდებოდა, მოსკოვიდან ქუთაისში სპეციალური დეპეშები მოდიოდა, რომელშიც ეწერა: „შეჯიბრებაზე მოავლინეთ გივი კილაძეო“. კაცმა არ იცოდა, სპორტის რომელ სახეობაში იასპარეზებდა იგი – ეს მხოლოდ მოსკოვში ჩასვლისას ირკვეოდა.

გივი კილაძე შესანიშნავი მწვრთნელი, პედაგოგი და აღმზრდელი იყო. შემდგომში სახელოვანი კალათბურთელები: სულიკო თორთლაძე, ალეკო და კიჭი მესხები, გივი სვანიძე, შოთა ქორქაშვილი, ჯუმბერ ნიჟარაძე, ძმები ალეკო და შოთა მესხები, ოთარ ქორქია, ოთარ სულაბერიძე, დათო სირბილაძე, კარლო ხურციძე, ოთარ ადეიშვილი, გოგი გოქსაძე, მიშა ჩოგოვაძე, კუკური არლანიშვილი, ბონდო ქუთელია, გივი ყაველაშვილი და მრავალი სხვა გივი კილაძემ დააკვალიანა დიდ სპორტში.

გივი კილაძემ მთელი პლეადა აღზარდა სახელოვანი ფეხბურთელებისა. მისი შეგირდები გოგი შხეაცაბაია, უშანგი სალდაძე, მიხო ჭელიძე, შოთა ვაჩაძე, მაკია გერაძე, ნოე ხერხაძე, გივი ჯავახაძე, რევაზ მესხი, კარლო ხურციძე და სხვები წლების მანძილზე წარმატებით იცავდნენ თბილისის და ქუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების სპორტულ ღირსებას.

ქართული სპორტის მშვენებამ, საბჭოთა კავშირის 1946 წლის ჩემპიონმა კალათბურთში, განუმეორებელმა მოქალაქემ და ნაღდმა ქუთაისელმა მეობამ (ქუთაისელების მიერ სახიყვარულოდ შერქმეული სახელია ოთარ სულაბერიძისა) მიამბო: „რატომღაც არავინ ახსენებს გივი კილაძის მაღალ ერუდიციას, დიდ კულტურას და განათლებას. არადა, ამ მხრივაც სანიმუშო და მისაბაძი იყო ჩემი მასწავლებელი“.

...ომი ახალი დაწყებული იყო, როცა ქუთაისში პეტრე გრუზინსკი-ბაგრატიონი ჩამოვიდა. ერთ-ერთ საპატიო სუფრაზე სასურველ სტუმარს გივი გაუცნია, დიდი ხელოვანი აღფრთოვანებულა დიდ ფარავდა გივი კილაძის მუსიკალური ნიჭის გამო. ასევე აღფრთოვანებული იყვნენ გივი კილაძის მრავალმხრივი ტალანტით ქართული თეატრის ღირსეული წარმომადგენლებიც – დოდო ანთაძე, ალექსანდრე იმედაშვილი, კაპია აბესაძე, ვახტანგ მეგრელიშვილი, იუზა ზარდალიშვილი, იპოლიტე ხვიჩია, გიორგი შავგულიძე, აკაკი ვასაძე; ცნობილი ქართველი მწერლები: დია ჩიანელი, ლადო ასათიანი, კოლაუ ნადირაძე, პაოლო იაშვილი და სხვები. სახელოვანი ქუთაისელი უბადლო მუსიკალური სმენით დაჯილდოებული პიროვნება გახლდათ. ლეგენდები დადის მის მუსიკალურ ფენომენზე, მაგრამ ის, რაც 1945 წლის ივნისის ერთ წყნარ დილას, ქალაქ ფოთის სასტუმროში მოხდა, მართლაც დაუჯერებელია. ვეტერანმა სპორტსმენებმა გივი ჯავახაძემ და შოთა ვაჩაძემ გვიამბეს: „ქუთაისის დინამოელები რესპუბლიკის ჩემპიონატის მორიგი მატჩის სათამაშოდ ფოთს ესტუმრნენ, სადაც უნდა შეხვედროდნენ ადგილობრივ დინამოელებს. ომი ახალი დამთავრებული იყო, მაგრამ ჰაერში ჯერ კიდევ დენთისა და ხანძრის სუნი იგრძნობოდა. ბუნებრივია, ფეხბურთელები მაშინ მოკლებულნი ვიყავით ყოველგვარ კომფორტს და მთელი გუნდი ერთ დიდ ოთახში ვცხოვრობდით. დილით ადრე სასტუმროს ფოიედან როიალის ხმა შემოგვესმა. გაირკვა, რომ ლენინგრადელი პიანისტი ზღვისპირა ქალაქში გასტროლებზე იმყოფებოდა და საკონცერტო პროგრამას იმეორებდა. როცა როიალი მიწყნარდა, გივი კილაძე ადგა, მიუჯდა როიალს და თავიდან ბოლომდე ზუსტად გაიმეორა ყოველივე ის, რაც ერთი მოსმენით დაიმახსოვრა. გაკვირვებულ ლენინგრადელ სტუმართან ერთად სულგანაბული ვუსმენდით ჩვენი მწვრთნელის მაღალ საშემსრულებლო ოსტატობას. როცა ბოლო აკორდი ჩათავდა, აღტაცებული სტუმარი ჩვენი გუნდის თავკაცს ნევისპირა ქალაქში ეპატიჟებოდა და თან ბუზღუნებდა: განებე თავი ამ გაბერილი ტყავის დევნას, არ გირჩევნია დიდი ხელოვანი გამოხვიდეო?

როგორ გგონიათ, ადვილი იქნებოდა ამ პერიოდში საქვეყნოდ აღიარებული საბჭოური ჯაზ-ორკესტრის ერთ-ერთი ფუძემდებლის ედი როზნერის და მისი გუნდის გაკვირვება და ისიც მუსიკალურ სამყაროში? დიახ, ესეც შეძლო გივი კილაძემ. როცა ომის წლებში ქუთაისში საგასტროლოდ საკმაოდ პოპულარული ჯაზორკესტრი ჩამოვიდა, გივი კილაძე დინამოელების თანხლებით ვირტუოზების კონცერტს დაესწრო, ცოტა უფრო გვიან კი „ცისფერ დუქანში“ როლები შეიცვალა – გივი კილაძე პიანინოს უჯდა და მანამდე მისთვის უცნობ ახლად მოსმენილ მუსიკალურ ნაწარმოებს თავისებური იმპროვიზაციით სულ სხვა ემხს მატებდა, ხოლო საპატიო სტუმრები – განცვიფრებულნი და აღტაცებულნი – გულში იხუტებდნენ სპორტსმენ ხელოვანს.

გივი კილაძე – ღრმად ერუდირებული პიროვნება – კარგად იცნობდა ქართულ მწერლობას, რუსულ და მსოფლიო ლიტერატურას, თავისუფლად ლაპარაკობდა ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ასევე კარგად იცოდა საქართველოსა და მშობლიური ქალაქის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ეს, ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან გივის მამას, ივანე კილაძეს იმ დროისათვის მესაშური ბიბლიოთეკა ჰქონდა. ბატონი ივანე, თავის დროზე განთქმული პიროვნება, საგამომცემლო საქმის ოსტატი იყო. იგი დიდ პატივს სცემდა გივის მეგობრებს. ერთხელ გივი კილაძემ „მერცხალის“ და „ბამი-აჩუკის“ ფეხბურთელები მამის ყანაში მიიყვანა ნადზე. სამაგიეროდ, მამა ბერმა დაპპარდა ბიჭებს. სამუშაოს მესრულების შემდეგ დანაპირები – „ფაბრიკის“ ბურთი – მართლაც მიიღეს ახალგაზრდებმა.

ამ სამი ათეული წლის წინათ აკადემიკოსმა გოგი შხეაცაბაიამ მითხრა: სპორტში თუ რამეს მივაღწიე, ბატონი გივის დიდი დამსახურება არის, მაგრამ ჩემს სამეცნიერო საქმიანობაში ასევე ლომის წილი კილაძეების ოჯახს მიუძღვის – მე ხომ მისი საოჯახო ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი ვიყავი“.

...ასეთი უჩვეულო, მართლაც უნიკალური პიროვნება გახლდათ გივი კილაძე – კაცი, რომელიც ნახევარი საუკუნის უკან გადასახლდა სამუდამო სასუფეველში, მაგრამ დღესაც კარგად ახსოვთ ხანდაზმულ ქუთათურებს. სამწუხაროდ, მის შესახებ ცოტა რამ თუ იცის ჩვენი ქვეყნის ფართო საზოგადოებამ, განსაკუთრებით – ახალმა თაობამ.

მოულოდნელი და ტრაგიკული იყო მისი სიკვდილი: ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა შესანიშნავი ათლეტი, ქართული სპორტის მშვენება, ბრწყინვალე ხელოვანი, ღირსეული მამულიშვილი, მოქალაქე და პატრიოტი გივი კილაძე.

ნარუშლელი კვალი



ზურაბ ჯავახაძე.

სურათზე: 1939 წელი. ქუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი. დგანან (მარცხნიდან): მწვრთნელი გივი კილაძე, ლუტუშა ასათიანი, პეტრე ხოშტარია, ლექსო ნიშნიანიძე, ვანო კაპანაძე, ტიხონ გერაძე, უშანგი სალდაძე, დავით შავგულიძე, ევგენი ნიჟარაძე, ალექსანდრე ჭანტურია; ჩამუხლული არიან: კარლო გიგინეიშვილი, ალექსანდრე მხეიძე, კოწია გაბუნია, კოლია ლორთქიფანიძე, ავთანდილ ცირეკიძე.

ყოველი მხრიდან

ზეიმზე პავაროტიც იმღერებს

გამოჩენილმა იტალიელმა ტენორმა ლუჩიანო პავაროტიმ (რომელიც, თურმე, თბილისში ჩამოსვლასაც აპირებს) თანხმობა განაცხადა, რომ გაისად, 25 აპრილს ბილბაოში, „სან-მამეს“ სტადიონზე კლუბ „ატლეტიკის“ ასი წლისთავის აღსანიშნავად გამართოს კონცერტი. სახელგანთქმული მომღერალი ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელია, თავის სამშობლოში გულშემატკივრობს „ბოლონიას“.

იგი ფიქრობს, რომ პლასიდო დომინგოსა და ხოსე კარერასთან ერთად იმღერებს მომავალ ზაფხულში ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე, რომელიც საფრანგეთში გაიმართება.

აკვნიდან – მარათონში

გამოცდილ მარათონისტს რომ უთხრან – 42 კილომეტრი 6 საათსა, 1 წუთსა და 10 წამში დაფარესო, ალბათ, სასაცილოდ არ ეყოფა, მაგრამ როცა გაიგებს, რომ ეს გააკეთა 4 წლის მორბენალმა გოგონამ, ალბათ, გაოცებისაგან პირსაც დაალებს. ყოველ შემთხვევაში, ასე გაოცდა ჩინეთის მთელი სამეცნიერო საზოგადოებრიობა ამ პატარა სპორტსმენის მიღწევით.

ეს უპრეცედენტო წარმატება ოფიციალურად დააფიქსირა შენსის პროვინციის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა, თანაც მისმა ექსპერტებმა არ დაუჯერეს მშობლებს, რომ გაო მენი ოთხი წლის არის და იგი დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზით შეამოწმეს.

თავის აბსოლუტურ რეკორდს პატარა გაო მამამისს უნდა უმადლოდეს, ის ხომ დაუზოგავად ავარჯიშებდა მას სამი წლის ასაკიდან, დილის ხუთის ნახევრიდან 9 საათამდე.

– სამაგიეროდ, ნახეთ, რა ჯანმრთელი იზრდება! – კანონიერი სიამაყით აცხადებს ბედნიერი მამიკო.

ვიქტორ კორჩნოი – ეტიენ ბაკრო

14 წლის ეტიენ ბაკრო, მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატი, ქალაქ ალბერში (ჩრდილოეთ საფრანგეთი) მატჩში ხვდება მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილ პრეტენდენტს, 66 წლის ვიქტორ კორჩნოის. საყურადღებოა, რომ ეს ბაკროს უკვე მეორე მატჩია განთქმულ მოჭადრაკეებთან. მარშან იგი ექვსი პარტიისაგან შემდგარ ორთაბრძოლაში შეხვდა მსოფლიოს ექსჩემპიონ ვასილ სმისლოვს და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით 5:1. საინტერესოა, რომ წლევანდელ ტურნირში ანგენ-ლე-ბენში, სადაც ყმაწვილმა დიდოსტატის წოდება მიიღო, მან მეძლო კორჩნოის დამარცხება, რომელიც, ასაკის მიუხედავად, კვლავ წარმატებით გამოდის ტურნირებში.

ბაკროს კვლავინდებურად წვრთნის ყოფილი ლვოველი დიდოსტატი იოსებ დორფმანი, რომელიც საფრანგეთში გადასახლდა. ადრე იგი, როგორც ცნობილია, გარი კასპაროვის ერთ-ერთი სეკუნდანტი იყო ანატოლი კარპოვთან მსოფლიო პირველობაზე მატჩების დროს.

გივი გამრეკელი.

„ღირსების დიპლომის“ კავალერი

სენსაციური უწოდეს ავსტრალიელი ჩოგბურთელის პატრიკ რაფტერის გამარჯვებას ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატზე. და აი, მან ახალი წარმატება მოიპოვა – სამართლიანი თამაშის საერთაშორისო კომიტეტმა, რომელშიც 14 ქვეყნის 24 წევრია, რაფტერს „ღირსების დიპლომი“ მიანიჭა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: იანვარში ადელაიდაში გამართულ ტურნირზე ავსტრალიელი ჩოგბურთელი რუს ანდრეი ჩერკასოვს ხვდებოდა. გადამწყვეტ მომენტში, ტაი-ბრეიკის მეორე სეტში რაფტერმა შეცდომად ჩათვალა გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილება და ქულა მოწინააღმდეგეს დაუთმო. ამან შეხვედრის ბედი გადაწყვიტა და მეოთხედფინალში ჩერკასოვი გავიდა.

– ასეთი კეთილშობილების გამოჩენა ყველას როდი ძალუძს, – განაცხადა მატჩის შემდეგ ჩერკასოვმა, – ბევრი თავს ისე დაიჭერდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

პატრიკ რაფტერი კაცურად მოიქცა და აკი დაუფასდა კიდეც!

სურათზე: პატრიკ რაფტერი.

ბლიც-ანკეტა

სოფიკო ჭიაურელი

— საქართველოს და სომხეთის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საერთაშორისო კინოფესტივალების მრავალგზის პრიზიორი, „ღირსების ორდენის“ მფლობელი.

1. ზოდიაქოს ნიშანი — კუროსა და ტყუპებს შორის (21 მაისი);
2. საყვარელი მწერალი — ლევ ტოლსტოი;
3. საყვარელი ლიტერატურული ქმნილება — „ანა კარენინა“;
4. საყვარელი მხატვარი — ფიროსმანი;
5. საყვარელი რეჟისორი — ფარაჯანოვი;
6. საყვარელი ფილმი — „საიათნოვა“;
7. საყვარელი მსახიობი (მამაკაცი) — პიტერ ოტული;
8. საყვარელი მსახიობი (ქალი) — ოდრი ჰეპბერნი;
9. საყვარელი კომპოზიტორი — ჩაიკოვსკი, რახმანინოვი;
10. საყვარელი მუსიკალური ნაწარმოები— რახმანინოვის მეორე საფორტეპიანო კონცერტი;
11. საყვარელი ხალხური სიმღერა — „შენ ხარ ვენახი“;
12. უდიდესი პოლიტიკოსი — სტალინი;
13. ყველაზე პატივსაცემი ისტორიული პიროვნება — თამარ მეფე;
14. საყვარელი ქალაქი — თბილისი;
15. სპორტის საყვარელი სახეობა — ცურვა;
16. გატაცება — კერვა;
17. საკუთარი ღირსება — ენერგიულობა;
18. საკუთარი ნაკლი — არ პატიება;
19. ყველაზე დიდი წარმატება — დედობა;
20. ცხოვრების ყველაზე დიდი კურიოზი — ჯერ წინ მაქვს;
21. ყველაზე მიმზიდველი ქალი — რომი შნაიდერი;
22. ყველაზე სიმპათიური მამაკაცი — რობერტ ტეილორი;

— თქვენმა მეუღლემ, ბატონმა კოტე მახარაძემ ამ კითხვას ასე უპასუხა „ჩემს ცოლს ჰკითხეთო“. რას გულისხმობდა — თავის თავს ხომ არა?

— მე არ ვიცი რას გულისხმობდა, მაგრამ, ბუნებრივია, კოტე ჩემთვის გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ სიმპათიური მამაკაცი.

23. ოჯახის შემადგენლობა — მეუღლე, ორი შვილი, ორი შვილიშვილი;
24. მეგობართა წრე — საკმაოდ დიდი;
25. რას აფასებთ ადამიანში — სიმართლეს;
26. საყვარელი კულინარული ნაწარმი — ხენდროიანი ტორტი;
27. საყვარელი სასმელი — შამპანური;
28. საყვარელი ცხოველი — ძაღლი;
29. საუკეთესო მოგონება — სკოლის პერიოდი;
30. სანუკვარი ოცნება — ჩემი ქვეყნის ძლიერება.

რუბრიკას უძღვება
ზურაბ ოიკაშვილი.

გთავაზობთ მაცივარში მალფუჭებადი პროდუქტების შენახვას.
ცნობებისათვის მიმართეთ
9-დან 17 სთ-მდე აღლაძის ქ. (ყოფილი ელიავას) 32. ტელ: 34-62-75, 94-20-51,
35-10-05.

სინათლე! მეტი სინათლე!
საუკეთესო ხარისხის, უკრაინის საექსპორტო, ლუმინისცენციური დღის განათების ნათურებს (ელექტრომილაკებს) (ლბ-40) გთავაზობთ შპს „თბილისი-96“ მინიმალურ ფასად.
მისამართი: უზნაძის 18 (საქწიგნის შენობა), ტელ: 95-28-06, 10 საათიდან 18 საათამდე.

სააქციო „ჯი და ჯი“ საზოგადოება
გთავაზობთ საწყობიდან თბილისში
✓ ფანჯრისა და სპლიტ-სისტემის კონდიციონერებს
✓ საოფისე ავტომატურ სატელეფონო სადგურებს
✓ ფაქსებს როგორც თერმო, ასევე ჩვეულებრივ ქაღალდზე
✓ ტელეფონის აპარატებს
✓ ასლგადამღებ აპარატებს
✓ კომპიუტერებსა და პერიფერიას
✓ უწყვეტი კვების წყაროებს
✓ კედლის და ცეცხლგამძლე სეიფებს
✓ ბანკნოტების სათვლელ მანქანებს
✓ ვალუტის დეტექტორებს
გარანტია 1-დან 2 წლამდე
ჩვენი მისამართია: ლესელიძის ქ. №4
☎93-38-34, 93-38-04, 93-28-10, სერვის ცენტრი: 93-38-10

ხიდები

კულტურათა დიალოგი გრძელდება

„ერთი წელი ამერიკის სკოლებში“, — ასე დაარქვეს იმ მოსწავლეებმა გაზეთს, რომლებმაც შარშან გაიმარჯვეს დედაქალაქის მერიის მიერ მოწყობილ კონკურსში და 1996-97 წელი ამერიკის სკოლებში გაატარეს.

ამ ოთხგვერდიან, თავიანთი ხელით შექმნილ გაზეთში ისინი გვიზიარებენ შთაბეჭდილებებს, გვიყვებიან საკუთარი თვალით დანახულ ამერიკაზე...

ქართველი მოსწავლეები ამერიკაში მოხვდნენ „განახლების ქართულ-ამერიკული“ დასის (პრეზიდენტი — ირაკლი ბოკუჩავა) პროგრამით.

„დასის“ განხორციელებული პროექტებია: 1993-94-95 წწ ფოთის მოსწავლეთა საერთაშორისო გაცვლა; 1996 წ. თბილისის მოსწავლეთა საერთაშორისო გაცვლა; 1997 წ. — რუსთავის მოსწავლეთა საერთაშორისო გაცვლა.

ამ ქალაქებში გაიმართა კონკურსები — ტესტირება-გასაუბრება ამერიკელი სპეციალისტების მონაწილეობით. პროექტების მთლიანი ხარჯები გაიღეს ფოთის, თბილისის და რუსთავის მერიებმა, რისთვისაც კონკურსში გამარჯვებულთა სახელით „დასი“ მადლობას უხდის ფოთის ყოფილ მერს რომან მელიას, თბილისის მერს ბადრი შოშიტაიშვილს, რუსთავის მერს მერაბ ტყეშელაშვილს.

„განახლების ქართულ-ამერიკული დასი“, — ვკითხულობთ გაზეთში, — დაარსდა 1990 წელს ამერიკელი სოციოლოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, 1984 წელს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატის ბარბარა ჰაბარდის, ცნობილი ქართველი ტელეჟურნალისტის, წლების მანძილზე ატლანტის ტელევიზიის წამყვანი რეპორტიორის, ამერიკული ტელეაკადემიის პრიზის (ტელევიზიის ოსკარი) მფლობელის ნუგზარ რუხაძისა და „დასის“ ამჟამინდელი პრეზიდენტის ირაკლი ბოკუჩავას მეცადინეობით.

„დასის“ მიზანი იყო და არის კულტურათა ურთიერთშეღწევისა და სახალხო დიპლომატიის საშუალებით სხვადასხვა ფასეულობაზე და სისტემაში აღზრდილ ადამიანებს შორის საერთო საკაცობრიო ღირებულებების პრიმატის დამკვიდრება უკეთესი, მშვიდობიანი მსოფლიოს ასაშენებლად.

„დასის“ პირველი პროექტი გახლდათ **Georgia initative** (ინიციატივა საქართველო), რომელიც ვაშინგტონში ევოლუციური სამსახურის ინსტიტუტთან ერთად დამუშავდა 1990 წელს. ამას მოჰყვა ამერიკელი სპეციალისტების სტუმრობა თბილისში იმავე წლის ნოემბერში.

შემდეგ საქართველოში დატრიალებულმა მოვლენებმა „დასის“ მიზნების განხორციელების გზებშიც თავისი ცვლილებები შეიტანა.

1991-92 წლებში „დასი“ ინტენსიურად მუშაობს საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ტესტური საგამოცდო სისტემის დასანერგად. პირველად საქართველოში გამოიცა ტესტების კრებულები მათემატიკაში, ქართულში, საქართველოს ისტორიაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში.

GEORGIAN-AMERICAN INNOVATION TEAM
ერთი წელი ამერიკის სკოლებში
ACADEMIC YEAR IN THE USA
მკითხველისადმი

1993 წლიდან „დასის“ საქმიანობის ახალი ეტაპი იწყება, რაც მოსწავლეთა საერთაშორისო გაცვლის სახელითაა ცნობილი.

ყველაფერი ფოთის მაშინდელი მერის რომან მელიას კაბინეტში გადაწყდა, როცა საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, — ამბობს ბატონი ირაკლი ბოკუჩავა, — აქცენტი ქალაქის ახალგაზრდობაზე გაკეთდა — გადაწყდა, დაეფინანსებინათ ყოველწლიურად 50 მოსწავლის ამერიკაში გამგზავრება.

სამი წლის მანძილზე 180-ზე მეტმა ფოთელმა მოსწავლემ გაიარა ამერიკული სკოლისა და ცხოვრების ერთწლიანი კურსი. პატარა ქალაქს ერთბაშად დაეტყო მათი გავლენა. იმ არეულ წლებში ასობით ბავშვი მიაწყდა უცხო ენების სწავლების ცენტრს, რომელსაც მერია აფინანსებდა. გაჩნდა ჯანსაღი კონკურენცია მერიის ამერიკული სტიპენდიის მოსაპოვებლად.

პირველი შედეგები გამაოგნებელი იყო, ამერიკაში 12 მოსწავლემ მოიგო იქაურ უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებელი სტიპენდია (15-20 ათასი დოლარი), ოთხმა მათგანმა პრეზიდენტ კლინტონის ხელმოწერილი სიგელი მიიღო.

დაბრუნებულნი განაგრძობენ სწავლას, მუშაობენ პორტში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, სოლიდურ ხელფასს იღებენ. სხვა პროვინციული ქალაქებისაგან განსხვავებით, ფოთში თარჯიმნის, კომპიუტერზე მომუშავის პრობლემა არა აქვთ.

1996 წელს თბილისის მერიამ განახორციელა იგივე პროექტი და კონკურსში გამარჯვებულ 30 მოსწავლეს მოუწია ამერიკულ ოდისეაში მონაწილეობა.

1997 წელს რუსთავის მერიის თაოსნობით კიდევ ერთი ქართული „დესანტი“ მიემგზავრება ამერიკას.

ვინ იქნება შემდეგი?— კითხულობს „დასის“ საქმიანობის შესახებ გაზეთში გამოქვეყნებულ წერილში ირაკლი ბოკუჩავა.

კითხულობს იმ იმედით, რომ წინა კაცი უკანა კაცის ხიდია, რომ მათ კვალზე შემდგართ გაგნება გზისა გაუადვილდებათ.

ამონაწერი გაზეთიდან „ერთი წელი ამერიკის სკოლებში“:

„ იმ მომენტიდან, რაც თბილისის აეროპორტს დატოვებთ, თქვენ დამოუკიდებელი ადამიანები ხართ.

ვცხოვრობდი ბაპტისტი პასტორის ოჯახში. ჩასვლისთანავე ვესაუბრე ოჯახის უფროსს და ავუხსენი, რომ ვარ მართლმადიდებელი. სარწმუნოების შეცვლაზე ჩვენს შორის საუბარიც არ ყოფილა. მე მხოლოდ ვალდებული ვიყავი პატივი მეცა მათი რელიგიისათვის.

პერიოდი, რომელსაც ამერიკაში გაატარებთ, დაუვიწყარი იქნება თქვენს ცხოვრებაში. გაეცნობით ამერიკული ცხოვრების წესსა და ტრადიციებს, შეიძენთ უამრავ მეგობარს და ამერიკიდან დაბრუნებულს, შესაძლებელია დაგეწყოთ ნოსტალგია... ამერიკაზე“ **(დიტო გუგუშვილი, მეინი).**

„ძნელია ერთი წელი მენი ახლობლების და, რაც მთავარია, ქართული ენის გარეშე ცხოვრება. მაგრამ ამ დროს ეჩვევი დამოუკიდებლობას და პიროვნებად ყალიბდები. **(თამუნა შუკაკიძე, აიოვა).**

„სექტემბერში მიმიწვიეს როტარი კლუბში, სადაც შემატყობინეს, რომ სურდათ ჩემთან საუბარი საქართველოს ისტორიაზე, მის კულტურასა და ღლევანდელობაზე, როტარი კლუბი ამერიკის უმდიდრესი კლუბია და მას ფილიალები გახსნილი აქვს მთელს მსოფლიოში. როგორც გაირკვა, როტარი კლუბი საერთოდ სერიოზულ ინტერესს იჩენს იმ უცხოელი მოსწავლეების მიმართ, რომლებიც ამერიკულ სკოლებში წარმატებით სწავლობენ.

... ჩემი ამერიკელი დედა ძალიან დამეხმარა. პრეზენტაციამდე ყოველდღე დაძაბული რეპეტიციები გვქონდა... როცა მოხსენება დამთავრდა, ამერიკელები ხმას არ იღებდნენ, თუმცა შემდეგ ბევრი შეკითხვა დამისვეს და, ვფიქრობ, ჩემი პასუხებით კმაყოფილებიც დარჩნენ.

პრეზენტაციის დასასრულს როტარი კლუბმა თავისი ოფიციალური გადაწყვეტილება მაცნობა — თბილისის სკოლის დამთავრების შემდეგ კლუბს სურდა დაეფინანსებინა ჩემი სწავლა მსოფლიოს ნებისმიერ კოლეჯში. გარდა ამ გადაწყვეტილებისა, დირექტორმა გამოაცხადა, რომ ადგილს დამითმობდნენ თავის ბიულეტენში, ხოლო ჩემი სახელი გადაეცემოდა მსოფლიოს 10 უძლიერეს კლუბს“ **(ელენე კვანჭილაშვილი, ჩრდ. კაროლინა).**

შთაბეჭდილებები უამრავია. ერთი წლის მანძილზე ოცდაათივე თბილისელი მოსწავლის ამერიკული წარმატებების აღნუსხვას, ბუნებრივია, ერთი გაზეთი ვერ დაიტევს.

ამ გაზეთმა მათი ცხოვრების ამ უაღრესად საინტერესო მონაკვეთის აღწერის მხოლოდ მცირე ნაწილი დაიტია.

თითოეულმა ხომ უამრავი სიგელი, პრიზი და სხვადასხვა ჯილდო ჩამოიტანა!

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ 19-მა მათგანმა იქაური სკოლის კურსი სულ ფრიადებზე დაამთავრა.

ოთხმა — კი ამერიკის კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებელი სტიპენდიები მოიპოვა. აი, ისინიც: **ნინო შარაშენიძე** — ჩრდ. კაროლინის ხელოვნების უმაღლესი სკოლა; **სოფო ქორიძე** — ფლორიდის სამხატვრო უმაღლესი სკოლა; **გიორგი ბოჭორიშვილი** — ომაჰას უნივერსიტეტი, **ივერი ჟვანია** — მონროს უნივერსიტეტი, ლუიზიანა.

გაზეთში დაბეჭდილია „**Pax** — აკადემიური გაცვლის პროგრამის“ აღმასრულებელი დირექტორის ლიბი კრაიერის წერილი, რომელსაც იგი უგზავნის „განახლების ქართულ-ამერიკული დასის“ პრეზიდენტს ირაკლი ბოკუჩავას.

„თქვენმა ორგანიზაციამ, — წერს იგი, — გამოაგზავნა შესანიშნავი მოსწავლეები. ნათელია, რომ მათი შერჩევა მოხდა ყურადღებით და სწორი ორიენტაციით. პირადად თქვენ გიხდით მადლობას იმ შესანიშნავი თანადგომისათვის, რომელსაც ამ ახალგაზრდებს უწევთ. თქვენ კარგად გესმით კულტურათა დიალოგის მნიშვნელობა და მისი შედეგები ამ პროგრამაში მონაწილე ახალგაზრდებისათვის“.

დიალოგი კი გრძელდება. ვინ იქნება შემდეგი?

მზია გელენავა.

ბრალი ედებათ

რასაც დასთესავ...

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ბიუროში არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მარიხუანას მოხმარების ფაქტზე დააკავეს თბილისში, ვარკეთილის მასივში მცხოვრებლები თემურ ხარშილაძე და ივანე სამხარაძე, რომლებმაც 1996 წელს გარდაბნის რაიონის სოფელ კოჯორში დათესეს და წლეულს 6 სექტემბერს მოკრიფეს ინდური სელი, რომლისგანაც ი. სამხარაძის ბინაში დაამზადეს მარიხუანა. მათ ჩამოერთვათ 80 გრამი მარიხუანა.

საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს.

ნარკოტიკები — ბინაზე მომსახურებით

8 სექტემბერს, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების მუშაკებმა დააკავეს გორელი სოფიკო პაპიაშვილი, რომლის ბინაში მდებარე კომერციულ აფთიაქში აღმოაჩინეს დიდი რაოდენობის ძლიერმოქმედი პრეპარატები: 20 აბი „ტრამალი“, 10 მილილიტრი „რელანიუმი“, 30 აბი „დიმედროლი“, 6 მილილიტრი „ტრამალი“ ამპულებში, 50 აბი „ტაზეპამი“, 260 აბი „ფენაზეპამი“, 100 აბი „ციკლოდოლი“ და 240 აბი „სონოპაფსი“.

საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის განყოფილება იძიებს.

ჯარისკაცი მოკლა... საძოვრებზე

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის და სისხლის სამართლის სამმხროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული მასალების საფუძველზე, დააკავეს სიღნაღის რაიონის დაბა წნორში მცხოვრები ილია სიფრაშვილი.

მან 1995 წლის 30 ივლისს, ყვარლის რაიონის საძოვრებზე, ურთიერთშელაპარაკების დროს, მოკლა თავდაცვის სამინისტროს ბატალიონ „ავაზას“ ჯარისკაცი გიორგი მათიაშვილი.

საქმეს სამხედრო პროკურატურა იძიებს.

საქინფორმი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა“
გერმანული წარმოების უახლესი მინიტიპოგრაფიის ამოქმედებასთან დაკავშირებით 1 სექტემბრიდან იწყებს შეკვეთების მიღებას საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ბეჭდვითი პროდუქციის დამზადებაზე (ფერადი და შავ-თეთრი). შეკვეთები შესრულდება როგორც შემკვეთის, ისე გამომცემლის ქაღალდით, ყველაზე სწრაფად და ხარისხიანად, ხელმისაწვდომ ფასებში. ბეჭდვის მაღალი ხარისხი გარანტირებულია კომპიუტერული ინტერფეისის მეშვეობით.
შეკვეთები მიიღება: ა-4 ფორმატის გაზეთების, ჟურნალების, ბროშურების, წიგნების აწყობა-დაკაბადონებასა და ბეჭდვაზე, დიდი ტირაჟის ქსეროასლების უსწრაფესად გადაღებაზე, სხვადასხვა სახეობის ეტიკეტების (ღვინის, არყის, კონიაკის, შამპანურის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების, ვიდეო-აუდიო კასეტების და სხვა) დამზადებაზე, სავიზიტო ბარათების, პირადობის მოწმობების ბეჭდვა-ლამინირებაზე.
მოკლედ, შეგვიძლია მივიღოთ და შევასრულოთ ნებისმიერი შეკვეთა.
მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით!
მისამართი: მერაბ კოსტავას 14. მე-4 სართული.
ტელ: 93-26-99. 99-03-09.

ყურადღება!
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესა“ სთავაზობს დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს
„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“
ბოლო, ოფიციალურ გამოცემას ყველაზე იაფად, ხელმისაწვდომ ფასებში.
გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს დიდი რაოდენობით შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.
მისამართი: მ. კოსტავას 14, მე-4 სართული ტელეფონი: 93-26-99.

მსოფლიო ბანკის ჯანდაცვის პროექტის საკოორდინაციო ბიურო აცხადებს:
საკონკურსო ვაჭრობას ორხიდიანი ყველგან მავალი ტიპის ავტომანქანების, ერთხიდიანი სედანის ტიპის მსუბუქი ავტომობილების და მიკროავტობუსების შესყიდვისათვის.
დაინტერესებულ ფირმებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს მსოფლიო ბანკის ჯანდაცვის პროექტის საკოორდინაციო ბიუროს ამა წლის 20 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე:
გამსახურდიას გამზ. 30, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ოთახი № 500, მე-5 სართული, მსოფლიო ბანკის ჯანდაცვის პროექტის საკოორდინაციო ბიურო. ტელ: 29-44-07, 38-78-29.

დედა ნათელა სურგულაძე, მეუღლე თინა ჩაჩანიძე, შვილები ავთანდილ, ვასიკო, ნათ[illegible]ა, და ნია, სიდედრი ნინო ირემაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არჩილ ავთანდილის ძე ნაცვლიშვილი

. პანაშვიდი 16, 17 IX, 4 ს. მისამართი ალ. ყაზბეგის (ყოფილი პავლოვის) № 37. გამოსვენება 18 IX, 3 ს. ბავშვთა I კლინიკური საავადმყოფოდან (ზუბალაშვილების 48).

ფირმა „სამება“-ს თანამშრომლები გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას და თანაგრძნობას უცხადებენ ფარეიზ გველესიანს ვაჟის დათო გველესიანის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

საქართველო-ამერიკის ერთობლივი საწარმოო „ჩალას-ეაინსის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ფარეიზ და გიგა გველესიანებს შვილისა და ძმის დავით გველესიანის გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

ჯანო მოდებაძე



ძვირფასო ჯანო!

კიდევ არ გვჯერა, რომ შენ, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, ასე ულვთოდ და უაზროდ დაიღუპე.

რით ვანუგეშოთ უდროოდ დაობლებული შენი ქალ-ვაჟი, სვეგამწარებული დედა, მეუღლე, და?..

გული გვტკივა, რომ სიცოცხლეში ვერ მოგეფერეთ ისე, როგორც შენ ამას იმსახურებდი.

როგორ დააკლდები შენს ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს, თბილისს, საყვარელ ჭიათურას, საერთოდ ქვეყანას, რომელსაც ალამაზებდი შენი ნიჭით, მარჯვენით, მთელი შენი ცხოვრებით!

მსუბუქი იყოს შენთვის სამშობლოს მიწა!

მეგობრები.

გახსენება

დემურ ლაშხია



გუშინდელი დღე ცრემლიანი და ნაღვლიანი იყო ჩვენთვის, ძმაო... 15 სექტემბერს ერთი წელი გახდა შენი ტრაგიკული დაღუპვიდან... შენი გულის სითბო გვენატრება, შენი კაცურ-კაცობა უკვე წინ გვხვდება... მთელი მარტვილის რაიონი გიცნობდა და გაფასებდა — სატყეო მეურნეობის უბნის უფროსს უზარმაზარი ავტორიტეტი გქონდა მოპოვებული... გაჭირვებულთა დამხმარე, უსამართლობასთან მებრძოლი იყავი... შენ განა მარტო თანამშრომლებს, მთელს სანათესაოს, მთელს სამეზობლოს დააკლდი, ჩვენო უტკბილესო ძმაო!

ნათელში ამყოფოს შენი სული ღმერთმა!

დები — ნანი, ნუცა; ძმა — ლაითა ლაშხიები.

სტომატოლოგთა საზოგადოება, თანაკურსელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი ლოლუა-მონცელიძე

პანაშვიდი 16, 17 IX, 4 ს. გამოსვენება 18 IX, 3 ს. მროშის ქ. № 16.

დედა ლილი, მეუღლე რუსუდან აბდუშელიშვილი, შვილები თეა, ლადო მოდებაძეები, და ნათელა მოდებაძე, სიძე ზაურ წიგნაძე, დისწულები ლილი, გოგიტა, ცოლისძმა გია აბდუშელიშვილი, რძლები თამილა, რუსიკო, ბიძაშვილები, დედაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯამბულ (ჯანო) ვლადიმერის ძე მოდებაძე

პანაშვიდი 16, 17 IX, 4 ს. დაკრძალვა 18 IX, 2 ს. გამოსვენება ქ. ჭიათურა, თავისუფლების ქუჩა № 5.

საქართველოსრესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებელი — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.